

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №1

## პროცესი

### საბიებელი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედება დროში  
განსჯადობა  
მოსამართლის აცილების საფუძვლები  
სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის  
სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება  
სარჩელის გამოსმობა  
სახელმწიფო ბაუის დაბრუნება სარჩელის  
გამოსმობის შემთხვევაში  
დავის სამართლებრივი საფუძველის განსაზღვრა  
საპროცესო უფლებამონაცვლეობა  
მტკიცებულებათა შეფასება  
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები  
იურიდიული ინტერესი  
უწყების ჩაბარება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების  
გაუქმების საფუძვლები  
საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის  
საპატიო მიზეზები  
დაუსწრებელი გადაწყვეტილება  
გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები  
გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები  
გადაწყვეტილებაში  
უსწორობათა გასწორება

# სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედება დროში

## განმარტება

№ას-213-206-2012

17 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე პ. ქათამაძე

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით: ა. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... მე-10 კვ., 36-ე კორპ., №28 ბინის 1/2-ის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ვ. კ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან (2012 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქციით).

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი 2012 წლის 4 იანვარს პირადად ჩაბარდა კასატორ ვ. კ-ეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის შეტანის 21-დღიანი ვადის დენა კასატორისათვის დაიწყო 2012 წლის 5 იანვარს და ამოიწურა ამავე წლის 25 იანვარს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ოთხშაბათი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საკასაციო საჩივარი შეტანილია 2012 წლის 3 თებერვალს, ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს შესაბამისი საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ვ. კ-ემ საკასაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, ამიტომ მისი საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

ვ. კ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან მიმართებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397.1 მუხლის ახალი რედაქციის გამოყენების თაობაზე საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს შემდეგი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. იმავე შინაარსის დანაწესს შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 435-ე მუხლი. მითითებული ნორმებით, კანონმდებელი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ახალი კანონი, დამოუკიდებლად იმისა, საქმის განხილვა დაიწყო თუ არა ძველი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების პირობებში. ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ახალი კანონმდებლობის ამოქმედების პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულდება არა ძველი, არამედ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მხარეებს განემართათ, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა შეადგენდა ერთ თვეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების ასლის კასატორისათვის ჩაბარების დროს, საიდანაც უნდა აითვალოს საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397.1 მუხლი მოქმედებდა ახალი რედაქციით, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. კ-ეს საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება გააჩნდა ახალი კანონით დადგენილ 21-დღიან ვადაში. სასამართლოს აღნიშნული განმარტება შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას (იხ. სუსგ. №ას-58-57-2010, 3 თებერვალი 2010 წელი).

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 401-ე მუხლით და

#### დ ა ა ლ გ ი ნ ა :

1. ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### გ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-180-173-2012 3 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჩ-მ სარჩელით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს გ. ქ-ისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: საქართველოში განხორციელებული მიწის რეფორმის შედეგად მოსარჩელეს გადაეცა სასოფლო-სამეურნეო მიწის რამდენიმე ნაკვეთი, მათ შორის, 1300 კვ.მ ე.წ „ჩ-ში“. ხსენებული ნაკვეთი 2003 წელს ვ. ჩ-ის წარმომადგენელ ე. თ-სა და შპს „ჯ-ს“ შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაეცა ამ უკანასკნელს, რომელმაც ნაკვეთზე ააგო სატელეფონო გადამცემი ანძა. მიმდინარე წლის 13 აპრილს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის ელექტრონული ფორმით ხელახალი რეგისტრაცია. საჯარო რეესტრმა, 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით, შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან, ვ. ჩ-ის სახელზე რეგისტრირებული ნაკვეთი გ. ქ-ის სახელზე რეგისტრირებულ ნაკვეთს ფარავდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, საჯარო რეესტრში გ. ქ-ის სახელზე, ლანჩხუთის რაიონის, სოფ. ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებული საკუთრების უფლების გაუქმება.

მოპასუხე გ. ქ-მ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის შედეგად სადავო მიწის ნაკვეთი მოსარჩელის საკუთრებაში არ გადაეცემულა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი 1997 წელს პრივატიზაციის საფუძველზე გადაეცა მოპასუხე გ. ქ-ის ოჯახს. მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი არ გადაუფარავს. პირიქით, ვ. ჩ-ე შეეცადა გ. ქ-ის კუთვნილი ნაკვეთი საჯარო რეესტრში უკანონოდ დაერეგისტრირებინა. მართალია, ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი შპს „ჯ-თან“ საბაზო სადგურის დემონტაჟისა და თანხების ანაზღაურებაზე არ დაკმაყოფილდა, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთის ვ. ჩ-ის კუთვნილება არ დადგენილა, რის გამოც მოცემულ დავაში მას პრეიუდიციული მნიშვნელობა არ გააჩნია. სარჩელი უსაფუძვლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს საჯარო რეესტრის ჩანაწერის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. სადავო მიწის ნაკვეთის მოპასუხის საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 2010 წელს საქმის განხილვისას, რაც დაფიქსირებულია 2010 წლის 16 დეკემბრის №2-215/09 გადაწყვეტილებაში.

მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2011 წლის 7 აპრილს ვ. ჩ-მ, მიმართა

სარეგისტრაციო სამსახურს განცხადებით და მოითხოვა ლანჩხუთის რაიონის, სოფელ ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანა. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, რადგან მოთხოვნილ იქნა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი. ვინაიდან, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საჯარო რეესტრში გ. ქ-ის სახელზე რეგისტრირებული საკუთრების უფლება ლანჩხუთში, სოფ. ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი ...). აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2011 წლის 14 აპრილის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ა-ში მოპასუხე გ. ქ-ის საკუთრებას წარმოადგენს 1069.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის საკადასტრო კოდი ...). დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურის №882011163272-03 გადაწყვეტილებით მოსარჩელე – ვ. ჩ-ის განცხადებასთან დაკავშირებით შეჩერებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, კერძოდ, განცხადების თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. ზედდება აღმოჩნდა რეგისტრირებულ მონაცემთან სარეგისტრაციო ნომრით ... განცხადების რეგისტრაციის ნომრით .... ვინაიდან, დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი რეგისტრაციის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საჯარო რეესტრისა და საკადასტრო რუკის მონაცემებით დადგენილია, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ა-ში ვ. ჩ-ის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი №273, 1300 კვ.მ დაზუსტებული ფართით. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხე გ. ქ-მ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურში არ წარადგინა ზუსტი აზომვითი ნახაზი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილზე დაყრდნობით მიუთითა შემდეგი: ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2003 წლის მაისში შპს „ჯ-სა“ და ე. თ-ს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით, შპს „ჯ-მა“ ე. თ-საგან ქირით მიიღო ლანჩხუთის რაიონის სოფ. ა-ში მდებარე ვ. ჩ-ის კუთვნილი 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის განკარგვის უფლებაც მინდობილობით გააჩნდა ე. თ-ს. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, მონაშენების ჩვენებიდან გამომდინარე, ასევე დადგენილია, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ანძაა განთავსებული, 1998 წელს მიეზომა ვ. ჩ-ს მონაცვლეობით.

პალატამ განმარტა, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე დადასტურებული ვერ იქნა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „ჯ-ის ანძები განთავსებულია გ. ქ-ის საკუთრებაში აღრიცხულ ნაკვეთში“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბრისა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებებით დადგენილია, რომ შპს „ჯ-ის“ ანძები არ მდებარეობს გ. ქ-ის ნაკვეთზე. პალატამ განმარტა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს მოცემულ განსახილველ შემთხვევაში აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, მოპასუხე გ. ქ-ის განმარტებით, დადგენილია, რომ მან საჯარო რეესტრში სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დროს აზომვით ნახაზში არ უჩვენა შენობა-ნაგებობა, „ჯ-ის“ ანძა.

პალატის მოსაზრებით, რომ მოპასუხე გ. ქ-მ შეცდომაში შეიყვანა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახური, ვინაიდან, შენობა-ნაგებობის ნახაზში შეტანით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახური არ დაურეგისტრირებდა სადავო ნაკვეთს, რადგან საჯარო რეესტრისათვის წინა სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ცნობილი იყო, რომ გ. ქ-ის მიწის ნაკვეთზე არ იყო განთავსებული შენობა-ნაგებობა, კერძოდ, შპს „ჯ-ის“ ანძები. პალატამ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების 30-ე მუხლის მიხედვით: საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ნივთის მესაკუთრეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების საფუძველზე, გ. ქ-ს ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების სიზუსტეზე, რაც მის მიერ არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნული ნორმების დანაწესი განსაზღვრავს, თუ რომელი გარემოებები უნდა დამტკიცდეს სამოქალაქო საქმის განხილვის და გადაწყვეტის მიზნით და ვინ, ე.ი რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ეს გარემოებანი. სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯობრებითობის პრინციპზე უნდა განხორციელდეს,

რომლის თანახმადაც, თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობით, რათა განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები. ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოება თითოეული მხარის უფლებრივ ტვირთს წარმოადგენს იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურთ დაასაბუთონ თავიანთი სასარჩელო მოთხოვნები ან გააქარწყლონ სასარჩელო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. სამოქალაქო კოდექსის 105-ე და 312-ე მუხლის 1-ლ ნაწილის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დამტკიცებულ იქნა რომ აპელანტმა გ. ქ-მ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა არასწორი მონაცემები, კერძოდ, აზომვით ნახაზში არ უჩვენა შენობა-ნაგებობა, ანუ „ჯ-ის“ ანძა, რის საფუძველზედაც განხორციელდა უძრავი ნივთის არასწორი რეგისტრაცია, ანუ რეგისტრაციის საფუძველი არასწორია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ქ-მ შემდეგი დასაბუთებით: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, გადაწყვეტილება გამოიტანა ისე, რომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არ გამოთქვა მოსაზრებანი, რომლითაც უარყო ისინი, რითაც უხეშად დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, სასამართლომ სამოქალაქო წესით ისე განიხილა საქმე, რომ არ გამოარკვია, ჰქონდა თუ არა ვ. ჩ-ს სარჩელის აღძვრის უფლება, იყო თუ არა ვ. ჩ-ე სათანადო მოსარჩელე, ანუ ნამდვილად მისი არის თუ არა ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც დავა მიმდინარეობს და დაირღვა თუ არა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, მოწმეთა ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთზე ანძაა განთავსებული. ამასთან, 1998 წელს, მიწის ნაკვეთი ვ. ჩ-ს მონაცვლეობით მიეზომა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით, მოცემულ შემთხვევაში, ვ. ჩ-ის სახელზე მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა არ შეიძლება მოწმის განმარტებით დადასტურდეს, ამისათვის საჭიროა უფლების დამდგენი დოკუმენტის არსებობა, რასაც სასამართლომ შეგნებულად აუარა გვერდი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის უხეში დარღვევით გამოიტანა უკანონო და უსაფუძვლო გადაწყვეტილება.

ამასთან, სასამართლო გასცდა დავის საგანს და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით იმსჯელა საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტის პასუხისმგებლობაზე, მაშინ, როცა მოსარჩელეს ასეთი მოთხოვნა სასამართლოში არ დაუყენებია და, სწორედ, აღნიშნული გარემოება დაუდო სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად. სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 და 26-ე მუხლის მოთხოვნები და სრულიად დაუსაბუთებლად სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენა იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის ბრძანება, რაც საპროცესო ნორმების უხეში დარღვევაა, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სხვადასვა ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს, მოცემულ შემთხვევაში კი, სასამართლომ გვერდი აუარა კანონს და გამოიყენა გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველად მინისტრის ბრძანება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ იმსჯელა საქმეში მტკიცებულების სახით არსებულ 2011 წლის 10 ნოემბრის №4926 ექსპერტიზის დასკვნაზე და არ შეაფასა იგი – როგორც მტკიცებულება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი, შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა

და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, ასევე იურიდიულ პირებს შორის.

მოცემულ შემთხვევაში, ვ. ჩ-ის სასარჩელო მოთხოვნაა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებების გაუქმება. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ სარჩელზე მოპასუხეებად დაასახელა, როგორც ფიზიკური პირი გ. ქ-ე, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. განსახილველი დავა ეხება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების გამოყენებისა და საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის კანონიერებას. მოსარჩელე სადავოდ ხდის მარეგისტრირებელი ორგანოს ქმედებას და ითხოვს, ამ ორგანოსათვის კონკრეტული ქმედების დავალდებულებას.

ამდენად, მოცემული დავა ადმინისტრაციული წესით უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან სადავოს წარმოდგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების მართლზომიერება და მისი შეფასება ადმინისტრაციული კანონმდებლობით უნდა მოხდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესოსამართლებრივი საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლით და

**და ა ა ზ ბ ი ნ ა:**

გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განსჯადობა**

### **განჩინება**

№ას-1178-1198-2011

12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 24 იანვარს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ე. ტ-მა“ მოპასუხე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხე დაწესებულების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა: დაკარგული საქონლის ღირებულება 5914.85 ლარი, მიუღებელი შემოსავალი 1230.15 ლარი, სახელმწიფო ბაჟი 215 ლარი და საადვოკატო მომსახურებისათვის განუული ხარჯი 600 ლარი (1-9).

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ე. ტ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოდავე მხარეებს შორის არსებობდა ხელშეკრულება მოსარჩელის ქონების დაცვის თაობაზე, მაგრამ მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც ვერ დგინდებოდა მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ამიტომ სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ე. ტ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ე. ტ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ე. ტ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შპს „ე. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 7145 ლარის ოდენობით; მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 787 ლარის ოდენობით საპროცესო ხარჯის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 1 დეკემბერს შპს „ე. ტ-სა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო) შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხე ორგანიზაცია ვალდებული იყო დაეცვა შპს „ე. ტ-ის“ მალაზია, რომელიც მდებარეობდა ქ.ოზურგეთში, გ.ე-ის ქ. №25-ში;

2010 წლის 1 დეკემბერს შპს „ე. ტ-სა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო) შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხე ორგანიზაციას უნდა უზრუნველყო სიგნალიზაციის ცსპ-ზე ჩართვის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულება შპს „ე. ტ-ის“ მალაზიაში, რომელიც მდებარეობდა ქ.ოზურგეთში, გ.ე-ის ქ. №25-ში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის აბესალომ მგელაძის 2010 წლის 12 დეკემბრის ცნობით დგინდებოდა, რომ 2010 წლის 7 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში დაინყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ქ.ოზურგეთში, გ. ე-ის №25-ში მდებარე შპს „ე. ტ-ის“ „ელიტ-ელექტრონიკის“ მალაზიის გაქურდვის ფაქტზე, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით, მიმდინარეობს გამოძიება;

სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 1 დეკემბრის ხელშეკრულების 3.1.2, 3.1.3, 3.1.4 და 3.1.5 პუნქტების მიხედვით დამატებით დაადგინა შემდეგი გარემოებები:

„დაცვამ“ აიღო ვალდებულება ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან მყისიერად, არაუგვიანეს 5 წუთისა მოახდინოს „ობიექტზე“ გამოცხადება, ადგილზე მისვლის შემდეგ უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აცილება; ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მონაწილეობა მიიღოს შედარების აქტის შედგენაში, რომელიც უნდა დაემყაროს „დამკვეთის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას და ადასტურებდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელის ხელმოწერა; „დამკვეთს“ ფიზიკური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქმეში არსებული მტკიცებულებით – შპს „ე. ტ-ის“ დირექტორის მიერ შედგენილი ცნობით ირკვევა, რომ 2010 წლის 7 დეკემბერს ქ.ოზურგეთში, გ.ე-ის №25-ში მდებარე შპს „ე. ტ-ის“ „ელიტ-ელექტრონიკის“ მალაზიის გაქურდვის შედეგად მიღებული ფაქტობრივი ზარალი შეადგენს 5914.85 ლარს, ხოლო მიუღებელი შემოსავლის გათვალისწინებით 7145 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი, ამავე კოდექსის 102-ე მუხლი შეიცავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის (მოვალეობების) განაწილების ზოგად წესს. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ – გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის შესაგებელს. მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) მხარეთა შორის ნაწილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური კოდექსის ნორმებში არსებული კერძო (სპეციალური) წესების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2010 წლის 7 დეკემბერს მალაზიის გაქურდვით მოსარჩელისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანი შეადგენდა 5914.85 ლარს, რამდენადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის აბესალომ მგელაძის 2010 წლის 12 დეკემბრის ცნობით დგინდებოდა მოსარჩელის მალაზიის გაქურდვისა და მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, ამასთან, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა დანაშაულის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის დამადასტურებელი ცნობა, ხოლო მოპასუხეს ამ გარემოების უარყოფელი რაიმე სახის მტკიცებულება არ წარუდგენია, პირიქით, სასამართლო სხდომაზე წარმომადგენელმა დაადასტურა ფაქტი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებისას დაფიქსირებული იყო ზარალის იგივე ოდენობა, რაც დაფიქსირებული იყო ცნობაში.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლის 3.1.2 პუნქტის მიხედვით, „დაცვის სამსახურმა“ აიღო ვალდებულება აეცილებინა დანაშაულებრივი ქმედება. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ ვერ შეძლო მითითებული ვალდებულების შესრულება, რის გამოც 2010 წლის 7 დეკემბერს მალაზიის გაქურდვით მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სარჩელის მოთხოვნა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის, ისე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე, საფუძველიანი იყო, ვინაიდან მოპასუხისათვის ცნობილი იყო, რომ შპს „ე. ტ-ი“ ეწეოდა სავაჭრო საქმიანობას და მის შემოსავალს წარმოადგენდა ნივთის გასხვისებით მიღებული მოგება.

დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე-317-ე მუხლებით, 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 650-ე მუხლით, 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 411-ე-412-ე მუხლებით.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის გამოც შპს „ე. ტ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, სააპელაციო სასა-

მართლმ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის, 394-ე მუხლის ე' ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა გადაწყვეტილების გაუქმების და ამავე კოდექსის 386-ე მუხლის თანახმად, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

კასატორს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რადგან სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის მიმდინარეობს დავა სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს კი წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ე.ი. ადმინისტრაციული ორგანო. ხსენებული ხელშეკრულება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ვინაიდან იგი დადებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ასეთ ვითარებაში, ცხადია, რომ მოცემული საქმე უნდა განეხილა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და არა სამოქალაქო საქმეთა პალატას;

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტს, რამაც გადაწყვეტილება გახადა დაუსაბუთებელი. სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ დაცვის პოლიციის მხრიდან რატომ ვერ შესრულდა ხელშეკრულებით ნასკირი ვალდებულება, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტის მისთვის მისაღებ ნაწილზე, მაგრამ უგულვებლყო ამ პუნქტის დასაწყისი, რომელშიც განმარტებულია განგაშის შესვლიდან შემთხვევის ადგილზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა გამოცხადებულიყო დაცვის პოლიცია და რა ჩაითვლებოდა ხელშეკრულების პირობის დარღვევად;

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 650-ე, 394-ე მუხლები, ასევე, ამავე კოდექსის 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლები, რადგან საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, რომ დაცვის პოლიცია ვალდებულია უპირობოდ აანაზღაუროს ზიანი და შესაბამისად აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა;

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ თითქოს ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტის მიხედვით დაცვის პოლიცია ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო უპირობოდ მოეხდინა დანაშაულის აღკვეთა. მხარეებს შორის არსებობდა ცენტრალური საგანგაშო პულტით დაცვის მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ობიექტიდან განგაშის სიგნალის შესვლის შემთხვევაში დაცვის პოლიცია ვალდებული იყო 5 წუთის განმავლობაში გამოცხადებულიყო ობიექტზე და ადგილზე მისვლის შემდეგ უზრუნველყო დანაშაულის აღკვეთა, თუმცა დანაშაული, რომელიც მოხდა, არ წარმოადგენდა დენად და განგრძობად დანაშაულს. მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის ფაქტს ადგილი ჰქონდა დაცვის პოლიციის მისვლამდე. ასეთ ვითარებაში ჩნდება კითხვა, რა უნდა აღეკვეთა დაცვის პოლიციას და როგორ უნდა აღეკვეთა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ. აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითაა დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში კანონმდებელმა დააკონკრეტა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში, ამ ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსა-



მართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „ე. ტ-ის“ მიერ აღძრულია სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით, თუ – მოპასუხის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება. მოცემული წესდების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით განისაზღვრა, რომ დაცვის პოლიციის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიცია ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის №90 ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიცია რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – დაცვის პოლიციის დეპარტამენტად, ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დაცვის პოლიციის წესდება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ამ დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლის პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის უფლებამოსილი. ამავე დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას.

ამდენად, დაცვა წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. სწორედ ამ მიზნით არის დადებული 2010 წლის 1-ლი დეკემბრის №726 ხელშეკრულება, რომლის შეუსრულებლობის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებასაც მოითხოვს მოსარჩელე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, განსახილველი საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული დასკვნები მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავების განსჯადობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის, №ბს-998-962(გ-08), №9-სიერა, განჩინება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ შპს „ე. ტ-ის“ სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან შპს „ე. ტ-ის“ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული საქმე ექვემდებარებოდა განხილვას ადმინისტრაციული სამართალ-

წარმოების წესით. გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით.

ამდენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის შესამე ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, ხოლო, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული დავის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### განსჯადობა

#### განჩინება

№ას-352-335-2011 7 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ნ-ის“ დირექტორმა რ. თ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. პ-ის მიმართ და მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 412-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – 37361 ლარის, ასევე სასამართლო ხარჯების ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე აწარმოებს სამედიცინო და ტექნიკურ ჟანგბადს და ახდენს მის რეალიზაციას. 1994 წელს საქართველოს საკონსერვო მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორ გ. პ-ისაგან იჯარით აიღო ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე 400 კვ.მ დაუმთავრებელი შენობა და ჩაატარა შენობის სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულებამაც 2006 წლის მდგომარეობით შეადგინა 91780 ლარი. მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურება ხდებოდა მრიცხველის მონაცემების საშუალებით უშუალოდ მეიჯარისათვის. 2007 წლის მაისში გ. პ-ემ გააძვირა ელექტროენერგიის საფასური და აღნიშნული დადასტურდა „აჭარის ენერჯოკომპანიის“ მიერ გაცემული ინფორმაციით, კერძოდ, დადასტურდა, რომ მეიჯარე წლების განმავლობაში ახდევინებდა საფასურს გაზრდილი ოდენობით საკუთარი შეხედულებების მიხედვით, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, შს „ნ-ს“ სხვა მოიჯარეების მსგავსად, მიადგა ზიანი, რამაც, ექსპერტის დასკვნის თანახმად, შეადგინა 37361 ლარი, გ. პ-ემ უარი განაცხადა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებაზე, რის გამოც აღძრა სისხლის სამართლის საქმე და 2010 წლის 20 იანვრის დადგენილებით მოსარჩელე ცნობილ იქნა დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ.

2010 წლის 29 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურასა და მოპასუხეს შორის შედგა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 2010 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. პ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში, რომლითაც გ. პ-ე გაფრთხილებულია, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებით იგი სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან არ არის გათავისუფლებული. მოსარჩელის განმარტებით, გ. პ-ე ნებაყოფლობით არ ანაზღაურებს ზიანს, რაც სამოქალაქო დავის დაწყების საფუძველი გახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე მისი, როგორც მოპასუხის არასათანადო მხარედ ცნობა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათანადო მოპასუხედ ჩაბმა შემდეგი საფუძვლებით:

შპს „ნ-ს“ ზიანის არ მისდგომია და ის უკანონოდ არის აღიარებული დაზარალებულად, მოსარჩელე ვალდებული იყო, შეთანხმებული სატარიფო განაკვეთით გადაეხადა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური. განაჩენში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს მოპასუხე არ დაეთანხმა იმ საფუძვლით, რომ საპროცესო შეთანხმება მოხდა უკანონო პატიმრობის თავიდან აცილების გამო. საქმეში წარმოდგენილი განაჩენი არ არის პრეიუდიციული.

მოპასუხემ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა და არა ფიზიკური პირი, სარჩელის საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 412-ე და 992-ე მუხლების მითითება არასწორია, ვინაიდან განსახილველი საქმიდან გამომდინარე, ამ ნორმების გამოყენება დაუშვებელია, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის გამოყენებაც უკანონოა, რადგანაც გ. პ-ე არასათანადო მოპასუხეა. სასამართლომ გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა შეაფასოს განსჯადობის საკითხიც, რადგანაც დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია. მოსარჩელე არასწორად განმარტავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 53-ე მუხლებს. მოპასუხის განმარტებით, დაუსაბუთებელია ასევე მოსარჩელის მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან დავა სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარეობს, მოპასუხედ არასათანადო მხარეა ჩაბმული, ამასთან მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, რის გამოც არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და 53-ე მუხლების გამოყენების წინაპირობები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 18 აგვისტოს განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა გ. პ-ის სათანადო მოპასუხით შეცვლის თაობაზე არ დააკმაყოფილა, ხოლო ამავე სასამართლოს 2010 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „ნ-ის“ დირექტორის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. პ-ეს (პ/ნ ...) შპს „ნ-ის“ (ს/კ ...) სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის – 37361 ლარის ანაზღაურება, მოპასუხეს მოსარჩელისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. პ-ემ, მოითხოვა სათანადო მოპასუხით შეცვლაზე უარის თქმის განჩინებისა და გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინებით გ. პ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2010 წლის 18 აგვისტოს საოქმო განჩინება არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე უარის თქმის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2010 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გ. პ-ე მუშაობდა სსიპ – ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორად და საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის, ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ითვლებოდა სახელმწიფო მოხელედ, იგი მსჯავრებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადებაში, კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რაც გამოიხატა შპს „ნ-ისათვის“ 2001 წლიდან 2006 წლის ჩათვლით 111605 ლარის ღირებულების 14346836 კვ.ტ ენერჯის 148966 ლარად მიყიდვაში, რითაც შპს „ნ-ს“ მიაყენა 37361 ლარის ზიანი. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 463-ე-465-ე მუხლების საფუძველზე განმარტა, რომ სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით, ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით, ხოლო კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსით მოვალეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს, ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს მოსთხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელით მოპასუხედ, მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალის დასახელება მოსარჩელეს ნებაზეა დამოკიდებული.

სასამართლომ მითითებით, ვინაიდან მოპასუხე ფიზიკური პირია, ხოლო დავის საგანი დანაშულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა, მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველია, რაც დაუსაბუთებელს ხდის აპელანტის მსჯელობას დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. პ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად შემდეგი გარემოებების გამო:

საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, არც პირველმა და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვაზე, ვინაიდან დავის საგანი დანაშულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა. გ. პ-ე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სის-

ხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული შპს „ნ-ია“, რის გამოც ამ უკანასკნელმა შეიტანა სარჩელი გ. პ-ის მიმართ. კასატორმა მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტსა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლებზე, რაც გამორიცხავს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას. სასამართლომ არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, რადგანაც იგი ვალდებული იყო, საქმე განეხილა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად უნდა ჩაება სახელმწიფო, ვინაიდან სწორედ სახელმწიფოა სამართალური თვითობის ისეთი მონაწილე, რომელზეც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა არის შესაძლებელი. გ. პ-ის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს სახელმწიფოს ინტერესებზე, თუკი საუბარია სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე, გ. პ-ეს შეუძლია სახელმწიფოს მოსთხოვოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ნახევრის გადახდა. ამდენად, საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ.

სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე და ამავე კოდექსის 463-ე-465-ე მუხლებზე, და დაადგინა, რომ სახელმწიფო გ. პ-ესთან ერთად სოლიდარულად აგებდა პასუხს დამდგარი ზიანის ანაზღაურებისათვის. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, გ. პ-ისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხის სახელმწიფოსთან სოლიდარული პასუხისმგებლობის თაობაზე, სააპელაციო ინსტანციამ დაადგინა ისე, რომ სახელმწიფო მხარედ არ ყოფილა ჩართული საქმის განხილვაში და გ. პ-ეს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის საფუძველზე დაუტოვა უფლება, მოითხოვოს მისთვის დაკისრებული თანხის ნახევრის სახელმწიფოსაგან ანაზღაურება. სისხლის სამართლის განაჩენით დადგენილია, რომ შპს „ნ-ი“ მიწოდებულ ელექტროენერჯის საფასურს უხდიდა არა გ. პ-ეს, არამედ თანხა ირიცხებოდა კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშზე, აღნიშნული გარემოება გ. პ-ეს უტოვებს უფლებას, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მთლიანი თანხა, უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე, მოსთხოვოს სახელმწიფოს. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლიანობაზე.

გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური პრინციპით ცალსახადაა განსაზღვრული, რომ მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაესი კანონი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს უფრო ქვემდგომი იერარქიის სამართლებრივი აქტები, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. კონსტიტუციურმა პრინციპმა ასახვა ჰპოვა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომლის 207-ე მუხლში ცალსახადაა მითითებული, რომ თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლი ადგენს განსაკუთრებულ წესს, რაც ნორმის სათაურშია მითითებული, კერძოდ, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია სახელმწიფო მოსამსახურის მიერ, მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებულ წესს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უფრო ახალი კანონია, ვიდრე სამოქალაქო კოდექსი და ემყარება კონსტიტუციურ პრინციპს. სასამართლო, სათანადო მოპასუხის განსაზღვრისას, ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა არა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით, არამედ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლებით და საქმე განეხილა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სასამართლომ გადაწყვეტილებით შპს „ნ-ის“ სასარგებლოდ თანხის გადახდა დააკისრა არასათანადო მოპასუხეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს არ შესთავაზა არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა, რასაც შემდგომ დაუკავშირდებოდა სარჩელის გადაწყვეტის ბედი, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას პრეიუდიციული ძალა მიანიჭა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს, რაც არასწორია, რადგან აღნიშნული განაჩენით დამტკიცებულ იქნა საპროცესო შეთანხმება, ანუ არ მომხდარა საქმის არსებითად განხილვა. გ. პ-ე ბრალდების მხარეს შეუთანხმდა ბრალზე და სასჯელზე. ბრალზე შეთანხმება არ ნიშნავს ზიანის ოდენობაზე შეთანხმებასაც. მით უმეტეს, ზიანის ოდენობა ბრალეულობის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენდა და საპროცესო შეთანხმების დროს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის განხილვა არ ხდებდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში განსვრცილებული ცვლილებების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვაც რომ მომხდარიყო, სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას ზიანის ოდენობის ნაწილში პრეიუდიციული ძალა არ უნდა მიანიჭებოდა. სასამართლომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტისას გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა აღნიშნული ნორმა, რადგანაც არ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით განმტკიცებული კონსტიტუციური პრინციპი, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა იყოს კანონმდებლობა. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

207-ე-208-ე მუხლები, რომელიც სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით ადგენს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის გადანაცვებისათვის განსხვავებულ წესს. გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის დებულება, რის გამოც საქმე განხილულ იქნა განსჯადობით წესების დარღვევით და გ. პ-ეს უსაფუძვლოდ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის გადახდა.

მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-105-ე მუხლების შესაბამისად არ შეაფასა მტკიცებულებები, მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი იყო მოსარჩელის მხარეზე. სასამართლომ სისხლის სამართლის განაჩენს, რომელიც მიღებულია საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ზიანის ოდენობის ნაწილში მიანიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა, მაშინ, როცა სისხლის სამართლის საქმე არსებითად რომ ყოფილიყო განხილული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ გარემოებებს პრეიუდიციული ძალა ვერ ექნებოდა, ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით საქმეში არ ჩააბა შესაბამე პირი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან განაჩენით დადგენილ გარემოებებს პრეიუდიციული ძალა აღარ გააჩნია, გამოდის, რომ ინსტიტუტი უფლებამოსილი იყო, გაეყიდა ელექტროენერგია იმაზე მეტ ფასად, ვიდრე იგი იღებდა. ამასთან, ინსტიტუტი ელექტროენერგიას ყიდდა შპს „ნ-ისათვის“ ფართის მიქირავების გამო. ამდენად, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის დასაბუთება არის აბსურდული და ამავდროულად ხანდაზმულიც.

სასამართლომ შეფასება არ მისცა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ წესს, რომლიც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. იმ შემთხვევაში, თუ შპს „ნ-ი“ თვლიდა, რომ მას მაღალ ფასად მიეწოდებოდა ელექტროენერგია, შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის ან ხელშეკრულების მეორე მხარისათვის და მოეთხოვა ღირებულების შემცირება, რითაც აიცილებდა ზიანს. ამასთან, სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა გ. პ-ის მითითება მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რადგან მოსარჩელე მოითხოვს 2001-2006 წლებში მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ დადგენილ პრაქტიკას, საქმე მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის. სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში მიანიჭა პრეიუდიციული ძალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, სადავო საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც ასევე განმარტავს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტსა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლებს.

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა გ. პ-ის მიერ სადავოდ მიჩნეულ იმ საოქმო განჩინებაზე, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილვაზე მოპასუხის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ზიანის ოდენობად 37361 ლარი, მაშინ, როცა ამ ოდენობის ზიანი შპს „ნ-ს“ არ მისდგომია, რადგან შპს „ნ-ი“ ელექტროენერგიას იღებდა ზუსტად იმ ფასად, რა ფასიც იყო დადგენილი ბაზარზე, ზიანის ოდენობის არასწორად დადგენას ადასტურებს ის გარემოება, რომ ზიანი დათვლილია კვლევითი ინსტიტუტისათვის მიწოდებული მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის ღირებულებასა და შპს „ნ-ისათვის“ მიწოდებულ ელექტროენერგიის სფასურს შორის დადგენილი სხვაობიდან, მაშინ როცა ინსტიტუტს გააჩნდა საკუთარი ტრანსფორმატორი და ყიდულობდა მაღალი ძაბვის ელექტროენერგიას, რომელსაც სჭირდებოდა გარდაქმნა, რაც დაკავშირებული იყო გარკვეულ დანახარჯებთან, ელექტროენერგია შპს „ნ-ს“ მიეწოდებოდა განსხვავებული ფასით, ვიდრე ინსტიტუტი ახდენდა შესყიდვას. შპს „ნ-ის“ მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ხდებოდა ინსტიტუტის ანგარიშზე. შპს „ნ-ი“ ვალდებული იყო, ემტკიცებინა, შეეძლო თუ არა მიეღო ელექტროენერგია იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე ინსტიტუტი აწვდიდა, აღნიშნული პერიოდისათვის იყო ელექტროენერგიის პრობლემები, შპს „ნ-ს“ კი მიეწოდებოდა ელექტროენერგია იმის წყალობით, რომ ინსტიტუტს თავად გააჩნდა დამოუკიდებელი კვების წყარო და მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის გარდაქმნის ახდენდა თავად.

არასწორია სასამართლოს მითითება, რომ დავის სამოქალაქო წესით განხილვას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მოპასუხე ფიზიკური პირია. სარჩელის საგანი იყო დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მოსარჩელე მტკიცებულებებზე უთითებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს, ხოლო სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად – სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლს, ამასთან დადგენილია, რომ გ. პ-ე დამნაშავედ იქნა ცნობილი სამოხელეო დანაშაულში – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინებით გ. პ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივე-ბის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედე-გად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილ-დეს, შესაბამისად უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორის განმარტებით, მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-105-ე მუხლების შესაბამისად არ შეაფასა მტკიცებულებები. ამასთან, სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სისხლის სა-მართლის საქმის არსებითად განხილვაც რომ მომხდარიყო, სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ ფაქ-ტობრივ გარემოებას ზიანის ოდენობის ნაწილში პრეიუდიციული ძალა არ უნდა მიანიჭებოდა. კასატორის მოსაზრებით, გარდა იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი დაუსაბუთებელია, იმავდროულად ხანდაზმულიცაა.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს და-ზარალებულ მხარეს (მოსარჩელეს), თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამარ-თლოს არ დაურღვევია მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების სტანდარტი. ზიანის მიყენები-სათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი ელემენტი, ზიანის არსებობის ფაქტი პირველი ინ-სტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის სა-ფუძველზე, როგორც პრეიუდიციული ფაქტი. ამის საფუძველს სასამართლოს აძლევდა გადაწყვეტილების მიღების დროისათვის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. მართა-ლია, მითითებულ კანონში 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი. რაც შეეხება ზიანის ოდენობის საკითხს, პირველი ინსტანციის სასამარ-თლო დაეყრდნო ლ.სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექ-სპერტიზის 2008 წლის 19 ივნისის დასკვნას. კასატორს ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის არ წა-რუდგენია საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება, რომლის გაზიარების შემთხვევაში ეჭ-ქვეშ დადგებოდა ზიანის ოდენობის საკითხი.

საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამართალ-წარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მხარე იღებს თავის თავზე როგორც ფაქტების გადმოცემის, ისე მათი დამტკიცება-დასაბუთების ტვირთს. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დანაწესიდან, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლო-ბებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქ-ტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურე-ბული ეს ფაქტები. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში მხარეები ვალდებული არიან თავიანთი მოთხოვნის დასაბუთებლად მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებე-ბი წარადგინონ საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების სტადიაზე, ვინაიდან საქმის განხილვის შემდგომ ეტაპზე მათი წარდგენა მკაცრად შეზღუდულია. ამგვარ დანაწესს შეიცავს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 201-ე, 215-ე და 380-ე მუხლები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით დადგე-ნილია კასაციის ფარგლები, კერძოდ პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. ამდენად საკასაციო სასამართლოში ახალ გარემოებებზე მითითება, რაც მხარეს არ დაუყენებია პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, დაუშვებელია და საკასაციო სასამარ-თლოს განხილვის საგანი ვერ იქნება. როგორც საქმის მასალებით დგინდება, კასატორს ხანდაზმულობის საკითხი არ დაუყენებია არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, შესაბამისად სა-კასაციო პალატა ვერ მისცემს შეფასებას სარჩელის ხანდაზმულობის საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-მართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმები. მოცემულ საქმეზე საქმის გარემოებები დადგენილია საქმეში არსებული მტკიცებუ-ლებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა-შეფასების შედეგად, ასევე სახეზე არ არის სასა-მართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმათა იმგვარი დარღვევა, რაც განსახილველ საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების გამოტანას გამოიწვევდა. საკასაციო პალატის შეფასებით, კასატორმა სასა-მართლოს ვერ წარუდგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოს-თვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა – გან-სჯადობა და სათანადო მოპასუხის ინსტიტუტი, რამაც მოცემული კასაციის დაშვების წინამძღვრები შექ-

მნა, ვინაიდან მოცემული საქმე ამ კუთხით მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

კასატორი განსახილველი დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გადაწყვეტის მთავარ არგუმენტად ასახელებს იმ გარემოებას, რომ გ. პ-ე დამნაშავედ ცნობილი იქნა სამოხელეო დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) ჩადენისათვის და ეს უკანასკნელი თავისი სტატუსით წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლების შესაბამისად, სახელმწიფო პასუხისმგებელი და არა გ. პ-ე. საკაცო პალატა კასატორის ამ მოსაზრებებთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, მათ შორის მითითებული ნორმის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება როგორც ზემოთ მითითებული თავის დებულებები, ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი ადმინისტრაციული ორგანოსათვის პასუხისმგებლობის დადგენის რამდენიმე ნიშანს გამოყოფს, კერძოდ: ა) ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, როგორც ზიანის მიმყენებელი სუბიექტის არსებობა; ბ) ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში; გ) ქმედების მართლწინააღმდეგობა; დ) ზიანი; ე) მიზეზობრივი კავშირი მართლწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ზიანის მიმყენებელი პირის სტატუსი არ არის საკმარისი სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, აუცილებელია მოხელის მიერ ზიანის მიმყენებელი ქმედება სხვა პირის მიმართ ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, ამასთან, ამგვარი ქმედების შედეგად დაირღვეს ისეთი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება.

მიუხედავად ზემოთ გაკეთებული დასკვნებისა, დაზარალებულს არ ერთმევა უფლება ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს მოხელისაგან, როგორც ფიზიკური პირისაგან სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, შპს „ნ-ი“ ზიანის ანაზღაურებას ითხოვს არა ადმინისტრაციული ორგანოსაგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლების საფუძველზე, არამედ ფიზიკური პირისაგან სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე. მითითებულ საკითხს მნიშვნელობა აქვს განსჯადობის სწორად გადაწყვეტისათვის. ერთ-ერთ ანალოგიურ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განსჯადობის შესახებ დავა გადაწყვიტა შემდეგი დასაბუთებით: „ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლების საფუძველზე, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს“ (იხ.სუსგ-ბა, №ბს-233-224(გ-10), 8 აპრილი, 2010 წელი). ჩვენს შემთხვევაში გარკვეულია, რომ შპს „ნ-ი“ სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვს არა საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის ნორმების საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსაგან, არამედ კერძო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ფიზიკური პირისაგან. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავა სამოქალაქო სასამართლოს განსჯადია, ხოლო გ.პ-ის მიმართ, როგორც სათანადო მოპასუხის მიმართ სწორადაა წარდგენილი სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მოსამართლის აცტილების საფუძვლები

### განჩინება

№გ-211-ბ-10-2012

23 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 10 თებერვალს მ. დ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებისა საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით მ. დ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. დ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 ივლისის განჩინება.

2011 წლის 21 სექტემბერს მ. დ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა მოცემული საქმის განხილვისაგან მოსამართლე გ.გოდერძიშვილის აცილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველად იმ საფუძვლით, რომ იგი წარდგენილი იყო საპროცესო ვადის დარღვევით.

2011 წლის 26 ოქტომბერს მ. დ-ემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა მოსამართლის აცილების თაობაზე წადგენილი განცხადების განხილვის საპროცესო ვადის აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინებით მ. დ-ის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. დ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 თებერვლის განჩინებით მ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, კერძოდ, 2011 წლის 19 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. დ-ის კერძო საჩივარი, ხოლო განცხადება შეტანილ იქნა 2011 წლის 26 ოქტომბერს, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, მ. დ-ის განცხადება სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობდა კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

2012 წლის 28 მარტს მ. დ-ემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე მ. ს-ს არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, ვინაიდან მის მიმართ წარდგენილი ჰქონდა სადისციპლინო საჩივარი, რითაც მას წარმოეშვა თვითაცილების ვალდებულება, რაც მოსამართლე მ. ს-ს არ განუხორციელებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მ. დ-ის განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში დაუშვებელია, თუ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები, აგრეთვე, თუ მოსამართლე არ იყო დანიშნული კანონის შესაბამისად ან გასული იყო მისი უფლებამოსილების ვადა.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მტკიცებით, მოსამართლე მ. ს-ს მისი კერძო საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან მ. დ-ეს მის მიმართ წარდგენილი ჰქონდა სადისციპლინო საჩივარი, რითაც მას წარმოეშვა თვითაცილების ვალდებულება, რაც მოსამართლე მ. ს-ს არ განუხორციელებია.

საკასაციო პალატა ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოთითხილული მუხლების მიხედვით, მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობის მიღება ეკრძალება, თუ იგი მანამდე რაიმე სტატუსით მაინც მონაწილეობდა მხარეებს შორის არსებული დავის განხილვაში (საქმეს განიხილავდა ქვემდგომ ინსტანციაში, თავად იყო მხარე ან მხარის წარმომადგენელი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან სხდომის მდივანი და ა.შ. პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში) მოცემულ შემთხვევაში კი, ის გარემოება, რომ მ. დ-ეს მაია სულხანიშვილის მიმართ სადისციპლინო საჩივარი ჰქონდა წარდგენილი, არ ქმინდა მოსამართლე მაია სულხანიშვილის საქმის განხილვაში მონაწილეობის დამაბრკოლებელ გარემოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე, 423-ე, 430-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

მ. დ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

**გადანყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-640-601-2011 6 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხისა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ჩ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ხ-ის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული 15000 აშშ დოლარისა და ზიანის – 25000 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი დაკმაყოფილდა, რაზეც მოპასუხემ შეიტანა საჩივარი. ამავ უსაფუძვლო 2010 წლის 4 მარტის განჩინებით მ. ხ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე მ. ხ-მა შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ გაუქმდა, ხოლო საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს არსებითად განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2010 წლის 11 იანვარს სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2010 წლის 8 იანვარს მოპასუხე მ. ხ-ის წარმომადგენლებმა ნ. ო-მა და ნ. ლ-ემ განცხადებით მიმართეს სასამართლოს, რომ ვერ გამოცხადდებოდნენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვინაიდან იმავე დღეს, იმავე დროს მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და იცავდნენ განსასჯელ ი. თ-ის ინტერესებს. წარმომადგენლებმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს საქმის განხილვის გადადების თაობაზე. განცხადებას დაერთო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გაცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ ადვოკატები ნ. ო-ი და ნ. ლ-ე მონაწილეობენ 2010 წლის 11 იანვარს, 10.00 საათზე დანიშნულ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და იცავენ განსასჯელ ი. თ-ეს.

2010 წლის 11 იანვარს სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოპასუხე მ. ხ-ი და მისი წარმომადგენლები, გამოცხადდა მოსარჩელე ს. რ-ს წარმომადგენელი ო. გ-ე, რომელმაც იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 241-ე მუხლებით, 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ხელშემშლელი გარემოება, კერძოდ, მოპასუხის გამოუცხადებლობა განპირობებული იყო საპატიო მიზეზით.

სააპელაციო პალატამ დადასტურებლად ჩათვალა ის გარემოება, რომ მ. ხ-ის წარმომადგენლები – ნ. უ-ი და ნ. ლ-ე მოცემული საქმის განხილვისას იმყოფებოდნენ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმომადგენლებმა შეასრულეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა და სხდომაზე რამოდენიმე დღით ადრე აცნობეს სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ მოპასუხის წარმომადგენლები – ნ. ო-ი და ნ. ლ-ე 2010 წლის 11 იანვარს, 10.00 საათზე სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ესწრებოდნენ მხოლოდ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, ამდენად, აღნიშნული გარემოება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს იმის მტკიცებულებად, რომ ადვოკატთა დასწრება მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას სხდომაზე სავალდებულო არ იყო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა უნდა ემყარებოდეს ვარაუდს, რომ მხარეს დაკარგული აქვს საქმის განხილვის მიმართ ინტერესი, იგი შეგნებულად არიდებს თავს პროცესში მონაწილეობას ან მისი მოქმედება მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მონაწილეობდა სასამართლოში მიმდინარე დავის განხილვაში, რაც გამოიხატებოდა სხდომებზე გამოცხადებაში, სასამართლოსათვის ახსნა-განმარტებების მიცემაში თუ სხვა საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაში, შესაბამისად, აღნიშნული არ იძლევა მხარის მიერ საქმის მიმართ ინტერესის დაკარგვის, ან საქმის განხილვის ხელოვნურად გაჭიანურების მცდელობის ვარაუდის საფუძველს.

სასამართლომ ასევე საპატიოდ ჩათვალა საქმის განხილვაზე თავად მ. ხ-ისა და მისი წარმომადგენლის (ამავდროულად მეუღლის) – ნ. ხ-ის გამოუცხადებლობაც, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად, განიზიარა შპს „ლ-ას“ საექიმო ამბულატორიის მთავარი ექიმის – რ. ხ-ის სამედიცინო ცნობა ნ. ხ-ის ავადმყოფობის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ 2011 წლის 24 მარტს მიიღო დამატებითი განჩინება, რომლითაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ს. რ-ს მ. ხ-ის სასარგებლოდ დააკისრა მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით განეული ხარჯის – 2870,40 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს დამატებითი განჩინება ს. რ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და უგულებელყო ამავე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც საქმეზე სასამართლო ხარჯები უნდა განაწილებულიყო არსებითად მიღებული გადაწყვეტილებით. მოცემულ შემთხვევაში კი საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. რ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული დამატებითი განჩინება გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კასატორი ს. ჩ-ი ასაჩივრებს სააპელაციო პალატის დამატებით განჩინებას, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო ბაჟის საკითხი და ს. ჩ-ს მ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაწეული ხარჯის – 2870,40 ლარის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს ძირითადი განჩინებით კი საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი წარმოება არსებითად არ დასრულებულა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, რომელიც ადგენს სასამართლო ხარჯების განაწილების წესს. აღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ხარჯების საბოლოო განაწილება დამოკიდებულია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, დაკმაყოფილდა თუ არა სარჩელი (სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრები) და რა მოცულობით მოხდა მისი დაკმაყოფილება. მხოლოდ დავის არსებითად გადაწყვეტის შედეგადაა შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რომელ მხარეს რა ოდენობით სახელმწიფო ბაჟი ან სხვა სასამართლო ხარჯები უნდა დაეკისროს. შესაბამისად, აღნიშნული უნდა განხორციელდეს სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმის განხილვა არსებითად სრულდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უცვლელად ტოვებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას, იგი იმსჯელებს მხოლოდ ამ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და თუ სხვა ხარჯების განაწილებაზე, ხოლო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ხარჯები დარჩება უცვლელად.

როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებით, რომელზეც მიღებულ იქნა გასაჩივრებული დამატებითი განჩინება, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ გაუქმდა, ხოლო საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს არსებითად განსახილველად, ანუ საქმის წარმოება არ დასრულებულა. საქმის ხელახლა განხილვისას კი არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ დავის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტასთან ერთად შეიცვალოს გასაჩივრებული დამატებითი განჩინებით განაწილებული სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხიც. შესაბამისად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ეტაპზე დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების კანონიერების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთ დროს სასამართლოს არ გააჩნია ის მონაცემები, რაც აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დადგენისა თუ სხვა სასამართლო ხარჯების განაწილებისათვის.

სწორედ ზემოხსენებულის გამო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი უთითებს, რომ, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. სხენებული ნორმა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში გაუქმებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასამართლო ხარჯების განაწილება ძალას კარგავს და აღნიშნული ხელახლა უნდა განაწილდეს დავის არსებითად გადაწყვეტის დროს.

ამდენად, მოცემული საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების, ხოლო საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნების პირობებში სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრის მიზანშეწონილობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

ს. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის დამატებითი განჩინება და მიღებულ იქნას შემდეგი ახალი გადაწყვეტილება: მოცემულ დავაზე სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

**ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№აბ-195-188-2012

4 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ც., ე. და ე. ა-ებმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს რ. შ-ის (მ-ის) მიმართ და მოითხოვეს უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა შემდეგი დასაბუთებით: ქ.თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ხ. ჯ-ს 1999 წლის 15 იანვრის განჩინებით საქმეზე №2/48 მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიედვითაც, მიღწეულ იქნა შეთანხმება მოსარჩელებსა და რ. შ-ს შორის. მორიგების პირობების თანახმად: სადავო სამზარეულო შუაზე გაიყო გადატიხვრის გარეშე, რომლის ნახევარი მიეკუთვნა რ. შ-ს, ნახევარი კი, მოსარჩელებს. 1999 წლიდან ექვსი წლის განმავლობაში აღნიშნული სამზარეულო, მორიგების პირობების შესაბამისად, იყო საერთო, თუმცა რ. შ-ი ცდილობდა, ყოველთვის შეექმნა კონფლიქტური სიტუაციები და როგორმე მოსარჩელები სამზარეულოდან თვითნებურად გამოეხსლებინა. 2005 წლის დასაწყისში კი, როდესაც ც. ა-ე არ იმყოფებოდა თბილისში, რ. შ-მა თვითნებურად, ზნეობისა და კანონის საწინააღმდეგოდ, სამზარეულოდან მათი ნივთები გამოყარა. ა. ა-ე და ე. ა-ე აღკოპოლზე არიან დამოკიდებულები. რ. შ-მა აღნიშნული ფაქტი გამოიყენა თავის სასარგებლოდ და 2002 წლის მაისში სახლმმართველთან გარიგებით, მთვრალ ა. ა-სა და ე. ა-ს ხელი მოაწერინა შინაურულ ხელწერილზე, თითქოს 150 ლარის სანაცვლოდ მას მისცეს მოსარჩელების წილი საერთო სამზარეულოში. აღნიშნული წილის საზღაური – 150 ლარი კი, მოპასუხეს ა. და ე. ა-ებისათვის არ გადაუცია.

წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო რ. შ-მა შემდეგი დასაბუთებით:

2002 წელს ა. და ე. ა-ებმა 150 ლარის საფასურად დაუთმეს სამზარეულოს მე-2 ნაწილი. 1999 წლამდე, ანუ სასამართლო განჩინების გამოტანამდე ვინ ფლობდა სამზარეულოს, დავისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელები სამზარეულოს მთლიანად არასოდეს ფლობდნენ, ნაწილობრივი ფლობა კი შეწყვიტეს სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ, რაზეც 2002 წელს შედგა ხელწერილი. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გასულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, რომელსაც ადგენს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია უკანონო მფლობელობიდან ნივთის დაბრუნება მოითხოვოს სამი წლის განმავლობაში. სადავო ფართს რ. შ-ი ფლობს 2002 წლიდან. მოპასუხეს მიაჩნია, რომ სადავო სამზარეულოს მოსარჩელების ნების საწინააღმდეგოდ დაუფლების შემთხვევაშიც კი, გასულია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ე., ე. და ც. ა-ების სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ.თბილისში, რ-ის გზატკეცილი №8-ში მდებარე 7 კვ.მ სამზარეულოს ფართი მოსარჩელების ც., ე. და ე. ა-ების სასარგებლოდ მოპასუხე რ. შ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება. ც. ე. და ე. ა-ებს რ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ ორთავე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 280 ლარის ანაზღაურება. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 15 იანვრის განჩინებით სამოქალაქო საქმეზე №2/48 დამტკიცდა მზარეთა შორის შეთანხმება ც. ა-სა და მაშინდელ მოსარჩელეს რ. შ-ს (ქორწინების შემდგომი გვარი მ-ი) შორის. მზარეთა შორის გადატიხვრის გარეშე, გაყოფილ იქნა შუაზე 14 კვ.მ სადავო სამზარეულო, მდებარე ქ.თბილისში, რ-ის გზატკეცილი №8-ში. ნახევარი ფართი სარგებლობის უფლებით მიეკუთვნა ც. ა-ის (ამჟამინდელი მოსარჩელების) ოჯახს. ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ ე. ა-ე წარმოადგენდა ქ. თბილისში, რ-ის გზატკეცილი №8, №33ა-ში მდებარე 12.51 კვ.მ ფართის მესაკუთრეს, ხოლო ე. ა-ე – ქ. თბილისში, რ-ის გზატკეცილი №8, №33-ში მდებარე 25.83 კვ.მ ფართის მესაკუთრეს. 2002 წლის 8 მაისს ა. ა-მ – ც. ა-ის მეუღლემ და ე. და ე. ა-ების მამამ, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 15 იანვრის განჩინებით მისდამი მიკუთვნებული 7 კვ.მ სამზარეულოს ფართი გადასცა თავის მეზობლად მცხოვრებ რ. შ-ს (მ-ს), რის საფასურად ამ უკანასკნელმა გადაუხადა 150 ლარი. ხელწერილს ხელს აწერდნენ ა. ა-ე და ე. ა-ე. საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ხელწერილი არ მიიჩნია სათანადო დასტურად იმისა, რომ მოსარჩელებმა სადავო სამზარეულოს სარგებლობის უფლება დაუთმეს მოპასუხეს, რადგან ხელწერილი შედგენილი იყო ა. და ე. ა-ების მონაწილეობით მაშინ, როდესაც სადავო სამზარეულოს ნახევარი 7 კვ.მ ზემოხსენებული განჩინებით სარგებლობაში გადაეცა ც. ა-ის ოჯახს, ამ ხელწერილის შედგენაში კი არც თავად ც. ა-ე და არც ოჯახის სხვა წევრები, მისი შვილი ე. ა-ე არ მონაწილეობდნენ და მათ ამგვარი ნება არ გამოუვლენიათ.

ქ.თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 15 იანვრის განჩინებით სადავო ფართი სარგებლობის უფლებით მიეკუთვნა არა პერსონალურად ც. ა-ს, არამედ „ც. ა-ის ოჯახს“. სწორედ ც. ა-ის არყოფნის პერიოდში ხსენებული ფართით სარგებლობდნენ მისი ოჯახის წევრები (მეუღლე და შვილი, რომლებიც ამავე დროს საჯარო რეესტრში აღრიცხული იყვნენ სადავო ფართის მომიჯნავე უძრავი ქონების მესაკუთრეებად), რომელთაც 2002 წლის 8 მაისს გარიგებით 150 ლარის სანაცვლოდ, დაუთმეს მოპასუხეს სადავო ფართით სარგებლობის უფლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თა-

ნახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამდენად, სამოქალაქო პროცესში სასამართლო შებოჭილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოში არ არის წარდგენილი სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველზე არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელების მოთხოვნა უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოსვლის თაობაზე არის ხანდაზმული.

სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად. მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ერთ ნივთს რამდენიმე პირი ერთობლივად ფლობს, ისინი ითვლებიან თანამფლობელებად. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა, სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის მიხედვით, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია, ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებული ნორმა პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა. აპელანტმა მართებულად მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმა საქალაქო სასამართლომ გაიგო ისე, თითქოს, მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობა საერთოდ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ისე უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელეთა მოთხოვნა, რაც არასწორი იყო. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელ მოთხოვნებზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდებოდა პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი და მეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო. ასევე, მესაკუთრეს (და არა მფლობელს) შეუძლია, გამოითხოვოს თავისი საკუთრება უკანონო მფლობელობიდან ნებისმიერ დროს. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის შინაარსს, მართლზომიერ მფლობელს შეუძლია სამი წლის განმავლობაში ახალ მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, მაგრამ, თუ ახალ მფლობელს გააჩნია მფლობელობის უკეთესი უფლება, ძველ მფლობელს დადგენილ ვადაში რომ მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, იგი მას მაინც ვერ მიიღებს, ანუ ყოფილი მფლობელის მოთხოვნა, მართალია, ხანდაზმული არ არის, მაგრამ სამართლებრივად უსაფუძველბა, რადგან ამ შემთხვევაში მისი მფლობელობის ხარისხის გადაფარვა ხორციელდება ახალი მფლობელობის უკეთესი უფლებით.

ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ა-ები სამწლიანი ვადის გასვლამდე მოსთხოვდნენ რ. მ-ს სადავო ფართს, მათი სარჩელი მაინც არ დაკმაყოფილდებოდა, მიუხედავად სარჩელის დროულად შეტანისა, თუკი სასამართლო დაადგენდა, რომ მოპასუხეს მათზე უკეთესი უფლება ჰქონდა, თუმცა იმის გარკვევა ვის ჰქონდა უკეთესი მფლობელობის უფლება სააპელაციო სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია, რადგან აშკარაა, რომ მოსარჩელებმა გაუშვეს სამწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაში პირს შეუძლია, მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. ხანდაზმულობა შემოიფარგლება დროის პერიოდულობით, რომელიც მრავალ მიზეზს უკავშირდება: 1. ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას. ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას, აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულს იძლევა. ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ვადის ათვლა იწყება არა უფლების დარღვევის მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ უძრავი ნივთით სარგებლობის უფლების დათმობის თაობაზე მოსარჩელეთათვის ცნობილი იყო მფლობელობის გადაცემის პირველ წელსვე, კერძოდ კი – 2002 წელს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2002 წლიდან და ამ პერიოდთან 3 წლის გასვლისთანავე, 2005 წელს ამოიწურა, ხოლო მოსარჩელეებმა სარჩელით სასამართლოს მიმართეს მხოლოდ 2011 წლის 27 აპრილს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. სამოქალაქო კოდექსი კი ხანდაზმულობის ვადებს ადგენს იმ მიზნით, რომ ამ ვადებში პირმა მოითხოვოს დარღვეული უფლების იძულებით განხორციელება. ეს შესაძლებლობა კი პირს ეკარგება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლით. სააპელაციო სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი გაზიარებული იქნება მოსარჩელეთა მტკიცება მასზე, რომ ისინი სამზარეულოს სადავო ფართს ფლობდნენ არა 2002 წლის 8 მაისამდე, არამედ – 2005 წლის დასაწყისამდე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელების მოთხოვნა უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე ხანდაზმულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა., ე. და ც. ა-ებმა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი გადასახდელად ისევ მათ დააკისრა, რაც არასწორია. პირველ ინსტანციაში გადახდილი 120 ლარი უნდა დაეკისროს რ. მ-ს, რადგან დავა დასრულდა მოსარჩელების სასარგებლოდ. ამასთან, რ. მ-ს ნივთზე უკეთესი ფლობის უფლება არ გააჩნია, ვინაიდან, სადავო ფართი მოპოვებული აქვს ძალადობით, ზნეობისა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით. კასატორებს მიაჩნიათ, რომ სააპელაციო სასამართლომ მიერ გადაწყვეტილება მიღებულია ტენდენციურად, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც., ე. და ე. ა-ების საკასაციო საჩივარი, რომელიც საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ე., ე. და ც. ა-ების სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე რ. მ-ს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების 120 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ.მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ც., ე. და ე. ა-ებს რ.მ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ ორთავე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 280 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ ბაჟის დაკისრების გადაწყვეტის საკითხს შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოცემული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამავ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ, თუ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება, მოსარჩელეს აუნაზღაურდება ყველა სასამართლო ხარჯი, რომელიც მის სასარგებლოდ დაეკისრება მოპასუხეს. თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მაშინ, პირიქით, მას დაეკისრება მოპასუხის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ანალოგიური წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ სასამართლო ხარჯების განაწილების დროს, რომელიც მხარეებმა გასწიეს საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ხარჯების განაწილება დამოკიდებულია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის შედეგზე.

ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელებს გადახდილი ჰქონდათ სახელმწიფო ბაჟი, მათ, უნდა დაკისრებოდათ მხოლოდ სააპელაციო წარმოებისას რ. მ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 160 ლარის გადახდა, რადგან 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. პალატამ კი, ც., ე. და ე. ა-ებს დააკისრა ამავ მხარის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 120 ლარი, რაც უსაფუძვლოა და განჩინება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა ა ზ ი ნ ა:

ც., ე. და ე. ა-ების საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება ც., ე. და ე. ა-ებისათვის სახელმწიფო ბაჟის – 120 ლარის რ. მ-ის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში გაუქმდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება

### განჩინება

№ას-713-669-2012

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: საკუთრებაში არსებულ ნივთზე ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ბ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ხ-ის მიმართ და მოითხოვა საკუთრების ხელშეშლის აღკვეთა შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელეს მიწის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიეზომა ნაკვეთი, რომელიც ამჟამად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. მოპასუხემ მიიტაცა ლ. ბ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და შემოღობა იგი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მოსარჩელემ მიმართა პოლიციას, რომელმაც აუკრძალა მ. ხ-ს მიწის ნაკვეთით სარგებლობა, თუმცა, აღნიშნულს შედეგი არ მოჰყოლია.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2009 წლის 14 ივლისის დარეგისტრირებული ნაკვეთი 1993 წლის 10 მაისის მიწის მიღება-ჩაბარების აქტით არ მდებარეობს რეგისტრაციის ადგილზე.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საჯარო რეესტრის 2009 წლის 14 ივლისის ამონაწერის მიხედვით მოსარჩელე ლ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო ზონა ჩოხატაური, კოდი .., სექტორი ქვენობანი კოდი .., ნაკვეთის №.., კვარტალი .., ფართობი 2450მ<sup>2</sup> რეგისტრაციის საფუძველი არის მიღება-ჩაბარების აქტი, გაცემული 1993 წლის 10 მაისს, ცნობა არქივიდან კომლის შემადგენლობაზე №342, გაცემული 2008 წლის 25 აგვისტოს). ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩოხატაურის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 14 ივლისის განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია ლ. ბ-ის სახელზე შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემებით – სარეგისტრაციო ზონა ჩოხატაური, კოდი .., სექტორი ქვენობანი კოდი .., ნაკვეთის №.., კვარტალი .., ფართობი 2450 მ<sup>2</sup>. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებით დატოვებულ იქნა უცვლელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 ივლისის განჩინებით ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

მ. ხ-მ სააპელაციო საჩივარზე, არასაპატიო მიზეზით, შესაგებელი არ წარმოადგინა, აგრეთვე, მოწინააღმდეგე მხარე, არასაპატიო მიზეზით, არ გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს უპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები, იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო

მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე მონიშნულ დღეებში არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მონიშნულ დღეებში მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება დაემყაროს, მხოლოდ აპელანტის ახსნა-განმარტებას, ე.ი. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება, გამოტანილ იქნეს, თუ ახსნა-განმარტებაში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს აპელანტის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოში მიიჩნია, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, ფაქტობრივი გარემოებები არის ის რაც მოხდა და რასაც შესაძლებელია მიენიჭოს სამართლებრივი მნიშვნელობა. ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, მონიშნულ დღეებში მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დადასტურებულად ითვლება, სწორედ, ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები და არა ამ ფაქტების აპელანტისეული სამართლებრივი შეფასებები. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი, რეესტრის ჩანაწერები მიიჩნევა სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. სააპელაციო სასამართლო სხდომაზე აპელანტის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩოხატაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2009 წლის 14 ივლისს განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია ლ. ბ-ის სახელზე (სადავო მიწის ნაკვეთზე). ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩოხატაურის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 14 ივლისს განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია ლ. ბ-ის სახელზე შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემებით – სარეგისტრაციო ზონა ჩოხატაური, კოდი ..., სექტორი ქვენობანი კოდი ..., ნაკვეთის №..., კვარტალი ..., ფართობი 2450 მ<sup>2</sup>. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებით დატოვებულ იქნა უცვლელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 ივლისის განჩინებით ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად ამდენად, ზემოაღნიშნულ მოტივირებათა საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის მიერ მითითებული და დადასტურებულად ცნობილი ფაქტები იურიდიულად უსაფუძვლოა, რადგან დადასტურებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ბ-მ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მესაკუთრე კვლავ ლ. ბ-ა, რომელსაც უფლება აქვს, მოითხოვოს საკუთრების ხელშეშლის აღკვეთა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რაზეც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად, ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯების – 100 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ლ. ბ-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომელიც დართული იყო, როგორც საქმის განხილვის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე სააპელაციო სასამართლოში, ცალსახად დასტურდება, რომ ლ. ბ-ე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან (საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2010 წლის 2 მარტს გაცემული ცნობა და 2012 წლის 17 იანვრის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან). სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან: მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.



ლ. ბ-მ სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილშიც, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს ამ პრეტენზიისათვის შეფასება არ მიუცია, რაც მოცემული განჩინების ამ ნაწილში გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), რის გამოც საკასაციო სასამართლო, მოცემულ შემთხვევაში, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილების კანონიერებაზე. აღნიშნული კი, საქმის ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**ღ ა ა ღ ბ ი ნ ა :**

ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩელის გამომშობა

### განჩინება

№ას-246-238-2012

1 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. კ-ას მიმართ სწავლის საფასურის სახით 2250 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

2012 წლის 1 მარტს კასატორის წარმომადგენელმა სასამართლოს სარჩელის გამომშობის შესახებ შუამდგომლობით მომართა. მოპასუხე აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამომშობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამომშობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით.

განსახილველ შემთხვევაში კასატორმა სარჩელის გახმობის თაობაზე იშუამდგომლა, ხოლო მოპასუხე ნ. კ-ას წარმომადგენელი ა. ც-ე აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოსმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ განუღო სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოსმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარჩელი უნდა დარჩეს განუხილველად, ამასთან, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხოლო მოსარჩელეს სრულად დაუბრუნდეს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 831-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო №...) სარჩელი დარჩეს განუხილველად სარჩელის გახმობის გამო;

2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს პირველი და სააპელაციო ინსტანციის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება;

3. მოსარჩელეს დაუბრუნდეს საკასაციო ინსტანციაში 2012 წლის 2 თებერვლის №208 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;

4. სახელმწიფო ბაჟი დაბრუნდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან (სს ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01) სს „ბანკი რესპუბლიკის“ მეშვეობით;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება სარჩელის გამოსმობის შემთხვევაში

#### განჩინება

№ას-1260-1107-2010

14 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. შ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ს-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ასევე თანხის გადახდის დაყოვნებით მიყენებული ზიანის, სულ მოპასუხისათვის 1900 აშშ დოლარის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 30 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ი. ს-შვილს დაეკისრა 1900 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელე ი. შ-იას სასარგებლოდ.

2010 წლის 7 ივნისს მოპასუხემ საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოცემულ საქმეზე 2003 წლის 30 დეკემბერს გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით მოპასუხე ი. ს-შვილის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით ი. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 30 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2010 წლის 28 ივნისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ი. შ-იას უფლებამონაცვლე მ. შ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ი. ს-შვილის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებით მ. შ-იას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად მისი გამოთხოვის გამო.

მ. შ-იამ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს მისთვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის დაბრუნების მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ მ. შ-იას განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, მ. შ-იას სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს 300 ლარი შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებით მ. შ-იას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად საკასაციო საჩივრის გამოხმობის გამო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს განმცხადებლის არგუმენტს, რომ მ. შ-იას წინასწარ გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო 83<sup>1</sup> მუხლი ადგენს, რომ, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

განსახილველ შემთხვევაში მ. შ-იამ გამოიხმო საკასაციო საჩივარი, რის გამოც იგი დარჩა განუხილველად. ამდენად, კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 29 ნოემბერს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 83<sup>1</sup> მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

მ. შ-იას განცხადება საკასაციო სასამართლოში წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

მ. შ-იას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 29 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დავის სამართლებრივი საფუძველის განსაზღვრა

### ბანკინება

№ას-690-651-2010

21 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ო-ნმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ა-ძის მიმართ 26500 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების – 1543,38 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ა. ო-ნმა ა. ა-ძეს სესხის სახით გადასცა ფულადი თანხა 30 000 აშშ დოლარი, რაც დასტურდება 2008 წლის 22 სექტემბრის ხელწერილით. აღნიშნული ხელწერილით მოპასუხე ა. ა-ძემ ვალდებულება იკისრა, მოსარჩელისათვის თანხა გადაეხადა ამავე ხელწერილში მოცემული გრაფიკის მიხედვით. მოპასუხემ გრაფიკის შესაბამისად, დაიწყო ვალის გადახდა და კრედიტორს გადაუხადა 3 500 აშშ დოლარი, რაც მოსარჩელეს ხელწერილზე აქვს აღნიშნული და ხელმოწერით დადასტურებული. მოპასუხეს ვალი სრულად უნდა გადაეხადა 2009 წლის 1 დეკემბრამდე, რაც მისი მხრიდან არ შესრულდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა 2008 წლის 22 სექტემბრის ვალის აღიარების ხელწერილის ბათილად ცნობა. ა. ა-ძემ განმარტა, რომ ა. ო-ნთან ჰქონდა მეგობრული დამოკი-

დებულება. ა. ო-ნმა სთხოვა, ოჯახური და ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად შეედგინათ ხელწერილი, თითქოს ა. ა-ქმ მისგან ისესხა 30000 აშშ დოლარი. აღნიშნული დაარწმუნებდა მის მეუღლესა და კრედიტორებს, რომ ა. ო-ნს თანხა ჰქონდა ასაღები. ა. ა-ქმ თავიდან დათანხმდა და შეადგინა სადავო ხელწერილი, თუმცა მაშინვე გადაიფიქრა, დაახვეინა და დაანუგეზინა მონინალმდევე მხარეს მითითებული დოკუმენტი. შესაძლოა, ა. ო-ნმა სხვა ფურცელი დახია და დაწვა ან გააყალბა ა. ა-ძის ხელმოწერა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ო-ნის სარჩელი დაკმაყოფილდა. ა. ა-ქმ მის სასარგებლოდ დაეკისრა 26500 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, ხოლო შეგვებულ სარჩელს ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ო-ნის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ა-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ა. ო-ნის სარჩელის დაკმაყოფილებისა და ა. ა-ძისათვის ა. ო-ნის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 1543,38 ლარის, ადვოკატის მომსახურებისათვის 500 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ო-ნის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ხოლო ა. ო-ნს ა. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო წარმოებისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1864, 41 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ ა. ა-ძისაგან 26500 აშშ დოლარის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და სესხის სახით გადაცემული 30000 აშშ დოლარის გადაუხდელი ნაწილის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, ასევე სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლმა განმარტა, რომ სარჩელით მოთხოვნილი თანხა იყო მანქანა-დანადგარების ღირებულება, რომელიც ა. ო-ნმა, როგორც ფიზიკურმა პირმა, ჩამოუტანა ა. ა-ძეს. საქმში წარმოდგენილ 2008 წლის 22 სექტემბერს ა. ა-ძის მიერ ხელმოწერილ სადავო ხელწერილში დაფიქსირებულია შემდეგი: „... ეს თანხა (ოცდაათი ათასი დოლარი) ა. ა-ქმ, ზემოთ აღნიშნული გრაფიკის მიხედვით უნდა გადაუხადოს ა. ო-ს“.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმის, ჰ. ა-ის ჩვენებით ირკვევა, რომ ა. ო-ნისა და ა. ა-ძის ერთობლივი საქმიანობის ანგარიშები ასახული იყო რვეულში, რომელიც მას ნანახი ჰქონდა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის დადება იგი არ დასწრებია და მის შესახებ მოგვიანებით შეიტყო.

მოწმის, მ. გ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ იგი ესწრებოდა ხელწერილის შედგენას. ამ ხელწერილის შედგენის მიზეზი იყო ერთი მხარის ნება საქმიანობის (მუშაობის) შეწყვეტისა, რასაც დაეთანხმა მეორე მხარე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით და მიუთითა, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დაადასტურა, სარჩელით მოთხოვნილი 26500 აშშ დოლარი ა. ო-ნს ა. ა-ძისათვის სესხის სახით არ გადაუცია. პალატამ მიიჩნია, რომ ა. ო-ნის სასარჩელო მოთხოვნა სესხის სახით გადაცემული თანხის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა და მისი დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ სარჩელის საფუძველი მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე შეცვალა და მოპასუხისათვის თანხის დაკისრების საფუძველად სესხის ხელშეკრულების ნაცვლად, მოძრავი ნივთების (დაზღა-დანადგარების) გადაცემის შედეგად წარმოშობილ გარიგებაზე მიუთითა, ამასთან, მოპასუხე ა. ა-ძეს თანხმობა სარჩელის საფუძვლის შეცვლაზე არ განუცხადებია, განსახილველ შემთხვევაში სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს ა. ო-ნის შეცვლილ სასარჩელო მოთხოვნაზე.

ა. ა-ძის შეგვებულ სარჩელის მოთხოვნასთან, კერძოდ, 2010 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული ხელწერილის, როგორც ვალის არსებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან მოწმის სახით დაკითხული მუნურ გულთეჭინის ჩვენებით, ხელწერილის დადება განაპირობა მხარეთა ნებამ, აღარ გაეგრძელებიათ ერთობლივი საქმიანობა. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ აღნიშნული ხელწერილი შედგენილია მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყოლოდა.

ის გარემოება, რომ სადავო ხელწერილში დაფიქსირებული თანხა ა. ო-ნს ა. ა-ძისათვის სესხის სახით არ გადაუცია, ვერ გახდება ამ ხელწერილის ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, ა. ა-ძის შეგვებულ სარჩელს დაუხაზუთებელია.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ თავად მიუთითა, რომ სარჩელით მოთხოვნილი თანხის – 26500 აშშ დოლარის გადაცემის საფუძველს არ წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულება, ამდენად, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა და ასევე არასწორად მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი 2010 წლის 22 სექტემბრის ვალის აღიარების ხელწერილი წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებას, რაც საფუძველად დაუდო ა. ო-ნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ა. ო-ნის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. ვინაიდან, ა. ა-ძის შეგვ-

ბეჭული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს ამ ნაწილში მისი გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ა. ა-ძის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში ა. ო-ნს ა. ა-ძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად სააპელაციო წარმოებისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 26500 აშშ დოლარის 4%-ის – 1864,41 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილებით ა. ა-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღირსძიება და ა. ა-ძის კუთვნილ უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დამატებითი გადაწყვეტილება ა. ო-ნმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ა. ო-ნის სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რადგან სასამართლოს მხარისათვის დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ უცნობებია. ასევე არ არსებობდა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების არც ერთი წინაპირობა.

სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როდესაც იმსჯელა სარჩელის საფუძვლის შეცვლაზე, მაშინ, როცა ასეთი არ მომხდარა. დაზუსტდა მხოლოდ მითითებული გარემოებები და ფაქტობრივი საფუძველი ისე, რომ სარჩელის თავდაპირველი საფუძვლის აზრი და შინაარსი არ შეცვლილა.

პალატამ არასწორად იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველებზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა და არც 2010 წლის 22 სექტემბრის ვალის აღიარების ხელწერილი სესხის ხელშეკრულებად არ მიუჩნევია, არამედ თავისი გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლზე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სარჩელის მიხედვით ა. ა-ძისაგან 26500 აშშ დოლარის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და სესხის სახით გადაცემული თანხის 30000 აშშ დოლარის გადაუხდელი ნაწილის ანაზღაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ რეალურად სარჩელით მოთხოვნილი თანხა იყო არა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება, არამედ იმ მანქანადანადგარების ღირებულება, რომელიც ა. ო-ნმა ჩამოუტანა ა-ძის. საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილით ა. ა-ძე კისრულობს აღნიშნული თანხის გადახდას.

იმ საფუძველით, რომ სადავო თანხა, 26500 აშშ დოლარი, ა. ო-ნს ა. ა-ძისათვის სესხის სახით არ გადაუცია, სააპელაციო პალატამ მიზანშეუწონლად მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილება. ამასთან, სასამართლომ მოსარჩელის მიერ მთავარ სხდომაზე დაყენებული მოთხოვნა – ნივთების საფასურის გადახდევინების შესახებ – მიიჩნია სარჩელის საფუძვლის შეცვლად და მითითებული მოთხოვნა არ იქნა განხილული სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს ასეთი სახის განმარტება არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობიდან. პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ მოპასუხეს ჰქონდა გადასახდელი მოსარჩელისათვის გარკვეული თანხა, რაც დასტურებოდა საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით. თანხის უკან დაბრუნების საფუძველი კი უნდა განსაზღვრულიყო მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რაც გულისხმობს პირველ რიგში მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სწორ კვალიფიკაციასა და მის საფუძველზე ნორმის სწორ გამოყენებას მოთხოვნის მართლზომიერების დასადგენად.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველებს. მითითებული ნორმის საფუძველზე, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს უსაფუძვლო გამდიდრება, სესხიც, ნარდობაც და ა.შ. ეს დამოკიდებულია იმ სამართლებრივი ურთიერთობაზე, რაც არსებობს მხარეთა შორის.

სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში და მხარის მიერ არასწორი საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნულის დასტურია სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 178-ე, 185-ე მუხლების შინაარსიც. აღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეს მიუთითოს დავის სამართლებრივი საფუძველი. იგი არ წარმოადგენს ხარვეზის დადგენის საფუძველს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამართლებრივი საფუძველი უნდა განსაზღვროს სასამართლომ და არა მხარემ. მხოლოდ მხარის მითითება, რომ მეორე მხარეს აქვს მისი ვალი და ითხოვს ამ თანხის დაბრუნებას საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად განსაზღვროს და სამართლებრივი შეფასება მისცეს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებას, რომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ არის დადებული და არც ვალდებულება გამომდინარებს ამ სესხის გარიგებიდან. იმისათვის, რომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს საქმეში არსებული მტკიცებულებები უნდა შეფასდეს სამოქალაქო კოდექსის 623-ე-628-ე მუხლების საფუძველზე. შეფასების შედეგად მიღებული დასკვნა კი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სარჩელის ფაქტობრივ საფუძველი. 623-ე მუხლი განმარტავს სესხის ცნებას. იმ შემთხვევაში თუ რეალურად ადგილი აქვს უსაფუძვლო გამდიდრებას, მაგრამ სასამართლო ზემოთ მითითებული ნორმის გამოყენებით ჩათვლის, რომ მხარეთა შორის არსებობს სესხის ხელშეკრულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად სამართლის ნორმა დარღვევულად ჩაითვლება და შესაბამისად გაუქმდება ასეთ მოსაზრებას დაფუძნებული გადაწყვეტილება. იმავდროულად სასამართლო ვალდებული იქნება მოახდინოს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სწორი კვალიფიკაცია და გამოიყენოს შესაბამის მარეგულირებელი ნორმები. პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მოსარჩელისაგან განსხვავებული სამართლებრივ ნორმების საფუძველზე შეფასება არანაირად არ უკავშირდება სარჩელის საფუძვლის შეცვლას, როგორც ამას უთითებს სააპელაციო სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძველით, რომ მხარე თანხის დაბრუნებას ითხოვდა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, რეალურად კი მათ შორის არსებობს სხვა სამართლებრივი ურთიერთობა. სასამართლო ვალდებულია საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და შესაძლებელია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილებაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. რადგან მოცემულ დავაზე საბოლოო შედეგი დადგენილი არ არის და საქმე უნდა დაბრუნდეს სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს სადავო უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

ა. ო-ნის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, ამავე პალატის 2011 წლის 28 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

ბანჩინება

№ას-286-275-2012

3 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

განიხილა სს „ს. რ-ის“ წარმომადგენელ დ. ს-ის შუამდგომლობა შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ სს „ს. რ-ის“ ცნობის თაობაზე.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 მაისის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი სს „გ. ტ-ის“, სს „ს-ის“ მიმართ თანხის დაკისრებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დადგენის თაობაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად; კასატორ შპს „ს. რ-ის“ დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (8000 ლარი) 70% – 5600 ლარი.

2012 წლის 3 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა სს „ს. რ-ის“ წარმომადგენელმა დ. ს-მა და აღნიშნა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საწარმოთა მართვის სააგენტოს 2012 წლის 12 აპრილის ბრძანებით შპს „ს. რ-ის“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოება „ს. რ-ად“, რომელიც წარმოადგენს შპს „ს. რ-ის“ სამართალმემკვიდრეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა დასახელებულ საქმეში სს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ ჩართვა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. (სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე; გადაწყვეტილების გამოტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე; გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე).

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლება მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე თავისი წინამორბედის უფლებებსა და მოვალეობებს.

რამდენადაც სს „საქართველოს რ-ის“ წარმომადგენელმა დ. ს-მა სასამართლოს წარუდგინა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საწარმოთა მართვის სააგენტოს 2012 წლის 12 აპრილის ბრძანება, რომლის თანახმადაც, შპს „ს. რ-ის“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოება „ს. რ-ით“, რომელიც წარმოადგენს შპს „ს. რ-ის“ სამართალმემკვიდრეს, საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულება საკმარისი საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92.1 მუხლის თანახმად, შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ სს „ს. რ-ის“ ცნობისა.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

#### დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს „ს. რ-ის“ წარმომადგენელ დ. ს-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნას სს „ს. რ-ის“
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### ს ა პ რ ო ც ე ს ო უ ფ ლ ე ბ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-445-422-2012

25 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჩ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს. რ-ის“ მიმართ სპეციალური სამედიცინო მომვლელის მომსახურების ხარჯის დაკისრების შესახებ და მოითხოვა შპს „ს. რ-ის“ გ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისროს აღნიშნულისათვის თვეში 790 ლარის გადახდა, საყოფაცხოვრებო მომვლელისათვის – 600 ლარისა და ადვოკატის ხარჯის – 1 000 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე შპს „ს. რ-ის“ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს გ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სპეციალური სამედიცინო მომვლელის მომსახურებისათვის ყოველთვიურად 790 ლარის გადახდა 2011 წლის 3 აგვისტოდან, მოპასუხეს დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული 1000 ლარის ანაზღაურება, გ. ჩ-ის სარჩელი შპს „ს. რ-ის“ მიმართ საყოფაცხოვრებო მომვლელის მომსახურებისათვის 600 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – გ. ჩ-ემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს „ს. რ-ამ“ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა გ. ჩ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ს. რ-ას“ გ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საყოფაცხოვრებო მომვლელის მომსახურებისათვის საჭირო ხარჯის 2011 წლის 24 ოქტომბრიდან ყოველთვიურად 600 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 864 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ს. რ-ამ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. შემდეგი დასაბუთებით:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო და კასატორს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟი 210 ლარის ოდენობით.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ მოცემულ სამოქალაქო საქმეში ჩაებას სააქციო საზოგადოება „ს. რ-ა“ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლითა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მოდავე იურიდიული პირის რეორგანიზაციის შედეგად რეორგანიზაციამდე არსებული მხარის ნაცვლად საქმეში ჩაებას პირი, რომელზეც კანონით დადგენილი წესით გადავიდა მხარის უფლება-მოვალეობანი.

მოცემულ შემთხვევაში სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 12 აპრილის №1-3/269 ბრძანებით ირკვევა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ს. რ-ა“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოება „ს. რ-ად“ და წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა საფუძვლიანია და შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ მოცემულ საქმეში უნდა ჩაებას სააქციო საზოგადოება „ს. რ-ა“.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

სს „ს. რ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საქმეში – გ. ჩ-ის სარჩელის გამო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ს. რ-ის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ ჩაებას სააქციო საზოგადოება „ს. რ-ა“.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მტკიცებულებათა შეფასება  
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები**

**განჩინება**

№ას-889-932-2011

12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),



მ. სულხანიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სამკვიდროდან სავალდებულო წილის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 4 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ლ. ჭ-ემ მოპასუხეების – ზ. ხ-ის, ა. ხ-ისა და ო. ხ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კ. ხ-ის დანაშთი ქონების, კერძოდ, ქ.ბათუმში, წ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 წილის მესაკუთრედ ცნობა.

მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2010 წლის 9 აგვისტოს ლ. ჭ-ემ მიმართა ხელვაჩაურის სანოტარო ბიუროს, 2007 წლის 11 აპრილს გარდაცვლილი მამის კ. ხ-ის დანაშთი ქონების (ქ.ბათუმი, წ-ის ქ. №11) 1/4 წილის, როგორც სავალდებულო წილის მიღების თხოვნით. მამკვიდრებელმა კ. ხ-ემ 1996 წლის 25 იანვარს თავისი ქონება, მათ შორის, ქ.ბათუმში, წ-ის ქ. №11-ში მდებარე ქონება, თანაბარწილად უანდერძა მისი პირველი რიგის მემკვიდრეს, შვილს ზ. ხ-ეს და ამ უკანასკნელის შვილებს – ო. და ა. ხ-ეებს;

ხელვაჩაურის ნოტარიუსის თ. ჩ-ს 2010 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით – სამკვიდრო მონაშთის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ლ. ჭ-ეს უარი ეთქვა კ. ხ-ის სამკვიდროს მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ ნოტარიუსმა ვერ დაადგინა სამკვიდროს ფლობის ფაქტი, ამასთან, მემკვიდრეს კანონით გათვალისწინებულ ექვსთვიან ვადაში არ მიუმართავს ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მიღების თხოვნით;

სარჩელში აღნიშნულია, რომ ანდერძისმიერ მემკვიდრეებს (მოპასუხეებს) სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში არ მიუმართავთ ნოტარიუსისათვის და არ მიუღიათ მემკვიდრეობა. მოსარჩელემ კი სამკვიდრო ქონება მიიღო ფაქტობრივი ფლობით, რაც დასტურდებოდა მონაშთის ჩვენებებით, ასევე იმით, რომ მოსარჩელე რეგისტრირებული იყო დასახელებულ მისამართზე მენარმედ და ამ დრომდე იქ ცხოვრობდა. შესაბამისად, იგი ფლობდა სამკვიდრო ქონებას და სარგებლობდა ამ ქონებით, როგორც საკუთარით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

კ. ხ-ე გარდაიცვალა 2007 წლის 11 აპრილს. მას გარდაცვალების დროისათვის გააჩნდა უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმში, წ-ის ქ. №11-ში, სადაც იგი ცხოვრობდა მეუღლესთან მ. ს-ე-ხ-ესთან ერთად;

მოსარჩელე ლ. ჭ-ე წარმოადგენს კ. ხ-ის ერთ-ერთ პირველი რიგის მემკვიდრეს;

კ. ხ-ემ, 1996 წლის 25 იანვრის ანდერძით, მთელი თავისი ქონება, მათ შორის ქ.ბათუმში, წ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონება, დაუტოვა მისი პირველი რიგის მემკვიდრეს, შვილს ზ. ხ-ეს და შვილიშვილებს ო. და ა. ხ-ეებს;

ნოტარიუსმა ნ. ა-მ 2010 წლის 5 აგვისტოს გამოაქვეყნა კ. ხ-ის ანდერძი და შედგა შესაბამისი ოქმი, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ კ. ხ-ის 1996 წლის 25 იანვრის ანდერძი ძალაშია და გაუქმებული ან შეცვლილი არ არის;

კ. ხ-ის სიცოცხლეშიც (ბოლო წლებში) და მისი გარდაცვალების შემდეგაც სადაო სახლში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს მოპასუხე, ერთ-ერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე ო. ხ-ე. მხარეთა განმარტებით, ამჟამად აღნიშნულ ბინაში ასევე ცხოვრობს მოპასუხე ა. ხ-ეც, რომელსაც ამავე მისამართზე საკუთრებაში გააჩნია სხვა ფართიც;

ქ.ბათუმში, წ-ის ქ. №11-ში მდებარე კ. ხ-ის დანაშთი ქონება საჯარო რეესტრში ამ დროისათვის რეგისტრირებული არ იყო და იგი ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის მასალებით კვლავ ირიცხებოდა ან. გარდაცვლილ კ. ხ-ის სახელზე;

2010 წლის 9 აგვისტოს მოსარჩელე ლ. ჭ-ემ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის სანოტარო ბიუროს კ. ხ-ის დანაშთი ქონების, ქ.ბათუმში, წ-ის ქ. №11-ში არსებული სავალდებულო წილის, ანუ 1/4 ნაწილის მიღებაზე, რაზეც სამკვიდრო მონაშთის გაცემაზე ნოტარიუსის 2010 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით ეთქვა უარი იმ საფუძვლით, რომ არ დგინდებოდა მის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი და ასევე მის მიერ გაშვებული იყო კანონით დადგენილი სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან იგი სარგებლობდა ქ.ბათუმში, წ-ის ქ. №11-ში 1-ლ სართულზე მდებარე უძრავი ქონებით, სადაც იგი 2001 წლიდან ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას, ამიტომ იგი ფაქტობრივად დაეუფლა კ. ხ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებას და, შესაბამისად, ეკუთვნოდა სავალდებულო წილი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ, როგორც სასამართლო სხდომაზე წარდგენილი მასალებით და მოწმეთა ჩვენებით დადგინდა, ხსენებული ფართი, რომლითაც სარგებლობდა ლ. ჭ-ე, არ წარმოადგენდა მამკვიდრებლის ქონებას, ვინაიდან იგი ლ. ჭ-ეს ჯერ კიდევ 2001 წლის 1 თებერვლის ხელშეკრულებით იჯარით ჰქონდა აღებული ქ.ბათუმის მერიისაგან და არასდროს წარმოადგენდა კ. ხ-ის საკუთრებას. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად კი, სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ასევე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის;

საქალაქო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზეც, რომ, რადგან ამჟამად მასთან იმყოფებოდა მამამისის კ. ხ-ის კუთვნილი მოძრავი ნივთები, როგორცაა საათი, გასაღები, სარეცხი მანქანა, ელექტროგამათბობელი და საწოლის გადასაფარებლები, რომელთა სურათე-

ბიც მოსარჩელემ წარმოადგინა, ამიტომ იგი ამით ფაქტობრივად დაეუფლა მთლიან სამკვიდროს და არ გაუშვია სამკვიდროს მიღების ვადა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეზე წარდგენილი მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მოსარჩელე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა აღნიშნულ ქონებას და ისინი შედიოდა სამკვიდროში. ამასთან, არც ის ფაქტი დასტურდებოდა, რომ კ. ხ-ის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე ცხოვრობდა ქ.ბათუმში, ნ-ის ქ. №11-ში და ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდრო ქონებას. სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ჭ-ე მის მიერ მითითებულ მოძრავ ნივთებს: სარეცხ მანქანას, საათს, ელექტროგამათბობელს, დაეუფლა კ. ხ-ის სიცოცხლეში. რაც შეეხებოდა გასაღებს და სანოლის გადასაფარებელს, მხარემ ვერ დაადასტურა, რომ იგი წარმოადგენდა მამკვიდრებლის საკუთრებას და შედიოდა სამკვიდრო მასაში.

რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ კ. ხ-ის სამკვიდრო გაიხსნა 2007 წლის 11 აპრილს, ხოლო მოსარჩელემ სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსს მიმართ მხოლოდ 2010 წლის 9 აგვისტოს, ამასთან, საქმის მასალებით არ დგინდებოდა ლ. ჭ-ის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ჭ-ეს გაშვებული ჰქონდა სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღებისათვის კანონით დადგენილი ვადა. აღნიშნული, გამორიცხავდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჭ-ემ..

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა კარლო ხ-ის დანაშთი უძრავი ქონების, ქ.ბათუმში, ნ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 წილის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ლ. ჭ-ე დაიბადა 1945 წლის 2 ივნისს. იგი 1966 წლიდან ცხოვრობდა აჭარაში, ხოლო ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა და ცხოვრობდა ქალაქ ბათუმში ნ-ის ქ. №11-ში;

ლ. ჭ-ე, და მოპასუხე ზ. ხ-ე არიან და-ძმა, ხოლო კ. და ა. ხ-ეები არიან ლ. ჭ-ის ძმისშვილები;

კ. ხ-ე გარდაიცვალა 2007 წლის 11 აპრილს, რომელსაც გარდაცვალების დროისათვის გააჩნდა უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბათუმში, ნ-ის ქ. №11-ში, სადაც იგი ცხოვრობდა მეუღლესთან მ. ს-ე-ხ-ესთან ერთად;

მოსარჩელე ლ. ჭ-ე წარმოადგენს კ. ხ-ის ერთ-ერთ პირველი რიგის მემკვიდრეს;

1996 წლის 25 იანვრის ანდერძის თანახმად, კ. ხ-ემ მთელი თავის ქონება, მათ შორის ქ.ბათუმში, ნ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონება ანდერძით დაუტოვა მისი პირველი რიგის მემკვიდრეს, შვილს ზ. ხ-ეს და შვილიშვილებს ო. და ა. ხ-ეებს;

ნოტარიუსმა ნ. ა-მ 2010 წლის 5 აგვისტოს გამოაქვეყნა კ. ხ-ის ანდერძი და შედგა შესაბამისი ოქმი, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ კ. ხ-ის 1996 წლის 25 იანვრის ანდერძი ძალაშია და გაუქმებული ან შეცვლილი არ არის;

მხარეები სადაოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ლ. ჭ-ის მიერ იჯარით აღებული ობიექტი სამკვიდრო მასაში არ შედის;

ქ.ბათუმში, ნ-ის ქ. №11-ში მდებარე კ. ხ-ის დანაშთი ქონება საჯარო რეესტრში დღეისათვის რეგისტრირებული არ არის და იგი ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის მასალებით კვლავ ირიცხება ანგარდაცვლილ კ. ხ-ის სახელზე;

2010 წლის 9 აგვისტოს მოსარჩელე ლ. ჭ-ემ მიმართა ხელვაჩაურის სანოტარო ბიუროს ქ.ბათუმი, ნ-ის ქ. №11-ში მდებარე კ. ხ-ის დანაშთი ქონების სავალდებულო წილის, ანუ 1/4 ნაწილის მიღებაზე, რაზეც სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ნოტარიუსის 2010 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით ეთქვა უარი იმ საფუძვლით, რომ არ დგინდებოდა მის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი და ასევე მის მიერ გაშვებული იყო კანონით დადგენილი სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად. სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის თანახმად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

მხარეთა განმარტებებისა და მოწმეთა ჩვენებების მოსმენის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მთლიანად მისი დადგინებული ფაქტობრივი ვარიანტი, რომ ლ. ჭ-ე მამის გარდაცვალების შემდგომ და მანამდეც ცხოვრობდა მამის სახლში და ფლობდა დანაშთ ქონებას, კერძოდ, მას მამის სახლში მეორე სართულზე ჰქონდა ერთი პატარა ოთახი (სადაც ლამეს ათევდა, სტუმრებს ღებულობდა და ცხოვრობდა) ანუ იგი ფაქტობრივი ფლობით შეუდგა დანაშთი ქონების ფლობასა და მართვას. ამასთან, მამის გარდაცვალების შემდეგ მან წამოიღო ნივთები: სარეცხი მანქანა, ელექტროლუმელი, გადასაფარებლები, საათი, სახლის გასაღები.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სამკვიდროს ფლობასა და მართვას იგულისხმება მემკვიდრის ისეთი მოქმედება, რომელიც გამოიხატება სამკვიდრო ქონების სარგებლობაში, ფლობასა და განკარგვაში. მემკვიდრის მოქმედებიდან უნდა დასტურდებოდეს, რომ ის სამკვიდროს საკუთრად მიიჩნევს და სწორედ ამიტომ დაეუფლა სამკვიდროს ან მის ნაწილს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რადგან ლ. ჭ-ემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო მამის დანაშთი ქონება, ფაქტობრივი ფლობით მიღებული სამკვიდროს მიღების მოთხოვნაზე კი ხანდაზმულობის ვადები გავრცელებული ვერ იქნებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, კ. ხ-ემ მთელი მისი ქონება უანდერძა ზ., ო. და ა. ხ-ებს თანაბარწილად, მაგრამ ანდერძის დროსაც მემკვიდრეს სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვს, მით უფრო როდესაც დასტურდებოდა, რომ ლ. ჭ-ე მამის დანაშთი ქონებას დაეუფლა ფაქტობრივი ფლობით. მოცემულ შემთხვევაში, ანდერძი რომ არ ყოფილიყო, კ. ხ-ის კანონისმიერი მემკვიდრეები იქნებოდნენ მისი ორი შვილი (ლ. ჭ-ე და ზ. ხ-ე) და მეუღლე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ჭ-ეს როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს (იგი კ. ხ-ის შვილია) უნდა მიეღო შესაბამისი წილი მამის, ან გარდაცვლილი კ. ხ-ის დანაშთი ქონებიდან 1/4 წილის უფლებით, რომელიც მდებარეობდა ქ. ბათუმში, ნ-ის ქ. №11-ში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, კერძოდ, გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმებულიყო მისთვის მამის დანაშთი ქონებიდან სავალდებულო წილის სახით 1/4 წილის მიკუთვნების თაობაზე უარის თქმის ნაწილში.

რაც შეეხებოდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის, 11 ნოემბრის და 16 ნოემბრის განჩინებების გაუქმებაზე, ასევე იმ განჩინების გაუქმებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლ. ჭ-ის შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ისინი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, რამდენადაც არ არსებობდა ლ. ჭ-ის მიერ გასაჩივრებული წინმსწრები განჩინებების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ., ო. და ა. ხ-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. გარდა ამისა, კასატორებმა მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეზე ახალი მოწმეების დაკითხვის თაობაზე.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

სასამართლომ დაუსაბუთებლად დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაკითხა ახალი მოწმეები, მაშინ, როდესაც მხარეს იმავე მოწმეების წარდგენა შეეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოში. სასამართლოს აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 215-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ, საოქმო განჩინება, რომლითაც სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა ახალი მოწმეების დაკითხვის თაობაზე, უნდა გაუქმდეს და ამ მოწმეების ჩვენებები საქმიდან ამოღებულ უნდა იქნეს.

სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად არ გაითვალისწინა მოსარჩელის დედის, მ. ს-ის ჩვენება და გაიზიარა უკანონოდ დაკითხული მოწმეების ჩვენებები, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, სასამართლომ ისე გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოწმეთა ჩვენებები, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ გაიზიარა მოწმეების ჩვენებები მხარის მიერ მოწვეული მოწმეების ჩვენებები. სასამართლო ვალდებული იყო გადანყვეტილებაში დაესაბუთებინა, თუ რატომ არ გაიზიარა ესა თუ ის მტკიცებულება და რატომ გაიზიარა სხვა;

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ ლ. ჭ-ე ფაქტობრივი ფლობით შეუდგა დანაშთი ქონების ფლობასა და მართვას. გარდა ამისა, სასამართლომ დადგინდა მთლიანად მისი დადგინებული ფაქტობრივი ვარიანტი, რომ ლ. ჭ-ემ მამის საცხოვრებელი ბინიდან წამოიღო მოძრავი ნივთები: სარეცხი მანქანა, ელექტროლუმელი, გადასაფარებლები, საათი, სახლის გასაღები. აღნიშნული ვარიანტი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოწმეთა ჩვენებები და შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ დასახლებული მოწმეები იყვნენ მოსარჩელის ახლობლები. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ისინი დაიცავდნენ მოსარჩელის ინტერესებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული ნაწილები.

ბული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით განსაზღვრულია საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, ან არასწორად გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ საქმის შედეგზე.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგინა, რომ მოსარჩელე ლ. ჭ-ე კანონით დადგენილ ვადაში ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მამის სამკვიდრო ქონებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორების მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესულ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არსწორად შეფასება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას თავისი დასკვნები დააფუძნა მხოლოდ ერთი მხარის (მოსარჩელის) მოწმეთა ჩვენებებს და არ გამოიკვლია, არ შეაფასა მონინაალმდევე მხარის მოწმეთა ჩვენებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნოებისა თუ არასარწმუნოების თვალსაზრისით და, ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია, მოწმის ჩვენებაც და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. აღნიშნული გულისხმობს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულებას, ფიზიკურ მდგომარეობასა და სხვა) განხილვას და გამორიცხვას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოწმის ჩვენების სისწორეზე. მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად დაუსაბუთებელი დასკვნების გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებებზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები – არასარწმუნოდ. გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება დაუსაბუთებლად, თუ მასში არ არის მითითებული, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სასამართლო, როცა საქმეში არსებული ესა თუ ის მტკიცებულება შეაფასა ასე და არა სხვაგვარად.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მამის სამკვიდრო ქონებას. აღნიშნული გარემოება სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მოწმეების – შ. ბ-ის, ნ. ც-ის, ც. გ-ის, გ. დ-ისა და ნ. ჭ-ის ჩვენებების საფუძველზე. რაც შეეხება მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი მოწმეების – ნ. ნ-ს, ლ. ლ-ს, ნ. კ-ს, მ. ს-ის, ი. ჟ-ის და დ. ქ-ის ჩვენებებს, ისინი სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია და არც ის დაუსაბუთებია, თუ რატომ უარყო ეს ჩვენებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება უნდა მოხდეს ერთობლიობაში, მხოლოდ მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა წარმოადგენს მათი სწორი შეფასების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივ და სრულ შეფასებას, რამაც იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. ასეთი გადაწყვეტილება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმებას ექვემდებარება. ამასთან, არსებობს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ხოლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას თავად დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია ასევე სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის საოქმო განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალი მონმეების დაშვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული განჩინება გაუქმებას ექვემდებარება შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი, მართალია, ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალი ფაქტების მოყვანის და ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას, მაგრამ ამავე ნორმის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, თუ მხარეს შეეძლო წარედგინა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. მითითებული ნორმის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების დაშვების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ, უპირველესად, სწორედ ის უნდა გამოარკვიოს, გააჩნია თუ არა მხარეს სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების წარდგენის საპატიო მიზეზი. ამა თუ იმ მიზეზის საპატიოდ თუ არასაპატიოდ მიჩნევა კი უნდა მოხდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული საოქმო განჩინებით ისე დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა ახალი მონმეების დაშვების თაობაზე, რომ საერთოდ არ უმსჯელია გააჩნდა თუ არა აპელანტს სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების წარდგენის საპატიო მიზეზი. აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის მოთხოვნას, ვინაიდან მასში არაა აღინიშნული მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და იგი ექვემდებარება გაუქმებას. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, გააჩნია თუ არა აპელანტს სააპელაციო სასამართლოში ახალი მონმეების წარდგენის საპატიო მიზეზი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს მათი დაშვება-არდაშვების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ზ., ა. და ო. ხ-ეების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის საოქმო განჩინება სააპელაციო სასამართლოში ახალი მონმეების დაშვების თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იურიდიული ინტარესი

გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1790-1767-2011

22 მარტი, 2012 წ, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმისა და სარეგისტრაციო მონაცემების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ისა“ და ლ. გ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ 2011 წლის 20 აპრილის №16 და №16 და №16 ოქმების ბათილად ცნობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ თანასაკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი №2 ფართის ლ. გ-ის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და, შესაბამისად, საჯარო რეესტრის

ეროვნულ სააგენტოში ლ. გ-ის სახელზე ქ. ქუთაისში, ლ-ის ქ. №4-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. კ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, ლ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ 2011 წლის 20 აპრილის №16 და №16ა კრების გადაწყვეტილებები ქუთაისში, ლ-ის ქ. №4ა-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, საერთო შემოსასვლელის მარჯვნივ მდებარე არასაცხოვრებელი 19,64 კვ.მ №2 ფართის ლ. გ-ისათვის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი ქუთაისში, ლ-ის ქ. №4ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, არასაცხოვრებელი ფართზე №2, 19,64 კვ.მ. ფართით, საკადასტრო №... ლ. გ-ის საკუთრების შესახებ; ლ. გ-ესა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ს“ სოლიდარულად დაეკისრათ ლ. კ-ის სასარგებლოდ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის, 116 ლარის ანაზღაურება, ლ. გ-ეს და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ს“ სოლიდარულად დაეკისრათ ლ. კ-ის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 200 ლარის ოდენობით, ლ. გ-ესა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ს“ სოლიდარულად დაეკისრათ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 75 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქუთაისში, ლ-ის ქ. №4ა-ში მდებარე არასაცხოვრებელი, 19,64 კვ.მ. №2 ფართი ეკუთვნოდა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ს“. ამ ფართს, ფაქტობრივად, არავინ ფლობდა.

ამხანაგობის საერთო კრების 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ზემოხსენებული ფართი, ამხანაგობის მიერ ჩატარებული აუქციონის საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა ამხანაგობის წევრ ლ. გ-ეს.

აუქციონში გარდა ლ. გ-ისა, მონაწილეობდნენ ნ. ბ-ე და ნ. ბ-ე.

ამ კრების მიმდინარეობისა და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შედგა ორი ოქმი – №16 და №16ა, ამასთან, №16ა კრების ოქმის საფუძველზე სადავო ფართის მესაკუთრედ, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ლ. გ-ე. შემდგომში, ლ. გ-ემ სადავო ფართი განკარგა და ამჟამად საჯარო რეესტრში მის მესაკუთრედ რეგისტრირებულია ბესიკ გუმბერიძე.

სააპელაციო სასამართლომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტსა და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ სადავო ოქმებით განკარგული 19,64 კვ.მ ფართი არ იყო ინდივიდუალურ საკუთრებაში და მას, ფაქტობრივადაც, არავინ ფლობდა და, შესაბამისად, წარმოადგენდა ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრებას.

პალატის მითითებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ ქონებაზე წილი ეკუთვნოდა აპელანტსაც და, შესაბამისად, ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემით, მან ეს წილი დაკარგა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილების საფუძველზე, ამხანაგობის კუთვნილი ფართი იქცა ინდივიდუალური საკუთრების საგნად და, შესაბამისად, შეიცვალა მისი ფუნქცია, რის გამოც სადავო გადაწყვეტილებით მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტზე და აღნიშნა, რომ, რადგან სადავო ოქმებით ამხანაგობის კუთვნილი 19,64 კვ.მ იქცა ინდივიდუალურ საკუთრებად და ამან, ცხადია, გავლენა მოახდინა სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ ამ ქონების გამოყენებაზე, ზემოხსენებული გადაწყვეტილება ამხანაგობის ყველა წევრს უნდა მიეღო ერთხმად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილება ამხანაგობის ყველა წევრს არ მიუღია და ამასთან, ამ გადაწყვეტილებას არ დასთანხმებია აპელანტიც.

საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებიდან და თავად აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის განმარტების საფუძველზე პალატამ გამოარკვია, რომ აპელანტი წინააღმდეგი იყო სადავო ქონება გადასცემოდა ლ. გ-ეს, რაც განაცხადა კიდევ კრებაზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილება მიღებული იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

გარდა ამისა, პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 327.1-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულება, ამხანაგობის წევრებს შორის, დადებულად ჩაითვლებოდა, თუ მხარეები შეთანხმდებოდნენ აუქციონის ჩატარების ყველა არსებით პირობაზე. პალატის აზრით, ამ ტიპის ხელშეკრულების არსებითი პირობებია: აუქციონის ობიექტი, ანუ გასასხვისებელი ქონება და მისი მახასიათებლები; სუბიექტები, რომელთაც აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ აუქციონში; განაცხადის წარდგენის წესი და ვადა; აუქციონის ჩატარების წესი: საწყისი ფასი, ლოტის ღირებულება; აუქციონში გამარჯვებულის დადგენის წესი; თანხის გადახდის ვადა და პირობები. სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ არცერთ ზემოხსენებულ პირობაზე, გარდა საწყისი ფასისა, ამხანაგობის წევრები არ შეთანხმებულან, რაც

იმას ნიშნავდა, რომ მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რის გამოც, პალატის მოსაზრებით, გარიგება ნივთის აუქციონზე გასხვისების შესახებ დადებულად ვერ ჩაითვლებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. გ-ემ უფლება შეიძინა არარსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, კრებაზე სადავო ქონების შექმნის სურვილი გამოთქვა აპელანტმაც. ამხანაგობის წევრები ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე რომ შეთანხმებულიყვნენ, შესაძლებელი იყო, აუქციონში მონაწილეობა აპელანტსაც მიეღო. აქედან გამომდინარე, პალატის განმარტებით, ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეუთანხმებლობით, მხარეს შეეზღუდა აუქციონში მონაწილეობის მიღებისა და ნივთის შექმნის უფლება. ამასთან, პალატის აზრით, დღის წესრიგი არ შეიცავდა პუნქტს ქონების აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე, ე.ი, ამხანაგობამ მიიღო გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც არ იყო გათვალისწინებული წინასწარ გამოცხადებული დღის წესრიგით.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ დღის წესრიგის თანახმად, ქონება უნდა გასხვისებულიყო ამხანაგობის წევრებზე, აუქციონში კი მონაწილეობა მიიღო ნ. ბ-ემ, რომელიც არ იყო ამხანაგობის წევრი, რაც ცხადყოფდა, რომ სადავო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა წინასწარ გამოცხადებული პროცედურების დარღვევით და იმ საკითხზე, რაც არ იყო გათვალისწინებული დღის წესრიგით და იგი ეწინააღმდეგება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს.

გარდა ამისა, პალატამ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო ასევე საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები, ვინაიდან სადავო ოქმები კრების მიმდინარეობას არასწორად ასახავდა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ერთი და იმავე კრების თაობაზე შედგენილი იყო ორი ოქმი. ამასთან, ოქმების, როგორც შინაარსი, ასევე მათი დადგენილებითი ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. სახელდობრ, №16ა ოქმის მიხედვით, 19,64 კვ.მ. ფართი ამხანაგობას წევრებისათვის საკუთრებაში გადაუცია უსასყიდლოდ, სინამდვილეში კი, ამხანაგობას ამგვარი გადაწყვეტილება არ მიუღია და ამასთან, რომ სწორედ ამ ოქმის საფუძველზე დაირეგისტრირა ნივთზე უფლება ლ. გ-ემ. №16 ოქმის თანახმად კი, აუქციონში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ ამხანაგობის წევრები, ნ. ბ-ემ და ლ. გ-ე, თუმცა, დადგენილია, რომ, სინამდვილეში, აუქციონში მონაწილეობა მიიღეს ნ. ბ-ემ და ლ. გ-ემ, ხოლო ნაწილი მსხვილიძე კრებას საერთოდ არ დასწრებია. პალატის მითითებით, კრების ოქმიდან არ დგინდებოდა, რომ დღის წესრიგის რომელიმე საკითხთან დაკავშირებით მოეწყო კენჭისყრა. აქ მითითებულია, რომ „კრების ყველა მონაწილის აზრი“ გამოთქვა რ. ს-მ, თუმცა ამხანაგობის წევრთა სახელით გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება მას არ ჰქონია.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან სადავო კრების ოქმები შედგენილი იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის შინაარსის დარღვევით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე მითითებით, რადგან სადავო გარიგებით დაირღვა კანონით დადგენილი წესი, პალატამ მიიჩნია, რომ ეს გარიგება და ამის თაობაზე შედგენილი კრების ოქმები ბათილი იყო, რის გამოც აპელანტის მოთხოვნა კრების ოქმების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

რადგან ლ. გ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო უფლება ბათილი გარიგების საფუძველზე, ანუ არარსებული უფლება, მოთხოვნა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ჩანაწერის ბათილად აღიარების თაობაზე, მოთხოვნა ასევე კანონიერი იყო, რის გამოც ლ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. გ-ემ და ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-მა“, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ ამხანაგობა „ს-ის“ წევრთა საერთო კრების 20.04.11 გადაწყვეტილებას არ დასთანხმებია ლ. კ-ი და, რომ მან კრებაზე გამოთქვა სადავო ქონების შექმნის სურვილი და, რომ საქმეზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებებიდან და თავად ლ. ს-ისა და ამხანაგობა „ს-ის“ განმარტებითაც ირკვეოდა, რომ ლ. კ-ი წინააღმდეგი იყო სადავო ქონების ლ. გიროგაძისათვის გადაცემის თაობაზე და აღნიშნული კრებაზეც განაცხადა, ვინაიდან კასატორთა მითითებით, აღნიშნული არც კრების ოქმების მიხედვით დასტურდება და არც სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მონმეებს აღუნიშნავთ და ამასთან, არც სარჩელში და არც სააპელაციო საჩივარში ლ. კ-ი არსად მიუთითებდა, რომ გამოხატა სურვილი ფართის შექმნისა.

კასატორთა განმარტებით, ასევე არასწორია დადგენილი გარემოება მასზე, რომ სინამდვილეში აუქციონში მონაწილეობა მიიღეს ნ. ბ-ემ, ნ. ბ-ემ და ლ. გ-ემ, ხოლო ნ. მ-ძე კრებას საერთოდ არ დასწრებია, ვინაიდან ორივე ოქმების მიხედვით, და არც პროცესზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებებით არ დასტურდება აუქციონზე ნ. ბ-ისა და ნ. ბ-ის მონაწილეობა, არამედ ლ. ბ-ემ კრებაზე მხოლოდ წინადადება წამოაყენა არასაცხოვრებელი ფართების აუქციონზე გასხვისებასთან დაკავშირებით, ნ. ბ-ე კი მიუხედავად იმისა, რომ კრებას ესწრებოდა, აუქციონში მონაწილეობა არ მიუღია იმ მიზეზით, რომ იგი ამხანაგობის წევრი არ იყო.

კასატორთა აზრით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი. ამასთან, სამართლებრივად არასწორად შეაფასა კრების ოქმები, საერთოდ არ იმსჯელა იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ოქმების შეუსაბამობა, მაშინ, როცა საქმის მასალებით უტყუარად იყო დადგენილი, რომ, როდესაც საცხოვრებელი ფართების შემქმნმა ამხანაგობის წევრებმა ლ. რ-ემ და ლ. გ-ემ №16 ოქმი, როგორც უფლე-

ბის დამადასტურებელი დოკუმენტი, სხვა სათანადო საბუთებთან ერთად წარადგინეს საჯარო რეესტრის ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში, საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად, სარეგისტრაციო სამსახურის 03.05.2011 წლის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და სარეგისტრაციო წარმოების განახლებისათვის საჯარო რეესტრის თანამშრომლებმა მოითხოვეს ოქმის იმგვარად შეცვლა, რომ მასში არ ასახულიყო უძრავი ნივთის აუქციონზე გასხვისების შესახებ ინფორმაცია, რაც განახორციელეს ოქმის შესწორებით და მიანიჭეს ახალი №16ა.

გარდა ამისა, კასატორთა აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ ლ. კ-ის იუდიული ინტერესი სარჩელით არ იკვეთებოდა, სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნულ საკითხზე ყურადღება საერთოდ არ გაუმახვილებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. გ-ისა და ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტავს, რომ დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად და გახდეს აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დასაბუთებულია, ანუ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იკვეთება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აღიარებითი მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას უნდა არსებობდეს სწორედ ამგვარი ინტერესი და არა ის, რასაც სუბიექტური დამოკიდებულების შედეგად მხარე საკუთარ იურიდიულ ინტერესად მიიჩნევს. ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს მხარის მიერ მითითებული ინტერესის დაკმაყოფილების წინაპირობა, საფუძველი ეცლება აღიარებითი მოთხოვნას. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ დაკმაყოფილებაზე მსჯელობისას უნდა იქნას შეფასებული მისი იურიდიული ინტერესის მართებულობა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო ამხანაგობის საერთო კრების 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული ფართი, ამხანაგობის მიერ ჩატარებული აუქციონის საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა ამხანაგობის წევრს, ლ. გ-ეს, რაზედაც შედგა ორი ოქმი №16 და №16ა, ამ უკანასკნელი ოქმის საფუძველზე საჯარო რეესტრში სადავო ფართის მესაკუთრედ დარეგისტრირდა ლ. გ-ე. შემდგომში, ლ. გ-ემ ეს ფართი განკარგა და, ამჟამად, საჯარო რეესტრში მის მესაკუთრედ რეგისტრირებულია ბ. გ-ე. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლო სსდომის ოქმში აღნიშნავდა, რომ მისი იურიდიული ინტერესია ახალი კრების მოწვევა და სადავო ქონების მიღება. თავისი იურიდიული ინტერესის ასეთი ფორმულირებით მოსარჩელემ გამოკვეთა საბოლოო მიზანი. ახალი კრების მოწვევა არ წარმოადგენს გარანტიას მოსარჩელისათვის, რომ კრებაზე მისთვის სასურველი შედეგი მიიღწევა და შესაძლებელია დავა მხარეთა შორის გაგრძელდეს. ამ შემთხვევაშიც, მომავალში დადგება მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის აუცილებლობა. აღნიშნული მიუთითებს, რომ აღიარებითი სარჩელი არ არის ერთადერთი მოსარჩელის დარღვეული უფლებების დაცვისთვის, ასევე, დადგენილია, რომ სადავო ფართი ამჟამად წარმოადგენს არა ლ. გ-ის, არამედ, ბ. გ-ის საკუთრებას.

ამდენად, კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, სადავო კრებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა მოცემულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით ვერ იქნება მიღწეული. მოსარჩელის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი აღიარებითი სარჩელის აღძვრის გზით. მოსარჩელეს არ გააჩნია განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძვლიანი იურიდიული ინტერესი, რომლის რეალიზაცია ზემოაღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით შესაძლებელია არა აღიარებითი, არამედ მიკუთვნებითი სარჩელით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. გ-ისა და ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება ლ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, მონინაალმდევე მხარე ლ. კ-ს არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:



საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ლ. გ-ისა და ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მონინალმდევე მხარეს ლ. კ-ს არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს რ. მ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**იურიდიული ინტერესი**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1118-1145-2011

10 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ა-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის გაუქმება მისთვის ანდერძით დატოვებული ქონების ნაწილში შემდეგი საფუძველებით: სარჩელის თანახმად, 2000 წლის 5 დეკემბერს თ. ა-მა მოსარჩელეს უანდერძა ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე ფლობდა და განკარგავდა ანდერძით მისთვის დატოვებულ შოთახს და წარმოადგენს მის მესაკუთრეს. 2009 წლის 20 თებერვალს მისმა ბებიამ – მოპასუხე ჯ. ა-მა მოსარჩელისაგან მალულად მიიღო სამკვიდრო მონუმობა თ. ა-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე, მათ შორის იმ ოთახზე, რომელიც მისთვის ანდერძის საფუძველზე ნ. ა-ის საკუთრებას წარმოადგენს. ყ. ა-მა მთელი ქონება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა თავის სახელზე და აჩუქა შვილს – ქ. ა-ს, რომელმაც ქონება საჯარო რეესტრში თავის საკუთრებად აღრიცხა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ნ. ა-ს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო ქონება არ მიუღია არც ფაქტობრივი ფლობით და არც სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანის გზით. ვინაიდან ამჟამად გასულია კანონით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადა, შესაბამისად, მოსარჩელეს აღარ აქვს უფლება, მოითხოვოს სამკვიდრო მონუმობის გაუქმება.

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი ჯ. ა-ის მიმართ სამკვიდრო მონუმობის გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ნ. ა-ი მამკვიდრებლის – თ. ა-ის შვილიშვილია, ხოლო მოპასუხე ყ. ა-ი – მეუღლე;

თ. ა-ი გარდაიცვალა 2008 წლის 26 მაისს. გარდაცვალების მომენტისათვის მის სახელზე ირიცხებოდა ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი.

2000 წლის 5 დეკემბერს თ. ა-მა ნ. ა-ს უანდერძა ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი.

თ. ა-ს დარჩა კანონისმიერი მემკვიდრეები: მეუღლე ყ. ა-ი და შვილი ქ. ა-ი. პირველი რიგის მემკვიდრეა ასევე მოსარჩელე ნ. ა-ი, რადგან სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მისი მშობელი.

თ. ა-ის სამკვიდრო ქონებაზე, კერძოდ, ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, 2009 წლის 20 თებერვალს ყ. ა-მა მიიღო კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობა.

2009 წლის 18 ნოემბერს ყ. ა-მა, კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე, ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღრიცხა თავის სახელზე.

2010 წლის 8 სექტემბერს, უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ყ. ა-მა მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება აჩუქა თავის შვილს – ქ. ა-ს, რომელმაც საჩუქრად მიღებული ქონება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა თავის სახელზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. ა-სა და მისი ოჯახის წევრებს არასოდეს უცხოვრიათ სადავო სახლში. იგი ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს ლაგოდეხის რაიონის, სოფელ რ-ში.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ნ. ა-ს, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს, თ. ა-ის დანაშაულის სამკვიდრო ქონებაზე კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობა არ მიუღია. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მამკვიდრებელი გარდაიცვალა და შესაბამისად, სამკვიდრო გაიხსნა 2008 წლის 26 მაისს, ამიტომ მოსარჩელეს უნდა დაედგინებინა, რომ იგი, 2008 წლის 28 ნოემბრამდე, კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში ფაქტობრივად დაუფლავდა სადავო ქონებას. მოპასუხის განმარტებით და მოწმეთა ჩვენებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ნ. ა-ი ანდერძით დატოვებულ სამკვიდრო ქონებას ფლობს და მართავს მხოლოდ 2009 წლის სექტემბრიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს – ნ. ა-ს, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება არ მოუთხოვია.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1319-ე-1320-ე, 1421-ე, 1433-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მიიჩნია, რომ ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, კერძოდ უნდა გაუქმებულიყო რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებულიყო იმავე სასამართლოში შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელი დაყენებული მოთხოვნა სამკვიდრო მონაწილის გაუქმების თაობაზე, წარმოადგენდა აღიარებითი ხასიათის სარჩელს, შესაბამისად, თუ მოსარჩელე მხარე მხოლოდ სამკვიდრო მონაწილის გაუქმების მოთხოვნით შემოიფარგლება და არ სურს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 და 180-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უნდა გამოარკვიოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი სარჩელის მოთხოვნის – 2009 წლის 20 თებერვლის სამკვიდრო მონაწილის გაუქმების მიმართ; კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა გამოეკვია მოსარჩელის კონკრეტულად რა უფლება იქნა დარღვეული, რაში მდგომარეობს მისთვის სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი და შესაბამისად, რა სამართლებრივი შედეგი დადგება მისთვის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენას უკავშირდება საბოლოოდ მოცემული დავის შედეგიც.

პალატის აზრით, განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლო არ იკვლევს, თუ რაში გამოიხატება სამკვიდრო მონაწილის გაუქმების მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რა სამართლებრივ შედეგს უკავშირებს მოსარჩელე მის გაუქმებას და რამდენად გამომდინარეობს ეს შედეგი აღნიშნული მონაწილის გაუქმებიდან.

მხარის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების და მიკუთვნებით სარჩელზე მითითების შემთხვევაში, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა შეისწავლოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები – მონაწილეთა ჩვენებები, მათ შორის ს.ფ. 102-ზე წარმოდგენილი მონაწილის – ბ. გ-ის ჩვენება, ასევე სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარეთა ახსნა-განმარტებები, კერძოდ, მოპასუხემ – ყ. ა-მა დაადასტურა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ა-ს სურდა სამკვიდრო ქონების მიღება და ამისათვის ნოტარიუსისთვის მიმართვა, მისი ინიციატივით ამ მიზნით ერთად მივიდნენ კიდევ კონსულტაციაზე ნ. ფ-თან; შეიტყვეს რა დოკუმენტები იყო საჭირო მემკვიდრეობის მისაღებად და ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ყ. ა-ის განმარტებით, იგი არ გააჰყვა ნ. ა-ს საჯარო რეესტრში და შემდგომში მხოლოდ თვითონ, ნ. ა-ისგან დამოუკიდებლად და მისთვის შეუტყობინებლად, მივიდა საჯარო რეესტრშიც და ნოტარიუსთანაც; ამდენად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რაიონულ სასამართლოს უნდა ემსჯელა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, მიიღო თუ არა მოსარჩელე ნ. ა-მა სამკვიდრო ქონება. ამ გარემოების დადგენას დავის გადაწყვეტისათვის გააჩნია არსებითი მნიშვნელობა და მასზე უშუალოდაა დამოკიდებული აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების გზით მიიღწევა თუ არა ის შედეგი, რომლის დადგომაც სურს მოსარჩელეს.

გარდა ამისა, სააპელაციო საჩივრის ავტორი თვლის, რომ ყ. ა-მა, როგორც მესაკუთრემ და მჩუქებელმა, აჩუქა შვილს ქ. ა-ს, თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ლაგოდეხი, ... ქუჩა №31, სართული I, ბინა I; აპელანტის განმარტებით, სახლი ორსართულიანია და ნ. ა-ის მფლობელობაშია II სართულზე არსებული ფართის ის ნაწილი, რომელიც პაპამ – თ. ა-მა მას უანდერძა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ავტორის შეფასებით, მის მიერ ანდერძით მიღებული ქონება არ არის აღრიცხული ქ. ა-ის სახელზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, ანდერძით, სამკვიდრო მონაწილი, ჩუქების ხელშეკრულებით, დგინდება, რომ თ. ა-მა მოსარჩელე ნ. ა-ს უანდერძა თავისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ. ლაგოდეხში, ... ქუჩა, №31-ში, ერთი ოთახი. ამასთან, თ. ა-ის სამკვიდრო ქონებას, რომელზედაც გაიცა სამკვიდრო მონაწილეობა წარმოადგენს ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, ნილობრივი მონაცემები 112; ყ. ა-მა, როგორც მე-

საკუთრემ და მჩუქებელმა, ეს ქონება აჩუქა შვილს – ქ. ა-ს. საქმეში წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ბინის/არასაცხოვრებელი ფართის შესახებ ასევე დგინდება, რომ თ. ა-ის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, ნილობრივი მონაცემებით 112 კვ.მ. აღნიშნულს ადასტურებს ასევე საქმეში წარმოდგენილი მინის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს სრულყოფილად უნდა შეესწავლა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მხარის მიერ მიკუთვნებით სარჩელზე მითითებისა და მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ, გამოერკვია ნ. ა-ი რეალურად სადავოდ ხდოდა თუ არა ჩუქების ხელშეკრულებას და გააჩნდა თუ არა პრეტენზია ქ. ა-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მის ნაწილზე), რომლის საერთო ფართი ასევე 112 კვ.მ-ია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, კერძოდ უნდა გაუქმებულიყო რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებულიყო იმავე სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ა-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის აზრით, ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა თავისი იურიდიული ინტერესი მოცემულ დავაში, სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა მიჩნეული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, ვინაიდან პირიქით, აღნიშნული სწორედ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ ჯ. ა-მა დაადასტურა გარემოება, რომ მოსარჩელეს – ნ. ა-ს სურდა სამკვიდრო ქონების მიღება და ამისთვის ნოტარიუსისათვის მიმართვა, ასევე არასწორია, ვინაიდან მოცემული გარემოება დეტალურად იქნა გამოკვლეული, რა დროსაც დადგინდა, რომ ნოტარიუსთან ან სხვა ორგანოში წასვლის სურვილი მოსარჩელეს გაუჩნდა მხოლოდ 2009 წელს, ხოლო ჯ. ა-მა არაერთხელ განაცხადა, რომ 2008 წლის განმავლობაში ნ. ა-ს მასთან ან „სამკვიდროსთან“ ურთიერთობა არ ჰქონია. ასევე უმართებულოა, პალატის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ დეტალურად უნდა იქნას გამოკვლეული მოწმე ბ. გ-ის ჩვენება, რომელიც განმარტავდა, რომ მისი შვილები ემზადებოდნენ ნ. ა-თან, რაც აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია სხვა მოწმეების ჩვენებებთან და თავად მოსარჩელის ჩვენებასთან, რომლის თანახმად, მან მუშაობა დაიწყო 2009 წელს. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, ცხადყოფს, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ვინაიდან იგი ვალდებული იყო დაეა განეხილა მხოლოდ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, აღნიშნული საკითხები კი, აპელანტს სადავოდ არ გაუხდია.

კასატორის აზრით, ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ რაიონულ სასამართლოს უნდა გამოეკვლია დოკუმენტაცია სადავო სახლთან მიმართებაში, ვინაიდან აპელანტი უთითებდა, რომ ჯ. ა-მა მეკვიდრეობით მიიღო და გააჩუქა საცხოვრებელი სახლის პირველი სართული, ხოლო ნ. ა-ს გააჩნია პრეტენზიები სახლის მე-2 სართულთან დაკავშირებით, რაც სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით უმართებულოა, აღნიშნული კი, ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა განსახილველ გარემოებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინება გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რის შედეგადაც მიიღო არასწორი გადაწყვეტილება (განჩინება), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიმარტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ პროცესუალური შესაძლებლობა: რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება და ხომ არ გამოინვევს ეს საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, პირველ ინსტანციაში გადააგზავნოს საქმე, თუ მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო კანონები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში.

ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო არ უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასარკვევ იმ საკითხთა წრეს, რომლის გარკვევა მას არ შეუძლია (ან არ არის მიზანშეწონილი, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უხეში პროცესუალური დარღვევების გამო, შეზღუდა პროცესუალური მხარის უფლებები, რომლის რეალიზაციასაც ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სამართალწარმოება და ა.შ.).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ დააბრუნოს საქმე უკან, როდესაც არ არსებობს მისი იურიდიულიდან გამომდინარე შეზღუდვები და მხარეთა პროცესუალური უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საქმის უკან დაბრუნების აუცილებლობა.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს თვითონ შეეძლო გამოეტანა გადაწყვეტილება, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლში აღნიშნული იურიდიული ინტერესის არსებობის განსაზღვრა წარმოადგენს სამართლებრივი შეფასების კატეგორიას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ყურადღება უნდა გაავამხვილოთ მოსარჩელის მოთხოვნაზე და მოთხოვნის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელში დაყენებული მოთხოვნა სამკვიდრო მონუმობის გაუქმების თაობაზე, წარმოადგენდა აღიარებითი ხასიათის სარჩელს, შესაბამისად, თუ მოსარჩელე მხარე მხოლოდ სამკვიდრო მონუმობის გაუქმების მოთხოვნით შემოიფარგლება და არ სურს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 და 180-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უნდა გამოარკვიოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი სარჩელის მოთხოვნის – 2009 წლის 20 თებერვლის სამკვიდრო მონუმობის გაუქმების მიმართ; კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა გამოერკვია მოსარჩელის კონკრეტულად რა უფლება იქნა დარღვეული, რაში მდგომარეობს მისთვის სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი და შესაბამისად, რა სამართლებრივი შედეგი დადგება მისთვის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენას უკავშირდება საბოლოოდ მოცემული დავის შედეგიც.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით აღიარებითი სარჩელისათვის გათვალისწინებული იურიდიული ინტერესის არსებობა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ იმ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესებით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. ამდენად, აღიარებითი სარჩელისათვის აუცილებელი იურიდიული ინტერესის განსაზღვრის კრიტერიუმს წარმოადგენს არა მხარის მითითება არსებულ ინტერესზე, არამედ იმ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით მოცემული წინაპირობები, რომლებიც იწვევენ აღიარებითი სარჩელით განსაზღვრულ შედეგს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

მოსარჩელე ნ. ა-ის მოთხოვნას წარმოადგენს ჯ. ა-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის გაუქმება მისთვის ანდერძით დატოვებული ქონების ნაწილში. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, ანდერძით, სამკვიდრო მონუმობით, ჩუქების ხელშეკრულებით, დგინდება, რომ თ. ა-მა მოსარჩელე ნ. ა-ს უანდერძა თავისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ. ლაგოდეხში, ... ქუჩა, №31-ში, ერთი ოთახი. ამასთან, თ. ა-ის სამკვიდრო ქონებას, რომელზედაც გაიცა სამკვიდრო მონუმობა წარმოადგენს ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, ნილობრივი მონაცემები 112; ჟ. ა-მა, როგორც მესაკუთრემ და მჩუქებელმა, ეს ქონება აჩუქა შვილს – ქ. ა-ს. საქმეში წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ბინის/არასაცხოვრებელი ფართის შესახებ ასევე დგინდება, რომ თ. ა-ის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. ლაგოდეხში, ... ქ. №31-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, ნილობრივი მონაცემებით 112 კვ.მ. აღნიშნულს ადასტურებს ასევე საქმეში წარმოდგენილი მინის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმა.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თ. ა-ის საკუთრებაში არსებული მთელი სამკვიდრო ქონება მიიღო მის მეუღლემ ჯ. ა-მა, რომელმაც მიღებული ქონება მთლიანად აჩუქა ქ. ა-ს. შესაბამისად საქმის მასალებიდან გამომდინარე არ იკვეთება, რომ ჯ. ა-ის მიერ მიღებული თ. ა-ის სამკვიდრო-ში და შემდეგ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ქ. ა-ის მიერ მიღებულ ქონებაში არ შევიდა ანდერძით გათვალისწინებული ქონება (სადავო საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ. ლაგოდეხში, ... ქუჩა, №31-ში, ერთი ოთახი).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მოთხოვნაზე, რაც მის მიერ საბოლოოდ დაზუსტდა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, კერძოდ, მოსარჩელე ითხოვს სამკვიდრო მონუმობის გაუქმებას, მაგრამ სადავოდ არ ხდის ჩუქების ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე, სადავო ქონება წარმოადგენს ქ. ა-ის საკუთრებას. შესაბამისად, ანდერძით გათვალისწინებული ქონების ნაწილში სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის შემთხვევაში იმ იურიდიული ინტერესის მიღწევა, რომლითაც შე-

საძლებელია ანდერძით დატოვებული ქონების საკუთრებაში მიღება და მემკვიდრის უფლების აღდგენა, შეუძლებელია.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტებისა და მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მოსარჩელე ნ. ა-ის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელით (ჯ. ა-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება მისთვის ანდერძით დატოვებული ქონების ნაწილში) არ მიიღწევა მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, რაც სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

ჯ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;  
ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;  
გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უწყების ჩაბარება

### დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი

#### განჩინება

№ას-1453-1371-2012 25 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თ.-ის მიმართ ქ.თბილისში, გ-ის ქ.№11-ში მდებარე 49.42 კვ.მ უძრავი ქონებაზე ქ. თ.-ის საკუთრების უფლების ნაწილობრივ გაუქმებისა და სადავო ქონების 7 კვ. მეტრის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო ის საფუძველით, რომ მან საცხოვრებელი ბინა და სადავო ფართი შეიძინა მოცემული დროისათვის არსებული სახით. სადავო ქონება ლეგალიზებულია მოპასუხის მიერ და მისი საკუთრების უფლება კანონიერად არის აღრიცხული.

აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი შემომწმა ზემდგომი სასამართლოს მიერ, საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. გ-ე ცნობილ იქნა ქ.თბილისში, გ-ის ქუჩა №11-ში მდებარე ქ. თ.-ის სახელზე რიცხული 49,42 კვ. მეტრიდან 6,39 კვ. მეტრის მესაკუთრედ, ხოლო თ. გ-ის მოთხოვნა 0,61 კვ. მეტრზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. თ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ქ. თ.-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლისა და 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად დადგინილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინების თანახმად, ვ. გ-ეს (ოჯახის წევრი-ძმა) თ. გ-ის მიერ მითითებულ მისამართზე სააპელაციო საჩივარი ჩაბარდა 2012 წლის 18 ივლისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრული შესაგებლის წარდგენის 5-დღიანი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2012 წლის 19 ივლისიდან და ამოიწურა 2012 წლის 23 ივლისს, რომელიც არც დასვენების და არც უქმე დღე არ ყოფილა. მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი არ წარადგინა. სააპელაციო საჩივრის ფარგლებში პალატამ დადგინილად მიიჩნია მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ჩათვალა, რომ ისინი სამართლებრივად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას.

სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით სასამართლოს საჩივრით მიმართა თ. გ-ემ. საჩივრის ავტორმა მისი მოთხოვნა დაამყარა შემდეგ გარემოებებზე:

ვ. გ-ე არ არის თ. გ-ის ოჯახის წევრი, იგი ცხოვრობს სხვა მისამართზე. თ. გ-ის სახელზე 2012 წლის 17 ივლისს გზავნილი გაგზავნილია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გ-ის ქ.№11. ბინის კონკრეტული ნომერი გზავნილზე მითითებული არ არის. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, გ-ის ქ.№11-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში არსებული №1 ბინა თ. გ-ის საკუთრებაა. იმავე მისამართზე მდებარე №9 ბინაში კი ცხოვრობს ვ. გ-ე, დედის – ნ. გ-ის სახელზე რეგისტრირებულ ბინაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას გაურკვეველია, სასამართლომ როგორ დაადგინა, ვ. გ-ე მოწინააღმდეგე მხარესთან მცხოვრები ოჯახის წევრი იყო თუ არა. სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 372-ე, 368-ე მუხლებისა და 373-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ასევე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ვალდებული იყო, მხარისთვის ეცნობებინა რწმუნებულების განახლებასთან დაკავშირებით ინფორმაცია, თუკი მინდობილობას ვადა ჰქონდა გასული. სასამართლომ არასწორად მიიჩნია ქ. თ-ის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად გამართულად, იმსჯელა რა 2008 წლის 7 მარტის №ლეგ-263 ბრძანების ბათილობაზე. 2008 წლის 7 მარტის №ლეგ-263 ბრძანების ბათილობაზე მსჯელობით, სასამართლო შევიდა საქმის არსებით განხილვაში, ამასთან, გადანყვეტილებაში არ არის მითითებული ის სამართლებრივი ნორმა, რის საფუძველზეც მხარეს ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების გარეშე არ ჰქონდა უფლება, ედავა სამოქალაქო წესით საკუთრების უფლების გაუქმებაზე. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც ყველა აქტზე, მათ შორის, მერიის ბრძანებაზე მაღლა მდგომი აქტია. დასახელებული გადაწყვეტილებით პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ქ. თ-ეს აეკრძალა თ. გ-ისათვის საერთო საკუთრების აივნით სარგებლობის ხელშეშლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით თ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ თ. გ-ეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაეგზავნა ქ. თ-ის სააპელაციო საჩივარი სასამართლოს 2012 წლის 16 ივლისის განჩინებასთან ერთად, რომლითაც მხარე გაფრთხილებულ იქნა 5 დღის ვადაში სააპელაციო პასუხის წარდგენის ვალდებულებასა და წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით. დასახელებული გზავნილი თ. გ-ეს ჩაბარდა 2012 წლის 18 ივლისს. თ. გ-ის სახელზე გზავნილი ჩაბარდა მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს, ძმას – ვ. გ-ეს. 2012 წლის 18 ივლისის შეტყობინების დასტურზე გზავნილის მიმღები პირის სახელი და გვარი მითითებული იყო როგორც გარკვევით, ისე ადრესატის შტრიხული ხელმოწერის სახით. გარკვევითვე იყო მითითებული გზავნილის ჩაბარების თარიღი, ადრესატთან დამოკიდებულება და ჩამბარებული პირის პირადი ნომერი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გზავნილი მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი გაეგზავნა და ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. პალატამ მიუთითა ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლ, მე-2 ნაწილებზე და განმარტა, რომ კანონმდებელი ოჯახის წევრისთვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს, ადრესატის ოჯახის წევრისათვის უწყების ჩაბარების ზემოხსენებული დანაშაულის გამოყენებისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხული უნდა იყოს ადრესატისათვის მისი ოჯახის წევრის მიერ უწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ობიექტური შეუძლებლობა, ანუ ოჯახის წევრი, რომელსაც ბარდება ადრესატისათვის გადასაცემი უწყება, არ უნდა იყოს მოკლებული შესაძლებლობას, რომ გონივრულ ვადაში გადასცეს ადრესატს იგი, ანდა მიანოდოს ინფორმაცია უწყებისა თუ სასამართლო გზავნილის შესახებ. მხარე სადავოდ არ ხდოდა იმ გარემოებას, რომ თ. გ-ისათვის 2012 წლის 18 ივლისს გაგზავნილი გზავნილი მიიღო ვ. გ-ემ – ადრესატის ძმამ, ამასთან, თ. გ-ე და მისი ძმა – ვ. გ-ე ცხოვრობენ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გ-ის ქ.№11. ამდენად, სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაშიც, თუკი გაზიარებული იქნებოდა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ და-ძმა არ ცხოვრობდა ერთსა და იმავე ბინაში, გონივრულობის ფარგლებში ივარაუდებოდა, რომ ერთ შენობაში, უფრო მეტიც, ერთ სართულზე მცხოვრები დისთვის ობიექტურად შესაძლებელი იყო, გადაეტყვა სასამართლო გზავნილი ანდა ინფორმაცია. ამასთან, ვ. გ-ეს, როგორც ადრესატის ოჯახის წევრს – ძმას, არც უარი განუცხადებია გზავნილის მიღებაზე და გზავნილის ჩაბარებისას არც გზავნილის ჩამბარებისათვის მიუწოდებია ინფორმაცია, რომ მისთვის საერთოდ უცნობი იყო ადრესატის ადგილსამყოფელი, მისი საკონტაქტო მონაცემები, რის გამოც შეუძლებელი იქნებოდა ადრესატთან დაკავშირება და სასამართლო გზავნილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომის რისკი გზავნილის ჩაბარებაზე ხელმომწერ ოჯახის წევრს ეკისრებოდა, ამდენად. არ იქნა გაზიარებული საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ ვ. გ-ის მიერ გზავნილის მიღებისას არ არსებობდა ამ გზავნილის თ. გ-ისთვის ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველი, შესაბამისად, სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ქ. თ-ის სააპელაციო საჩივარზე თ. გ-ეს სასამარ-

თლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელი არ წარუდგენია, ასევე არ იქნა გაზიარებული თ. გ-ის მოსაზრება, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მოსამართლის თანაშემწე ვალდებული იყო, ეცნობებინა მისთვის მინდობილობის ვადის გასვლის თაობაზე, რადგანაც, პალატის განმარტებით, არც საპროცესო კანონმდებლობით და არც სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი მოსამართლის თანაშემწის ვალდებულება, აცნობოს მხარეთა წარმომადგენლებს უფლებამოსილების ხარვეზის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით, 233-ე მუხლის მე-3 ნაწილით და არ დაეთანხმა საჩივრის არგუმენტს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, პალატამ აღნიშნა, რომ, კანონმდებელი აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თავისი პოზიციის გამოხატვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის აწესებს მის წინააღმდეგ, ესე იგი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამავდროულად, ამ დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავში მოცემული წესებით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსიდან გამომდინარე, სააპელაციო პასუხის შეუტანლობა უნდა იქნეს გათანაბრებული პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობასთან და დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს 232<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე. ამდენად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ 201-ე მუხლის მე-7 ნაწილითა და 232<sup>1</sup> მუხლებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი საფუძვლები: 1. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სააპელაციო საჩივრის ასლი და იგი უნდა იყოს გაფრთხილებული სააპელაციო პასუხის წარდგენის ვალდებულების ვადასა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით; 2. აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად უნდა ამართლებდეს სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძველად მითითებული გარემოებები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები (აპელანტ ქ. თ-ის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება 49.42 კვ.მ ფართი. უფლების დამდგენ ერთ-ერთ დოკუმენტს წარმოადგენდა ადმინისტრაციული აქტი – ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 7 მარტის №ლევ-263 ბრძანება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 აპრილის განჩინებით, რომელიც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინებით, თ. გ-ეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 7 მარტის №ლევ-263 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით ქ. თ-ის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება ლეგალიზებული 12.78 კვ.მ აივანი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რომელიც არ გაბათილებულა) იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას უძრავ ნივთზე მესაკუთრედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-ემ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლები. სააპელაციო სასამართლოს გზავნილი 2012 წლის 18 ივლისს ჩაიბარა თ. გ-ის ძმამ, სასამართლომ დაუსწრებელი გამოტანის საფუძველად მიიჩნია აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა, თუმცა სააპელაციო პალატამ აღნიშნული დარღვევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. სასამართლომ სადავო გზავნილი გააგზავნა ქ.თბილისში, გ-ის ქ.№11-ში, ისე, რომ გზავნილზე არც თ. გ-ის და არც მისი ძმის საცხოვრებელი ბინის ნომერი არ მითითებია, აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. გ-ე თ. გ-ის ოჯახში მცხოვრები პირი იყო, რაც არასწორია. საყურადღებოა, რომ მოსარჩელე, მისი ძმა და მოპასუხე ცხოვრობენ ქ.თბილისში, გ-ის ქ.№11-ში, რომელიც ე.წ „იტალიური ტიპის“ საცხოვრებელია, თუმცა ამ სახლის პირველ სართულზე ცხოვრობს თ. გ-ე ოჯახთან ერთად, ასევე ქ. თ-ე, ხოლო მე-3 სართულზე ცხოვრობს თ. გ-ის დედა ვაჟთან – ვ. გ-ესთან ერთად, რაც, როგორც საჯარო რეესტრის, ისე კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით დგინდება. საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ თავადვე დაადასტურა ის გარემოება, რომ კასატორის ძმა ცხოვრობს დედასთან ერთად. სადავო არაა იმ გარემოება, რომ სარჩელის თანახმად, თ. გ-ეს მის მისამართად სწორედ №3 ბინა ჰქონდა მითითებული, ხოლო სააპელაციო საჩივრის გაგზავნის დროისათვის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა თუ არა ვ. გ-ე, დადგენილი არ არის. ქ. თ-ის სააპელაციო საჩივრის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად გადაგზავნის შემდგომ კასატორის წარმომადგენელი მ. ჩ-ი არაერთხელ დაუკავშირდა მოსამართლე ლ.ტყემალაძის თანაშემწეს წარმოებაში მიღების შემდგომ სააპელაციო საჩივრის ჩაბარების მიზნით, თუმცა თანაშემწე განუმარტავდა, რომ სააპელაციო საჩივარი გადიოდა დასაშვებობის ეტაპზე. 2012 წლის 19 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით მოსამართლე ლ.

ტ-ე კუთვნილ შვებულებაში იმყოფებოდა, თუმცა მოსამართლის შვებულებაში გასვლის დროისათვის წარმომადგენელმა კვლავ მიმართა სასამართლოს და თანაშემწემ აცნობა წარმომადგენელს უფლებამოსილების ვადის ამონურვის თაობაზე, რის გამოც სააპელაციო საჩივარი გაეგზავნა მხარეს. 2012 წლის 1 აგვისტოს განახლებულ რწმუნებულებასთან ერთად მ. ჩ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და განმარტა, რომ გზავნილს თ. გ-ე ვერ ჩაიბარებდა, რადგანაც არ იმყოფებოდა თბილისში, ამ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ რწმუნებულება გაცემულია ქ.ბათუმში, მოსამართლემ კი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ზემოაღნიშნულის თაობაზე ცნობილი იყო, შვებულებიდან დაბრუნების შემდგომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამასთანავე, მოსამართლის არყოფნის გამო, მხარის წარმომადგენელი ვერ გაეცნო საქმეს და ვერ შეიტყო თ. გ-ის ძმის მიერ გზავნილის ჩაბარების ფაქტი, სასამართლომ არ გაითვალისწინა 2012 წლის 1 აგვისტოს განცხადების მოთხოვნაც სააპელაციო საჩივრის ასლის მ. ჩ-ისათვის გადაცემის თაობაზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებით სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ გზავნილი ჩაბარდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის ოჯახის წევრს, ამასთანავე, სასამართლოს არ უმსჯელია მხარის საჩივრის ყველა პრეტენზიაზე, შესაბამისად, გაურკვეველია რა გარემოებაზე დაყრდნობით დაადგინა სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტი. ამავე განჩინებით სასამართლო ავითარებს თავისივე მოსაზრების საწინააღმდეგო მსჯელობას და თვლის, რომ ძმისთვის ჩაბარება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეები ერთი ოჯახის წევრები არ არიან, გონივრულობის ფარგლებში, მიუთითებს ჩამბარებლის შესაძლებლობაზე, გზავნილის თაობაზე აცნობის ადრესატს. აღნიშნული განმარტებით სასამართლო უგულებელყოფს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესს. ამავე განჩინებით სასამართლო არ აფასებს 2012 წლის 1 აგვისტოს განცხადებას, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-7 და 368-ე მუხლების საწინააღმდეგოდ, სასამართლო, მოსამართლის თანაშემწის მეშვეობით, ვალდებული იყო მხარისათვის რწმუნებულების ვადის გასვლის თაობაზე ეცნობებინა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო ის გარემოებაც, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას. ამ კუთხით სასამართლომ იმსჯელა 2008 წლის №ლევ-263 ბრძანების ბათილობის საკითხზე, როსი უფლებაც მას არ გააჩნდა, აღნიშნული სასამართლო შევიდა საქმის არსებით განხილვაში. ამასთანავე, არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ კასატორს გააჩნია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მას სადავო ფართზე საკუთრების უფლება აქვს მოპოვებული. სასამართლოს მსჯელობით, საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ დავის სამოქალაქო წესით განხილვა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლ ნაწილსა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს ეწინააღმდეგება, რაც არასწორია, ვინაიდან წინამდებარე დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სწორედ სამოქალაქო სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს მსჯელობა კი ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 311-ე, 953-ე, 954-ე, 968-ე და 991-ე მუხლებს. ამდენად, სასამართლომ დაარღვია კანონი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თ. გ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და თ. გ-ის საკასაციო პრეტენზიის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წინამდებარე საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების საფუძვლად მიიჩნია აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის წარუდგენლობა, რაც სასამართლომ დაამყარა შემდეგ გარემოებებს: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ივლისის განჩინებით ქ. თ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თ. გ-ეს გაეგზავნა ქ. თ-ის სააპელაციო საჩივარი 2012 წლის 16 ივლისის განჩინებასთან ერთად და სააპელაციო პასუხის წარდგენისათვის განესაზღვრა ვადა 5 დღით, ამასთანავე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს განემარტა ამ ვადაში სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

სასამართლომ ჩათვალა, რომ დასახელებული გზავნილი თ. გ-ეს ჩაბარდა 2012 წლის 18 ივლისს. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ემყარება შემდეგს: თ. გ-ის სახელზე გზავნილი ჩაბარდა მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს, ძმას – ვ. გ-ეს. 2012 წლის 18 ივლისის შეტყობინების დასტურზე გზავნილის მიმღები პირის სახელი და გვარი მითითებულია როგორც გარკვევით, ისე ადრესატის შტრიხული ხელმოწერის სახით. გარკვევითაა მითითებული გზავნილის ჩაბარების თარიღი, ადრესატთან დამოკიდებულება და ჩამბარებელი პირის პირადი ნომერი. პალატამ არ გაიზიარა თ. გ-ის პრეტენზია, რომ ვ. გ-ის მიერ გზავნილის მიღებისას არ არსებობდა ამ გზავნილის თ. გ-ისათვის ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველი. პალატის მტკიცებით, თ. გ-ე და მისი ძმა – ვ. გ-ე, ორივე, ცხოვრობს მისამართზე: ქ.თბილისში, გ-ის ქ. №11-ში, რის გამოც სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ და-ძმა არ ცხოვრობს ერთსა და იმავე ბინაში, გონივრულობის ფარგლებში ივარაუდება, რომ ერთ შენობაში, უფრო მეტიც, იმავე სართულზე მცხოვრები პირისათვის ობიექტურად შესაძლებელი იყო, გადაეცა სასამართლო გზავნილი ანდა ინფორმაცია დის-



თვის. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, გზავნილის ვ. გ-ისათვის ჩაბარება სწორედ მხარისათვის ჩაბარებად ჩათვალა, შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. -ის სააპელაციო საჩივარზე თ. გ-ეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელი არ წარუდგენია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღების გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა, რადგანაც, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო მოთხოვნას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული დაუსრულებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების თაობაზე განჩინების განმარტებას აპელანტის მოწინააღმდეგე მხარისათვის სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილი წესით 2012 წლის 18 ივლისს ჩაბარების თაობაზე და ამ მიმართებით სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას, კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი 2012 წლის 16 ივლისის განჩინებასთან ერთად თ. გ-ეს 2012 წლის 17 ივლისს გაეგზავნა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გ-ის ქ.№11, ამავე გზავნილში არ არის მითითებული ბინის კონკრეტული ნომერი, ამავე მისამართზეა გაგზავნილი სასამართლო უწყებაც.

საქმეში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინების ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულების თანახმად, 2012 წლის 18 ივლისს კორესპოდენცია ჩაბარდა ვ. გ-ეს, ადრესატის ძმას.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. დასახელებული ნორმა სასამართლო შეტყობინების მხარისათვის გაგზავნის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ცალსახად განმარტავს, რომ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს მხარის მიერ მითითებულ მისამართზე იქნება ეს ძირითადი, ალტერნატიული თუ სხვა მისამართი.

საქმეში წარმოდგენილი სარჩელის, ასევე დაზუსტებული სარჩელის თანახმად, თ. გ-ეს მის მისამართად მითითებული აქვს გ-ის ქ.№11, ბინა №3. ანალოგიურადაა ადრესატის მისამართი დაფიქსირებული საქმეში არსებულ სხვადასხვა განცხადებებსა თუ მ. ჩ-ის სახელზე გაცემულ მინდობილობებში.

საყურადღებოა, რომ დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საჩივრის ერთ-ერთ არგუმენტად მხარე მიუთითებდა შეტყობინების არასრულ მისამართზე გაგზავნის ფაქტს, რომ ვ. გ-ე არ იყო თ. გ-ესთან მცხოვრები ოჯახის წევრი, რაც სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა, ამასთანავე, გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატას შეფასება არ მიუცია აპელანტის განმარტებისათვის, რომ უწყების მიმღები ვ. გ-ე ცხოვრობდა არა თ. გ-ესთან, არამედ დედასთან (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ოქტომბრის სხდომის ოქმი 11:50:53), რაც, როგორც მტკიცებულება (აღიარება), დაუსრულებელი გადაწყვეტილების მართებულობის კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან აუარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ამტკიცებდა, რომ სასამართლო შეტყობინების მიმღები პირი ცხოვრობდა არა თ. გ-ესთან, არამედ ამავე მისამართზე მდებარე სხვა ბინაში დედასთან ერთად, აღნიშნულის, ქ. თ-ის განმარტებისა და აპელანტის მოწინააღმდეგე მხარისათვის სასამართლო შეტყობინების არასრულ მისამართზე გაგზავნის ფაქტის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად გამოკვლევით, საკასაციო პალატა დასაბუთებულად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ვინაიდან დასახელებული ნორმის დისპოზიციით დგინდება კანონმდებლის იმპერატიული ნება, ოჯახის იმ წევრს ჩაბარდეს შეტყობინება, რომელიც მხარის მიერ მითითებულ მისამართზე ცხოვრობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. ამავე მუხლი სმე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლზე, რომლის მოქმედებაც, ამავე კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, სააპელაციო სამართალწარმოების მიმართაც ვრცელდება. დასახელებული ნორმის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონკვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსრულებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სავალდებულოა სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წესის განუხრელი დაცვა და იმის უტყუარად დადგენა, მხარე იყო თუ არა სათანადოდ ინფორმირებული საპროცესო მოქმედების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე, რადგანაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს პრეზუმფციას მხარის მიერ სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული ფაქტებისა და სასარჩელო (სააპელაციო) მოთხოვნის მართებულობის აღიარების თაობაზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის ამგვარი განმარტება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუნდამენტური პრინციპის – დისპოზიციურობის ნათელი გამოვლინებაა, სწორედ ამ საფუძვლიდან გამომდინარე ევალება სასამართლოს მხოლოდ კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებებისა და სასარჩელო (სააპელაციო) მოთხოვნის მართებულობის შეფასება და ამ გზით გადაწყვეტილების მიღება, ამასთანავე, ამგვარი გადაწყვეტილება არ შეიძლება გარკვეული სანქცია იყოს მხარისათვის, რათა დაუსაბუთებლად, საქმის ვითარების გაურკვეველად არ დაეკისროს მოპასუხეს ის, რის წინააღმდეგაც კონსტიტუციით გარანტირებული შედეგებისა თუ მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობაც გააჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის, ან გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამავე კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონკვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირველი წინაპირობა – მხარეს დადგენილი წესით არ ეცნობა საქმის გარემოებები და ის სათანადოდ არ იყო ინფორმირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, რაც საკმარისია ამ გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამართლებრივ შეფასებას აღარ საჭიროებს კასატორის პრეტენზიები სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებებისა და იურიდიული თვალსაზრისით აპელანტის მოთხოვნის მართებულობის თაობაზე. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ სასამართლო ვალდებულია წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების ვადის ამონურვის შემდგომ აცნობოს მას აღნიშნულის თაობაზე, საკასაციო პალატა ამ არგუმენტს ვერ გაიზიარებს და ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მითითებულ გარემოებას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და ასეთი არც სასამართლო პრაქტიკითაა დადგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარდა ქ. თ-ის სააპელაციო საჩივარი და ამ საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები, კერძოდ, არ არსებობდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე მხარის დროულად ინფორმირების ფაქტის მიჩნევის საფუძველი და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის უპირობოდ დაკმაყოფილების წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლით 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილით და

და ა ა ზ ი ნ ა :

1. თ. გ.-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზები

### განჩინება

№ას-579-547-2011

10 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების ნაწილის მესაკუთრედ ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის განჩინებით კასატორებს დაევალით განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში, სარწმუნოდ დაადასტურონ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება, წარმოადგინონ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის დედანი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით შედგენილი საკასაციო საჩივრის ასლი და ე. თ-ის ადვოკატის მონაშობის ასლი.

2011 წლის 20 მაისს კასატორების წარმომადგენელმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება.

2011 წლის 30 მაისის განჩინებით კასატორებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა 5 დღით. აღნიშნული განჩინების ასლი კასატორების წარმომადგენელს სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა 2011 წლის 1 ივნისს. შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა ამოიწურა ამა წლის 6 ივნისს, მაგრამ აღნიშნულ ვადაში კასატორების მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

2011 წლის 7 ივნისს კასატორების წარმომადგენელმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას, რასაც დაურთო აუდიტის დასკვა, საკასაციო საჩივარი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი. კასატორების წარმომადგენელმა განცხადებაში აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ელ.ფოსტის მეშვეობით ინფო"სუპრემეცოურტ.გე ამა წლის 6 ივნისს გამოაგზავნა განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ საკასაციო საჩივართან ერთად და განმარტა, რომ ქალაქის ვერსიას წარმოადგენდა 2011 წლის 7 ივნისს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით დ. ე-ას, თ. ჩ-ის უფლებამონაცვლე მ. მ-ის წარმომადგენლის ე. თ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

დ. ე-ამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საპროცესო ვადის აღდგენა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ ვადის დარღვევა მისი ბრალით არ არის გამოწვეული, შესაბამისად მოითხოვა ჩატარდეს მოკვლევა თუ ვინ არის გ. ჯ-ი, არის თუ არა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, გარდა ამისა ეჭვს იწვევს მისი პროფესიული სტატუსი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ე-ას განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებელი ხარვეზის შევსების ვადის აღდგენის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ვადის დარღვევა მისი ბრალით არ არის გამოწვეული. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოება მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება მიჩნეული საპროცესო მოქმედების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, რამდენადაც იგი არ დასტურდება არანაირი მტკიცებულებით. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასახელებულ გარემოებაზე განმცხადებელს არ მიუთითებია მის მიერ წარმოდგენილ 2011 წლის 7 ივნისის განცხადებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

ამავე კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები. ამდენად, საპროცესო მოქმედებისათვის განსაზღვრული ვადა სასამართლოს შეუძლია აღადგინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვადის აღდგენისათვის არსებობს საპატიო მიზეზი და ვადის აღდგენა არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ნორმებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დანუსებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. დასახელებული საპროცესო ნორმის დანაწესიდან გამომდინარე ობიექტური გარემოება უნდა იყოს განსაკუთრებული, ისეთი, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მხარემ შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა არ იყო გამოწვეული საპატიო მიზეზით, დ. ე-ას განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

დ. ე-ას განცხადება არ დაკმაყოფილდეს;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

### **ბანჩინება**

№ას-1322-1342-2011

7 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ს-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ხ. მ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხისათვის 3000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე ხ. მ-ს 3000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ხ. მ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, მოწინააღმდეგე მხარე მ. ს-ს გაეგზავნა ზემოაღნიშნული განჩინებისა და ხ. მ-ის სააპელაციო საჩივრის ასლები. იმავე განჩინებით მ. ს-ს 14 დღის ვადაში სააპელაციო საჩივარზე სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარდგენა დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2011 წლის 20 მაისს, მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის საფუძველზეც ხ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, მ. ს-ს უარი ეთქვა ხ. მ-ისათვის 3000 აშშ დოლარისა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 165 ლარის დაკისრებაზე, მ. ს-ს დაეკისრა ხ. მ-ის სასარგელოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო ინსტანციაში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 210 ლარი.

მ. ს-მა აღნიშნული დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში საჩივარი წარადგინა და მისი გაუქმება მოითხოვა. მხარის განმარტებით, მ. ს-ის ადვოკატის ქალაქგარეთ მივლინებაში ყოფნის გამო, შესაგებლის სააპელაციო სასამართლოში შეტანა ვერ მოხერხდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით მ. ს-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. ს-ის წარმომადგენელმა რ. გ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგანაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. სასამართლოს უნდა დაენიშნა მთავარი სხდომა, რომელზეც მოპასუხისაგან ახსნა-განმარტებასა და მტკიცებულებებს არ მიიღებდა. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია არც ერთ მტკიცებულებაზე, გარდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამონიშნავს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

იმავე კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონევეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, რის გამოც სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა გამოეტანა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის წინააღმდეგაა გამოტანილი, ამასთან დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამდენად სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულად გამართლებულობაზე მსჯელობა უსაფუძვლოა.

ვინაიდან აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, იგივე მოსარჩელემ, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებელი არ წარადგინა, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი საფუძვლები, კერძოდ კი, ის გარემოებები, რომ 3000 აშშ დოლარი ხ. მ-მა მ. ს-ს ბეს სახით გამოართვა და ეს თანხა შევიდა ნასყიდობის ფასში. მ. ს-თან ზეპირად დადებული შეთანხმებით, მას ბინის შემძენისათვის 34 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, რაშიც შედიოდა ის 3000 დოლარი, რაც თითქოსდა ხ. მ-ს ასესხა. მ. ს-მა, რეალურად, 31000 აშშ დოლარი გადაიხადა. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით კი, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი მართებულად არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებულ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებებზე მხარე საკასაციო საჩივარში არ მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ამდენად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, 232<sup>1</sup> მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

მ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინება და 2011 წლის 20 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განჩინება

№ას-633-594-2011 10 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. დ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. მ-ის მიმართ მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის კუთვნილი „ფორდ ფიესტას“ მარკის ავტომანქანის სახელმწიფო ნომრით – ... გამოთხოვის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელემ 2006 წელს შეიძინა „ფორდ ფიესტას“ მარკის ავტომობილი, რომელიც განაბაჟა ქ.ფოთში და საკუთრება აღრიცხა თავის სახელზე. ნივთის შექენიდან დაახლოებით 6-7 თვის შემდეგ გადაწყვიტა მისი გაყიდვა და ამ მიზნით, მინდობილობის გარეშე, გადასცა მის პარტნიორ ა. ც-ეს, რომელსაც მოგვიანებით ვეღარ უკავშირდებოდა, რადგანაც ა. ც-ე იმყოფებოდა მიმალვაში. 2008 წლის სექტემბერში ა. ც-ე დააკავეს. ამ პერიოდში ლ. დ-იას დაუკავშირდა ბ. მ-ი და სთხოვა მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილის გადაფორმება, რომელიც მას ჰყავდა შექენილი, რასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა და მოითხოვა ავტომობილის დაბრუნება. ამავლე თხოვნით მოპასუხემ ლ. დ-იას მოგვიანებითაც არაერთხელ მიმართა, თუმცა მოსარჩელეს ავტომობილის გადაფორმებაზე თანხმობა არასოდეს განუცხადებია.

ის ფაქტი, რომ ავტომობილი ლ. დ-იას ეკუთვნის, დასტურდება საკუთრების უფლების რეგისტრაციით, რომელიც გაუქმებული არ არის, ხოლო ის ფაქტი, რომ მოპასუხესთან ავტომობილის მიყიდვაზე ლ. დ-იას მოლაპარაკება არ უნარმოებია, დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით მოპასუხის დავითხვის ჩვენებებით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

2006 წლის მაისში სადავო ავტომანქანა ბ. მ-მა შეიძინა ა. ც-ისაგან, რომელმაც განუმარტა, რომ ავტომანქანა წარმოადგენდა მის საკუთრებას, მაგრამ რეგისტრირებული იყო ლ. დ-იას სახელზე. ა. ც-ეს, მისი განმარტების თანახმად, პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა მოსარჩელესთან და თანხის გადახდის შემდეგ მანქანის გადაფორმება პრობლემას არ წარმოადგენდა. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან მოყოლებული იგი ნივთს ფლობს თავისუფლად, როგორც საკუთარს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. დ-იას სარჩელი მოპასუხე ბ. მ-ის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. დ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. დ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. მ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა „ფორდ ფიესტა“ სახელმწიფო ნომრით ... და დაუბრუნდა ლ. დ-იას შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის განჩინებით ლ. დ-იას სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. მოწინააღმდეგე მხარეს გადაეგზავნა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლები და დაევალა 7 დღის ვადაში წარმოედგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლზე და განმარტა, რომ ვინაიდან, სააპელაციო ინსტანციით საქმის წარმოებისათვის დადგენილი ნორმები არ ითვალისწინებს სააპელაციო პასუხის წარდგენასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ წესს, გამოყენებული უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესაგებლის წარდგენის ვალდებულების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი, რომლის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-6 ნაწილის თანახმად, კანონმდებელი მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თავისი პოზიციის გამომხატვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის აწესებს ზეპირი მოსმენის გარეშე მის წინააღმდეგ, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ სამოქალაქო კოდექსის XXVI თავში მოცემული წესებით. პალატის განმარტებით, სააპელაციო პასუხის შეუტანლობა უნდა იქნეს გათანაბრებული პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობასთან და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს 232' მუხლის საფუძველზე.

პალატამ მიუთითა, რომ დასახელებული ნორმების შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს არსებობს თუ არა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. უპირველესად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სასამართლო გზავნილი (სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთების ასლები) კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს და შესაბამისად, განემარტა,

შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, ამასთან, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ მის მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს სააპელაციო პასუხს (შესაგებელს).

პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ ბ. მ-ს კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 26 თებერვალს ჩაბარდა სააპელაციო საჩივარი, მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში (2010 წლის 5 მარტის ჩათვლით) სააპელაციო პასუხი არ წარმოდგენია. მან სააპელაციო პასუხი წარადგინა 2010 წლის 9 მარტს, სასამართლოს მიერ დადგენილი 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარდგენის ვადის ამოწურვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობებს ქმნის. სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას და სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენლობის გამო, დამტკიცებულად იქნა მიჩნეული აპელანტის ახსნა-განმარტებაში მითითებული შემდეგი გარემოებები:

ლ. დ-იამ თავისი კუთვნილი ავტომანქანა „ფორდ ფიესტა“ სახელმწიფო ნომრით ..., გასაყიდად გადასცა ა. ც-ეს იმ პირობით, რომ ავტომანქანის ფასზე მყიდველს თვითონ შეუთანხმდებოდა, 2006 წელს ა. ც-ემ, ლ. დ-იასთან შეთანხმების გარეშე, სადავო ავტომანქანა მიჰყიდა მოპასუხე ბ. მ-ს 2400 აშშ დოლარად. მოპასუხეს გადაეცა ავტომანქანა და სარეგისტრაციო მოწმობა. იმავე წელს ლ. დ-ია საზღვარგარეთ გაემგზავრა სამკურნალოდ, ხოლო დარბუნების შემდეგ ა. ც-ე ველარ იპოვა, რის შესახებაც განაცხადა პოლიციაში. ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ა. ც-ის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და იმყოფებოდა ძებნაში. ბ. მ-მა ფულის გადახდამდე და მანქანის წაყვანამდე იცოდა, რომ მანქანა გაფორმებული იყო ლ. დ-იას სახელზე. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ამავე კოდექსის 158-ე მუხლზე, 187-ე მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და ჩათვალა, რომ დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტები იურიდიულად ამართლებენ აპელანტის მოთხოვნას რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის (სარჩელის) დაკმაყოფილების წინაპირობა იყო.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ბ. მ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასამართლოსაგან განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობა განაპირობა მექანიკურმა შეცდომამ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გზავნილის პირველ გვერდზე მითითებული იყო „10 ფურცელი“, რაც შეცდომით გაგებულ იქნა შესაგებლის წარდგენის ათდღიან ვადად, სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ბ. მ-ი ავტომანქანის კეთილსინდისიერი შემძენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ბ. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე, 233-ე მუხლებით, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ არ არის მითითებული და, შესაბამისად, დადასტურებული არც ერთი ის გარემოება, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმების მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების სამართლებრივ საფუძვლად.

სასამართლომ მიუთითა, რომ საჩივრის ავტორს (მოწინააღმდეგე მხარეს) გაეგზავნა სააპელაციო საჩივარი ათ ფურცლად, რის შესახებაც მითითებულია გზავნილში, აღნიშნულის შესახებ განმარტებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე პასუხის (შესაგებლის) წარდგენის თაობაზე გზავნილის ჩაბარებიდან შვიდი დღის ვადაში, ამასთან, მხარეს განემარტა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემდეგი – მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ მხარემ ყურადღებით არ წაიკითხა გზავნილი და მისთვის გადაგზავნილი სააპელაციო საჩივრის ფურცლების რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრი მიიჩნია შესაგებლის წარდგენის ვადად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სასამართლოს მიერ დადგენილ შვიდდღიან ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზად. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნა იმის შესახებაც, იურიდიულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო საჩივარში მითითებული დადასტურებულად მიჩნეული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე, 240-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიიჩნია, რომ ბ. მ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. მ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რადგანაც ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ასაბუთებს. ლ. დ-ია სარჩელშივე მიუთითებდა, რომ კუთვნილი ავტომობილი ა. ც-ეს გადასცა სწორედ გასხვისების მიზნით და 2006 წელს ა. ც-ემ ავტომობილი მიჰყიდა კასატორს. იმის გათვალისწინებით, რომ ლ. დ-იას თანხა არ მიუღია, ამ უკანასკნელმა მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდა, რომ კასატორი იყო ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, რადგანაც, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ბ. მ-ს თანხის გადახდის შემდეგ გადაეცა ავტომობილი და მისი სარეგისტრაციო მონმობა, ამასთან, საკუთრების უფლების რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. ამდენად, დადასტურებულია, რომ სარჩელი იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

კასატორის განმარტებით, კეთილსინდისიერად მისი მიჩნევის წინაპირობა იხილავს, რომ ავტომობილი გამყიდველს უკანონოდ არ ჰქონდა მფლობელობაში, პირიქით, მოსარჩელე თავადვე განმარტავდა, რომ ის და ა. ც-ე იყვნენ პარტნიორები და მან ავტომობილი გასაყიდად გადასცა ამ უკანასკნელს და შემძენისათვის უფლებრივი ნაკლის თაობაზე ცნობილი არ იყო.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ მან საპატიო მიზეზით დაარღვია შესაგებლის შეტანისათვის დადგენილი ვადა, ვინაიდან გზავნილში მითითებული „10 ფურცელი“ არასწორად ჩათვალა შესაგებლის წარდგენის ვადად და სწორედ 10 დღეში წარადგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივრზე, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ საპატიო მიზეზად სასამართლოს უნდა მიეჩნია სწორედ მექანიკური შეცდომის გამო შესაგებლის დაგვიანებით წარდგენა, ვინაიდან ბ. მ-ი სასამართლო გზავნილს უპასუხისმგებლოდ არ მოკიდებია. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაირღვევა მხარის საქართველოს კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსით აღიარებული უფლებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინებით ბ. მ-ს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 მანქის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების თაობაზე განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის განჩინებით ლ. დ-იას სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ამავე განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეს – ბ. მ-ს განესაზღვრა საპროცესო ვადა 7 დღით სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენისათვის და განემარტა მითითებულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგი – სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქმის მასალებით დადგენილია და ამას არც საკასაციო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ სააპელაციო სასამართლოს გზავნილი და ლ. დ-იას სააპელაციო საჩივრის ასლი მას პირადად ჩაბარდა 2010 წლის 26 თებერვალს, მხარემ კი სააპელაციო შესაგებელი შეიტანა 2010 წლის 9 მარტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილით განისაზღვრა აპელანტის გამოუცხადებლობის, ხოლო მე-2 ნაწილით – აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შედეგი, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესები სპეციალური ნორმებია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობასთან მიმართებით, ამასთან, კანონმდებელმა, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრა, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, მათ შორისაა დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.



სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

როგორც მითითებული ნორმიდან, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის ზოგადი ანალიზიდან ირკვევა, ზემოაღნიშნულ პირობებთან ერთად, იმისათვის რომ აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს, საჭიროა არსებობდეს ასევე უმთავრესი პირობა – სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას (სსსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი), ხოლო მითითებული გარემოებები კი სასამართლოს მიერ ყოველგვარი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე დამტკიცებულად მიიჩნევა (სსსკ 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი).

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, დადგენილად ჩათვალა სარჩელში მითითებული შემდეგი გარემოებები:

ა) ლ. დ-იამ თავისი კუთვნილი ავტომანქანა „ფორდ ფიესტა“, სახელმწიფო ნომრით – ... გასაყიდად გადასცა ა. ც-ეს იმ პირობით, რომ ავტომანქანის ფასზე მყიდველს თვითონ შეუთანხმდებოდა;

ბ) 2006 წელს ა. ც-ემ, ლ. დ-იასთან შეთანხმების გარეშე, სადავო ავტომანქანა მიჰყიდა მოპასუხე ბ. მ-ს 2 400 აშშ დოლარად; მოპასუხეს გადაეცა ავტომანქანა და სარეგისტრაციო მოწმობა;

გ) იმავე წელს ლ. დ-ია გაემგზავრა საზღვარგარეთ სამკურნალოდ, ხოლო დაბრუნების შემდეგ ა. ც-ე ველარ იპოვა, რის შესახებაც განაცხადა პოლიციაში. ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ა. ც-ის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და იგი იმყოფებოდა ქებნაში;

დ) ბ. მ-მა ფულის გადახდამდე და მანქანის წაყვანამდე იცოდა, რომ მანქანა გაფორმებული იყო ლ. დ-იას სახელზე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის საფუძველზე, მართებულად იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 158-ე მუხლით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბ. მ-ისათვის ნივთის შექმნისას ცნობილი იყო მისი უფლებრივი ნაკლის თაობაზე, შემძენი სასამართლომ სავსებით მართებულად არ ჩათვალა სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის ობიექტად, ამდენად, სამართლებრივად დადასტურდა ნივთის არამართლზომიერი ფლობა და სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მესაკუთრეს ჰქონდა აბსოლუტური უფლება, მოეთხოვა ნივთის უკანონო მფლობელისაგან ავტომობილის დაბრუნება.

დასახელებული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის არგუმენტს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე, კერძოდ, არასწორია კასატორ ბ. მ-ის მტკიცება, რომ სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის საფუძველზე ის კეთილსინდისიერი შემძენია, რადგანაც მესამე პირთან გარიგების დადებისას მას გადაეცა ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, მან გადაიხადა ნასყიდობის საფასური და აღნიშნული გარემოებები რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი.

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთგვარ პროცესუალურ სანქციას პირის მიმართ, რომელიც განსაზღვრულ ვადაში არასათანადოდ ახორციელებს სასამართლო დავალებას. ასეთ დროს (ივარაუდება შესაგებლის შეუტანლობა ან მოპასუხის გამოუცხადებლობა) გადაწყვეტილების გამოტანა ხდება დადგენილად მიჩნეული გარემოებების მატერიალურ კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის კვლევის საფუძველზე, ისე, რომ სასამართლო არაუფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები, უფრო მეტიც, კანონი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას იმპერატიულად ადგენს, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები დადგენილად მიიჩნევა და მართლმსაჯულება შემოიფარგლება მხოლოდ დადგენილი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთების შემონმებით, რაც განსახილველ შემთხვევაში უტყუარად, სწორადაა დადგენილი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ბ. მ-ის საკასაციო პრეტენზიას, რომ სასამართლოს გზავნილში მითითებული „10 ფურცლად“ მხარემ ჩათვალა შესაგებლის წარდგენის ვადად და მან სწორედ ამ ვადაში წარადგინა სააპელაციო პასუხი, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეს არც საჩივრითა და არც საკასაციო საჩივრით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მართებულობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის საფუძველზე სადავო არ გაუხდია და ასეთი არც საქმის მასალებით დასტურდება, ხოლო საპატიო მიზეზის თაობაზე, საკასაციო პალატა მიუთითებს ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავად-

მყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპატიო მიზეზად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ის ფაქტი, რომ ბ. მ-მა გზავნილის მითითება „10 ფურცლად“ ჩათვალა შესავების წარდგენის ვადად, ვინაიდან აღნიშნული მხარის მიზეზითაა განპირობებული და კანონით გათვალისწინებულ ობიექტურ გარემოებას არ წარმოადგენს, რაც გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ ქმნის გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინების გაუქმების პროცესუალურ საფუძველს, შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ბ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### განჩინება

№ას-132-127-2012

23 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვის აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ე. პ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ე.-პ. ჯ-ას“ მიმართ სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 53-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვის შესახებ აქტის ბათილად ცნობისა და უსაფუძვლოდ დარიცხული ჯარიმის გაუქმების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

სასტუმრო „ე. პ-ი“ სარგებლობს სს „ე.-პ. ჯ-ას“ მიერ მოწოდებული ელექტროენერჯით, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს ანაზღაურებდა ელექტრომრიცხველის ჩვენების შესაბამისად. ელექტრომომარაგების ტექნიკური პირობა დადგენილ იქნა სს „ე.-პ. ჯ-ას“ აჭარის ფილიალის შესაბამისი სამსახურის მიერ, მათ მიერვე განისაზღვრა ელექტრომრიცხველის სახეობა, რომელიც შემონმდა, დაილუქა და შემდეგ დამონტაჟდა ქ.ბათუმში არსებული №139 სატრანსფორმატორო გამანაწილებელ ჯიხურში, სადაც სასტუმროს თანამშრომელთა შეღწევის შესაძლებლობა გამორიცხული იყო. ელექტრომრიცხველის განთავსების ადგილი წარმოადგენდა სს „ე.-პ. ჯ-ას“ კუთვნილ ობიექტს და მის მუშაობაზე ზედამხედველობას ახორციელებდა ეს უკანასკნელი. ხშირად უხარისხო ელექტროენერჯის მოწოდების მიუხედავად, მოსარჩელე ვალდებულებას ყოველთვის ჯეროვნად ასრულებდა. 2010 წლის 5 თებერვალს, ე. კომპანიის წარმომადგენლებმა შეამოწმეს მოსარჩელის კუთვნილი მრიცხველი და შეადგინეს შემონმების აქტი, რომლის თანახმადაც აღრიცხვის მექანიზმი არ მუშაობდა და ვერ ახერხებდა მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვას. 2010 წლის 9 თებერვალს სს „ე.-პ. ჯ-ას“ აჭარის ფილიალის თანამშრომლებმა შეცვალეს ძველი მრიცხველი ახლით, შედგა შესაბამისი განაწესი და შემონმების აქტი, რომელშიც მიუთითა გაზომვების ჩატარების შესახებ და რომ მრიცხველის მიერთების სქემა იყო სწორი, მრიცხველი მუშაობდა ცდომილების გარეშე დასაშვებ ფარგლებში. მრიცხველი ადგილზე დაილუქა. სენმეკ-ის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის მოხმარებისა და მიწოდების წესების“ 6.1 მუხლის თანახმად, ელექტროენერჯის მომწოდებელი, (განაწილების ლიცენზიანტი) ვალდებული იყო, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო აღრიცხვის კვანძის მოწყობა მრიცხველის შექმნის ჩათვლით. მიუხედა-

ვად აღნიშნულსა, განაწილების ლიცენზიანტის მითითებით, როგორც პირველ, ასევე, მეორე მრიცხველის შემთხვევაშიც, მოსარჩელე იძულებული გახდა, შეეძინა მრიცხველი სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსაგან სამწლიანი გარანტიით. 2011 წლის 17 მაისს შედგა მოხმარებული ელ.ენერგიის დარიცხვის აქტი, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 5 თებერვალს შედგენილი აღრიცხვის შემონმების №001426 აქტის საფუძველზე, დარღვევის სახედ მოსარჩელე დაუდგინდა ელექტროენერგიის აღურიცხავობა და დაერიცხა ჯარიმა საშუალო დღე-ღამური ხარჯი დაანგარიშებული 90 კალენდარულ დღეზე, სულ 8331,60 ლარი, რაც უსაფუძვლო და არაკანონიერია, ლახავს მოსარჩელის უფლებებს.

მოპასუხე სს „ე.-პ. ჯ-ამ“ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, ელ.მომარაგების ტექნიკური პირობა გაიცა და აღრიცხვის კვანძი მოენყო 2009 წლის ივნისში. სადავო დარიცხვის აქტით კი დარიცხვა განხორციელებულია 2009 წლის 11 ნოემბრიდან 2010 წლის 9 თებერვლამდე, შესაბამისად, აშკარაა, რომ 2009 წლის ივნისში აღრიცხვის კვანძის გამართული მუშაობა ვერანაირად დაადასტურებს იმავე მდგომარეობის არსებობას ექვსი თვის შემდეგაც. დარიცხვის სადავო აქტი, ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით, არანაირ კავშირში არ არის აღრიცხვის კვანძის მომწყობის ვინაობასა ან მის ადგილმდებარეობასთან. 2010 წლის 5 თებერვლის აღრიცხვის შემონმების აქტით აღრიცხვის კვანძის მუშაობაში დარღვევის გამოვლენა თავისთავად გამორიცხავს ამ დრომდე მრიცხველის გამართულად მუშაობის შესაძლებლობას. დამონტაჟებიდან 2010 წლის თებერვლამდე შემონმების ჩაუტარებლობას შეუძლებელია რაიმე კავშირი ჰქონდეს დავის საგანთან, ამასთან, შემონმების ჩატარება მხარეთა ინიციატივაზე დამოკიდებული და რაიმე ფორმით ან პერიოდულობით სავალდებულო არ არის. აღრიცხვის კვანძის გამართული მუშაობა ვერ დადასტურდება მოსარჩელის მიერ მითითებული აბონენტის ბარათით. მოქმედი კანონმდებლობით სათანადო წესით დამონმებული შემონმების აქტით დადგენილი დარღვევის ფაქტი პირდაპირ წარმოადგენს ბოლო სამი თვის განმავლობაში აღრიცხვის დარღვეულად მიჩნევისა და შესაბამისი დარიცხვის განხორციელების საფუძველს. 2010 წლის 5 თებერვლის აღრიცხვის შემონმების აქტში დავის წინააღმდეგ მიითითებულია აღრიცხვის დარღვევა, რაც წარმოადგენს უფლებამოსილი პირის მიერ დამონმებული ხელსაწყოთი, სათანადო წესით ჩატარებული გაზომვის კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ასახვასა და აღრიცხვას, დარღვევის ფაქტის დადგენას, რაც დარიცხვის განხორციელების საკმარისი საფუძველია. მრიცხველის შემდგომი კვლევა საჭიროებს არ წარმოადგენდა და მის ჩატარება-არჩატარებას შეუძლებელია რაიმე კავშირი ჰქონდეს დავის საგანთან. 2010 წლის 9 თებერვალს აბონენტის აღრიცხვის კვანძი მონესრიგდა, დარიცხვაც სწორადაა განხორციელებული ამ დრომდე მოსარჩელის მიერ მითითებული ეს გარემოებაც მხოლოდ დარიცხვის სისწორესა და კანონიერებას ადასტურებს. სს „ე.-პ. ჯ-ა“ არავითარ დარღვევის ჩადენაში არ დებს ბრალს შპს „ე. პ-ს“. ე.კომპანია მოსარჩელეს არ ედავება ელ.ენერგიის უკანონო მოხმარებაში. მოსარჩელის მოსაზრება დარიცხვის აქტის ბათილად ცნობის ან დარიცხვის უკანონოდ მიჩნევის თაობაზე საფუძველს მოკლებულია. აღრიცხვის კვანძის შემონმების №001426 აქტით დადგენილია, რომ მრიცხველი არ მუშაობს და არ აღირიცხება მოსარჩელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია სრულად. განსახილველ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა აბონენტისაგან დამოუკიდებლად, მისი ბრალეული მოქმედების გარეშე, ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის მოშლას. გამომდინარე აქედან, №001839 აქტით განხორციელდა აღურიცხავი, მაგრამ რეალურად მოხმარებული ელ.ენერგიის დარიცხვა სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად. ე. კომპანიამ 2011 წლის 17 მაისს შედგენილი №001839 აქტით განახორციელა აღურიცხავად მოხმარებული ელ.ენერგიის დარიცხვა. დარიცხული თანხის ოდენობა სრულად შეესაბამება სემეკის №20 დადგენილებებით განსაზღვრულ დასარიცხი თანხის გამოანგარიშების წესს. არასწორია მოსარჩელის მოსაზრება ელ.ენერგიის დარიცხვის იმ პერიოდზე გავრცელების შესახებ, რომელზეც არ ყოფილა დადგენილი აღრიცხვის დარღვევის ფაქტი. დარღვევა გამოვლინდა 2010 წლის 5 თებერვალს და გამოსწორდა 2010 წლის 9 თებერვალს, შესაბამისად, დარიცხვა განხორციელდა სემეკის ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესით. დარღვევის ფაქტის გამოვლენა თავისთავად ნიშნავს, რომ ბოლო სამი თვის დარიცხვა (სპეციალური საგამონაკლისო პირობების არარსებობის შემთხვევაში) აღარ მიიჩნევა სწორად. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი, მის მიერვე შედგენილი ცნობა შემოსავლების შესახებ ვერ იქნება უტყუარი მტკიცებულება და იგი მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტების ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, ამასთან, შემოსავლების ოდენობით შეუძლებელია დადგინდეს ელ.ენერგიის მოხმარების პარამეტრები. დაუსაბუთებელია მოსარჩელის განმარტება, რომ, მიუხედავად ხშირ შემთხვევაში უხარისხო დენის მიწოდებისა, რაც გამოიხატება საყოფაცხოვრებო ტექნიკის პერიოდულ დაზიანებაში, შპს „ე. პ-ი“ ჯეროვნად ასრულებდა ვალდებულებას. მოსარჩელე ყურადღებებს ამახვილებს „ე.-პ. ჯ-ას“ მიმართ ვალდებულბათა ჯეროვნად შესრულებაზე, რაც სწორედ მის ვალდებულებას წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, მოპასუხემ ჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება – მიანოდა ელ.ენერგია, ხოლო მოსარჩელემ არ გადაიხადა მოხმარებული ელ.ენერგიის საფასური, შესაბამისად, შპს „ე. პ-მა“ დაარღვია ხელშეკრულების არსებითი პირობა – მიწოდებული პროდუქციის საფასურის გადახდა. უსაფუძვლოა მოსარჩელის მიერ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 394-ე, 395-ე, 401-ე და 514-ე მუხლების მითითება, რადგანაც აღნიშნული ნორმები სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. მოსარჩელე ვერ უთითებს კონკრეტულად, თუ რომელი მუხლი რა ფორმით იქნა დარღვეული კომპანიის მიერ და რომელ ნორმას ეწინა-

აღმდეგება სადავო დარიცხვის აქტი. მრიცხველის შექმნა სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსაგან სამწლიანი გარანტიით არ უკავშირდება დარიცხვის აქტის შედგენას, მით უფრო, მის გაუქმებას. მოპასუხებ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის შუამდგომლობა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების მისთვის დაკისრების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ე. პ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი შპს „ე. პ-ი“, რის გამოც მონინა აღმდეგე მხარის შუამდგომლობით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ე. პ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად იქნა დატოვებული მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება. ამავე სასამართლოს 2011 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შპს ე. პ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ე. პ-ის“ სარჩელი, სს „ე. პ-ი. ჯ-ას“ აჭარის ფილიალის მიერ 2011 წლის 17 მაისს შედგენილი მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის №001839 აქტის გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით შპს „ე. პ-მა“ გაასაჩივრა, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. სააპელაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული და სასამართლოს სხდომა დაინიშნა 2011 წლის 27 ოქტომბერს, 12:00 საათზე, რის თაობაზეც 2011 წლის 7 ოქტომბერს პირადად ეცნობა შპს ე. პ-ის დირექტორ ა. დ-ეს. აპელანტის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განმარტა, რომ ამ ნორმის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილი იყო, სხდომის თაობაზე ეცნობებინა შპს „ე. პ-ის“ დირექტორისათვის და ამ სახის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, როგორც მხარისათვის, ასევე მისი წარმომადგენლისათვისაც. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ჩათვალა, რომ პალატა უფლებამოსილი იყო, მხარე სასამართლოში დაებარებინა ტელეფონით, რაც დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი აქტით, აღნიშნულის გათვალისწინებით კი, სასამართლომ მხარის დაბარება კანონის მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია. სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამონეუული იყო საპატიო მიზეზით, რადგანაც საქმის მასალების თანახმად, საჩივრის ავტორი ბათუმის საქალაქო სასამართლოში სხდომას ესწრებოდა 2011 წლის 27 ოქტომბერს 14:41 საათიდან. სააპელაციო სასამართლოს სხდომა კი დაინიშნული იყო იმავე დღეს, 12:00 საათზე, ანუ უფრო ადრე, შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაინიშნული საქმის განხილვა ხელს ვერ შეუშლიდა საჩივრის ავტორს სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებაში. საინააღმდეგოს არსებობის შემთხვევაშიც კი, პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განხილვის დღეს საჩივრის ავტორის სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღება არ ჩათვალა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, რადგანაც ეს ფაქტი სააპელაციო სასამართლოსათვის ცნობილი არ ყოფილა. სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზეც, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დრო მხარისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2011 წლის 7 ოქტომბერს, საქმის განხილვამდე 20 დღით ადრე, საჩივრის ავტორს არ მიუთითებია ის საპატიო მიზეზი, რომლის გამოც ვერ შეძლო, სხდომაზე გამოუცხადებლობა საქმის განხილვამდე ეცნობებინა სასამართლოსათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმების წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ე. პ-მა“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით აპელანტს შპს „ე. პ-ის“ დირექტორი მონეუული იყო სხდომაზე სატელეფონო შეტყობინებით, მისთვის არ განუმარტავთ სასამართლოზე გამოუცხადებლობის შედეგები და ვალდებულება, გამოუცხადებლობის შემთხვევაში ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზი. ასევე, არ განუმარტავთ, რომ სატელეფონო შეტყობინებით, ფაქტობრივად უწყება ითვლებოდა ჩაბარებულად მისთვის, როგორც მხარისათვის და ასევე მისი წარმომადგენლისათვისაც. კასატორს სათანადო ცოდნა არ გააჩნდა, რომ გაეთავისებინა სატელეფონო შეტყობინებით სხდომაზე მონეუვის მნიშვნელობა და შედეგები. მან იცოდა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული იყო აპელანტის წარმომადგენლის მონაცემები და გააჩნდა ვარაუდის საფუძველი, რომ ანალოგიური შეტყობინება სასამართლოსაგან მისი წარმომადგენელიც მიიღებდა. შპს „ე. პ-ის“ წარმომადგენლისათვის სასამართლო სხდომის შესახებ ცნობილი გახდა სხდომის დღეს, დღის მეორე ნახევარში, როდესაც მარწმუნებელი დაინტერესდა სხდომის შედეგებით. როგორც კი, აღნიშნული ცნობილი გახდა კასატორის წარმომადგენლისთვის, ის დაუყოვნებლივ, ტელეფონით დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს, რომელმაც განუმარტა, რომ სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სატელეფონო შეტყობინება განხორციელებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, შესაბამისად, სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-

ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც სასამართლო შეტყობინება არ მიუღია კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი. სასამართლო სხდომის ჩატარების დღეს, ორი საათის განსხვავებით, შპს „ე. პ-ის“ წარმომადგენელი მონაწილეობდა სხვა სამოქალაქო საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რაც ფიზიკურად გამორიცხავდა ამ უკანასკნელის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებას. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მისი დაუსწრებლობა ყველა შემთხვევაში იყო საპატიო, მიუხედავად იმისა, მან ამის შესახებ დროულად შეატყობინა თუ არა სასამართლოს. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე წარმომადგენლის დაუსწრებლობის საფუძველი აბსოლუტურად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის დისპოზიციას და იგი გაზიარებული უნდა ყოფილიყო სასამართლოს მიერ. შესაძლებელია, გაჩნდეს მოსაზრება, რომ სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო იყო მხარის წარმომადგენლისათვის, მაგრამ არა მხარისათვის, შესაბამისად, ამ უკანასკნელს შეეძლო, მონაწილეობა მიეღო სხდომაში ან საკუთარი ინტერესები დაეცვა სხვა წარმომადგენლის მეშვეობით. ლოგიკური ანალიზი გამორიცხავს ამგვარი მსჯელობის შესაძლებლობას, რადგანაც სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების პირობებში, როდესაც იზღუდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა წრე (შესაძლებელია იყოს მხოლოდ ადვოკატები), არალოგიკურია მსჯელობა, რომ მარწმუნებელმა რომელსაც არ გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია, დაიცვას საკუთარი ინტერესები სააპელაციო სასამართლოში, გამოცხადებულიყო სხდომაზე და დამოუკიდებლად ეწარმოებინა საქმე, ასევე უსაფუძვლოა ვარაუდი, რომ მხარეს შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა მიენდო სხვა ადვოკატისათვის მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდებოდა მისი ინტერესების დამცველის სხდომაზე გამოუცხადებლობა სხვა საქმეში მონაწილეობის მიზეზით. მარწმუნებლის მიერ ადვოკატის შეცვლის, ლოგიკურად სააპელაციო საჩივრის წარდგენამდე უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს დაკარგავდა საჩივარში თავდაპირველი ადვოკატის მითითება და მისი იდენტიფიცირება. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლის შეცვლის შემთხვევაში, მხარე უპირველესად სასამართლოს აცნობებს, რათა ამით არ შეიღობოს მხარის უფლებები. ამდენად, სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი დაესკვნა, რომ სხდომაზე წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის მიუხედავად, უნდა გამოცხადებულიყო მხარე ან მისი სხვა წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, რომ სააპელაციო საჩივარში იდენტიფიცირებული წარმომადგენლის სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვისაც საპატიოა მანამ, ვიდრე სასამართლოსათვის ცნობილი არ გახდება მხარის ინტერესების დასაცავად საქმის წარმოებაში სხვა პირის ჩართვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელს საპატიო მიზეზით არ შეეძლო გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე, მხარეს უპრობლემოდ შეეძლო დასწრებოდა სხდომას, თუნდაც პროცესის გადადებაზე შუამდგომლობის დაყენებისათვის, რასაც აუცილებლად გააკეთებდა კიდევც მისთვის რომ განემარტათ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები. სააპელაციო სასამართლოს სხდომის დროის შესახებ შეტყობინება შპს „ე. პ-ის“ წარმომადგენელს პირადად არ მიუღია, მიუხედავად იმისა, როგორც ადვოკატის მონაცემების სააპელაციო საჩივარში მითითებისა. ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელისთვის უცნობი იყო სხდომის თარიღი, დასტურდება ბათუმის საქალაქო სასამართლოში 14:00 საათზე დანიშნულ სხვა საქმეზე ამ უკანასკნელის მონაწილეობითაც. ერთროულად ორივე პროცესში მონაწილეობა კი შეუძლებელი იყო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სხდომა დანიშნული იყო 12:00 საათზე. შპს „ე. პ-ის“ წარმომადგენლისათვის სხდომის შესახებ შეტყობის შემთხვევაში, ის უპირატესობას აღნიშნულ სხდომას მიანიჭებდა და გამოცხადებოდა პროცესზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ-ერთ სასამართლოს წინასწარ აცნობებდა საპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის ფაქტს, რაც გამორიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, თუმცა შესაბამისი ინფორმაციის არქონამ რწმუნებულს არ მისცა შესაძლებლობა, ესარგებლა აღნიშნული უფლებით, უფრო მეტიც, კასატორს შეეღობა უფლების სასამართლო წესით დაცვის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მარტის განჩინებით შპს „ე. პ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველების ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ე. პ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემული საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „ე. პ-ის“ სარჩელი სს „ე.-პ. ჯ-ას“ მიმართ მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით შპს „ე. პ-ის“ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო 2011 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა და საქმის განხილვა დადგინდა ზეპირი მოსმენით 2011 წლის 27 ოქტომბერს 12:00 საათზე.

სასამართლო სხდომის თაობაზე აპელანტ შპს „ე. პ-ის“ დირექტორ ა. დ-ესა და მონინალმდევე მხარის წარმომადგენელს ეცნობათ სატელეფონო შეტყობინებით 2011 წლის 7 ოქტომბერს.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რის გამოც, 2011 წლის 27 ოქტომბერს დაკმაყოფილდა მონინალმდევე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და არ დაკმაყოფილდა შპს „ე. პ-ის“ სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგი. დასახელებული ნორმა თავის შინაარსითა და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელ ნორმებში მითითების გამო, წარმოადგენს სპეციალურ ნორმას ზემდგომ სასამართლოში საქმის განხილვისას მხარის გამოუცხადებლობასთან მიმართებით და ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ნორმის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს სპეციალური დებულებების შესაბამისად. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინალმდევე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სასამართლო უპირობოდ ეტყვის უარს სააპელაციო საჩივრის ავტორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თუ სახეზეა შემდეგი წინაპირობები: ა) არ გამოცხადდა აპელანტი, ბ) არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები (არაა სახეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის წინაპირობები) და გ) გამოცხადებული აპელანტის მონინალმდევე მხარე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომის თაობაზე 2011 წლის 7 ოქტომბერს შპს „ე. პ-ის“ დირექტორ ა.დ-ეს ეცნობა სატელეფონო შეტყობინების გზით. ამავე აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ ა.დ-ეს ამომწურავად განემარტა სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგებიც, შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, რომ მას გამოცხადების აუცილებლობის თაობაზე არ ეცნობა და იურიდიული განათლების არქონამ განაპირობა მისი საწინააღმდეგოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. კასატორის ზემოაღნიშნული მოსაზრება არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნებიდან და არ აბათილებს საქმეში წარმოდგენილ სასამართლო მოხელის მიერ შედგენილ სატელეფონო შეტყობინების აქტის შინაარსს. პალატა ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის პრეტენზიას, რომ სასამართლო შეტყობინება ასევე უნდა ჩაბარებოდა წარმომადგენელს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მონშეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილია, რომ ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ა.დ-ის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მხარეს სადავოდ არ გაუხდია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა შპს „ე. პ-ის“, ხოლო უფლებამოსილი პირის შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, წარმომადგენლის ინფორმირებადაც მიიჩნევა, ისე რომ, სასამართლო არ არის ვალდებული, თითოეულს აცნობოს ცალ-ცალკე. რაც შეეხება სასამართლო სხდომის დროის შესახებ შპს „ე. პ-ის“ ინფორმირების წესს, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და თვლის, რომ სატელეფონო შეტყობინება კანონის მოთხოვნათა დაცვითაა განხორციელებული, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული შეტყობინების ფორმებიდან ერთ-ერთი სატელეფონო შეტყობინებაა, რომლის ნამდვილობასაც კანონმდებელი საქმეში შესაბამისი აქტის არსებობას უკავშირებს, ამასთანავე, ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით ან სასამართლო კურიერის მეშვეობით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ

არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე. განსახილველ შემთხვევაში, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესების დაცვის ფაქტს ადასტურებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შედგენილი, საქმეში წარმოდგენილი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა და განსაზღვრულია, რომ მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები. აღნიშნული წარმოდგენს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში სასამართლო არაა უფლებამოსილი, მხარის გამოუცხადებლობისას საქმე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დაამთავროს, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, ასევე გამოცხადების აუცილებლობის თაობაზე აპელანტს სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით ეცნობა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო პრეტენზიას საქმის ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად განხილვის თაობაზე. კასატორის ეს მოსაზრება არ გამოიმდინარეობს ზემოაღნიშნული ნორმის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაწესიდან.

დაუსაბუთებელია ასევე კასატორის მოსაზრება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე და ამ ნორმის დისპოზიციის სასამართლოში მიერ არასწორ განმარტებაზე, რადგანაც დასახელებული ნორმით იმპერატიულადაა დადგენილი, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე განიმარტა, არ არსებობდა ამავე კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ამკრძალავი წინაპირობები, რაც შეეხება ნორმით გათვალისწინებულ სხვა საპატიო მიზეზს, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმადაც ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელი ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ე. პი-“ საპატიო მიზეზად მიიჩნევს მისი წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღებას, რაც გამორიცხავდა ამავე დღის 12:00 საათზე მის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადების შესაძლებლობას, ხოლო საზოგადოების დირექტორი ვერ დაიცავდა საზოგადოების ინტერესებს იურიდიული განათლების არქონის გამო. კასატორის განმარტებით, მას არც სხვა ადვოკატის აყვანა შეეძლო და ამ მოსაზრებას ასაბუთებს იმით, რომ წარმომადგენლის შეცვლა დასაშვებია სააპელაციო საჩივრის წარდგენამდე, რადგანაც საჩივრის ფორმით გათვალისწინებული ადვოკატის მაიდენტიფიცირებელი გრაფა ზემოაღნიშნულს არ ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს მათი აბსოლუტური დაუსაბუთებლობის გამო, რადგანაც, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, ისე 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სავალდებულოდ ითვალისწინებს მხარის ობიექტურ შეუძლებლობას ამ მიზეზის თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარე ზემოაღნიშნულს ცალსახად არ დაადასტურებს, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლო არაა უფლებამოსილი გააუქმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება და ამას არც კასატორი ხდის სადავოდ, რომ სხვა სასამართლოში სხდომის თაობაზე მას საქმის განხილვამდე არ უცნობებია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის, იმ გარემოების გაზიარების შემთხვევაშიც კი, რომ სხვა სასამართლოში წარმომადგენლის გამოცხადება შესაძლოა საპატიო მიზეზად იქნას მიჩნეული, საკასაციო პალატა მაინც დაუსაბუთებლად თვლის ზემოაღნიშნულ არგუმენტს, რადგანაც სასამართლო სხდომის თაობაზე ამ სხდომამდე დაახლოებით 20 დღით ადრე შეტყობინების ჩაბარება არ შეიძლება იქნას მიჩნეული ობიექტურ გარემოებად, რაც მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდიდა სასამართლოს ინფორმირებას. ამასთანავე, სათანადო იურიდიული განათლების არქონა თუ მხარის მიერვე მითითებული სხვა წარმომადგენლის აყვანის შეუძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც ერთი დანაწესიდან არ გამოიმდინარეობს, უფრო მეტიც, ამავე კოდექსის XII თავი (წარმომადგენლობა სასამართლოში) რამდენიმე წარმომადგენლის აყვანასა თუ წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში უშუალოდ მხარის მიერ საქმის წარმოების ამკრძალავ დებულებას არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე (სსსკ მე-3 და მე-4 მუხლები) და სწორედ ამ პრინციპების ფარგლებში მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მისი საწინააღმდეგო გადანყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანით დაირღვა შპს „ე. პ-ის“ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას, რომლითაც ძალაში იქნა დატოვებული სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადანყვეტილება და თვლის, რომ სასამართლომ არსებითად სწორად განმარტა კანონი, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „ე. პ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**დ ა ა ღ გ ი ნ ა:**

1. შპს „ე. პ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ნოემბრის განჩინება ამავე პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის დაუსწრებელი გადანყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადანყვეტილება**

**ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ას-905-850-2012

19 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 4 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოპასუხე შპს „გ-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილების გამო მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით 22530 ლარის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, მოპასუხემ, როგორც ტენდერში გამარჯვებულმა საწარმომ, იკისრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოების შესრულების ვალდებულება, 2011 წლის 1 მაისამდე. მიუხედავად ამისა, მან სამუშაოების ნაწილი დაასრულა 11 მაისს, ხოლო იატაკის დაგების სამუშაოები – 5 აგვისტოს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს დაკისრებას შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.4%-ის ოდენობით ყოველ ადაგადაცილებულ დღეზე, რამაც 1 მაისიდან 11 მაისამდე შეადგინა 7562 ლარი, ხოლო 11 მაისიდან 5 აგვისტომდე – 14968 ლარი, ჯამში 22530 ლარი.

მოგვიანებით, იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი შეიტანა შპს „გ-მა“. შეგებებულმა მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის სასარგებ-



ლოდ დაკისრებოდა 22530 ლარის ოდენობით დავალიანებისა და 10820.49 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს, მთლიანობაში 33350.49 ლარის გადახდა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი მოპასუხე შპს „გ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხე შპს „გ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5507 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „გ-ის“ შეგებებული სარჩელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და მოწინააღმდეგე მხარისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯამში 22530 ლარის დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება შპს „გ-ისათვის“ 5507 ლარის დაკისრების ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „გ-ს“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო 22530 ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

2011 წლის 4 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მან მოპუხედ დაასახელა შპს „გ-ი“ და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების შესრულების ვადადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება 22530 ლარის ოდენობით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხე შპს „გ-ს“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარგებლოდ დაეკისრა 5507 ლარის გადახდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს – შპს „გ-ს“, მასვე შესაგებლის წარსადგენად განესაზღვრა სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 5 დღის ვადა.

დასახელებული გზავნილი 2012 წლის 25 თებერვალს პირადად ჩაბარდა შპს „გ-ის“ დირექტორ თ. შ-ს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილი წესით ჩაბარება და ამ უკანასკნელის მხრიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გზავნილის წარმოუდგენლობა, განაპირობებდა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული დასკვნის საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იურიდიულად გამართლებული იყო.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შპს „გ-მა“ წარადგინა საჩივარი მისი გაუქმებისა და საქმის არსებითად განხილვის მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მაისის განჩინებით შპს „გ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამატებითი გარემოებები, სახეზე იყო ორივე წინაპირობა, რომელთა არსებობასაც კანონი უკავშირებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას: 1. მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე პასუხი (შესაგებელი) დადგენილ ვადაში არ წარადგინა; 2. სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდნენ სარჩელის მოთხოვნას. ამასთან, საჩივრის ავტორს არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოში შესაგებლის საპატიო მიზეზით წარუდგენლობის დასადასტურებლად.

დასახელებული განჩინება შპს „გ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საკასაციო საჩივრის საფუძველები:

აპელანტმა, მართალია, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ წარადგინა შესაგებელი, მაგრამ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სხვა საფუძველი, კერძოდ, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, სარჩელის მოთხოვნა უნდა იყოს იურიდიულად გამართლებული. სასამართლომ, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობით დაასაბუთა, რომ სარჩელის მოთხოვნა იურიდიულად გამართლებულია, თუმცა არ განმარტა, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული.

კასატორის მოსაზრებით, სარჩელში მითითებული გარემოებები არ ამართლებდა სარჩელის მოთხოვნას, რასაც ცხადყოფს მოცემულ საქმეზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 6 იანვრის გა-

დანყვეტილება. ამ გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „გ-ს“ დაეკისრა 5507 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენი თანხის მოპასუხისათვის დაკისრებაზე მოსარჩელეს სამართლიანად ეთქვა უარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლიდან გამომდინარე, ასეთ ვითარებაში სასამართლოს უნდა დაენიშნა სხდომა და ამის შესახებ ეცნობებინა მხარეებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადანყვეტილება და განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუ სპეციალური წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი, სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არ ადგენს საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს. სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილ საქმის წარმოების წესებში არ არსებობს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დამდგარ სამართლებრივ შედეგებს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით კანონმდებელი ადგენს დანაწესს, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, თუმცა ეს სხვა ურთიერთობაა და ამ ნორმას ვერ გავავრცელებთ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაზე. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შესაგებლის წარუდგენლობისას ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარდგენის სავალდებულობას ადგენს და მისი შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი. ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადანყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადანყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს (სააპელაციო მოპასუხეს) კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სააპელაციო საჩივრის ასლი; ბ. იგი გაფრთხილებული უნდა იყოს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით; გ. სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას; დ. არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო არაა ის გარემოება, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „გ-ს“, კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა სააპელაციო საჩივრის ასლი, ამასთან, იგი გაფრთხილებული იქნა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. კასატორი თავადვე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დანიშნულ ვადაში შესაგებელი არ შეუტანია. ამასთან, კასატორი დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს აპელანტის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს შემდეგს: შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, ისევე როგორც სასამართლო სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ სააპელაციო მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებით, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. სააპელაციო სასამართლო ამომწებს გადანყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმფციასაც ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუს-

წრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გაამართლებენ მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. დასახელებული საპროცესო ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მიიჩნევა დამტკიცებულად და, თუ ისინი იურიდიულად ასაბუთებენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო.

განსახილველ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, კერძოდ, აპელანტმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იატაკის დაგების სამუშაოს ვადაგადაცილების გამო მოპასუხისათვის (შპს „გ-ისათვის“) პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულებით შპს „გ-მა“ იკისრა ვალდებულება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლაში შეასრულებდა პირველი ეტაპის სამუშაოებს 2011 წლის 1 მაისამდე. მიუხედავად ამისა, სამუშაოების ნაწილი დასრულდა დაგვიანებით – 2011 წლის 11 მაისს, ხოლო იატაკის დაგების სამუშაოები – 5 აგვისტოს, მაშინ როდესაც, შეთანხმების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 1 მაისს. აქედან გამომდინარე, შპს „გ-ს“ უნდა დაკისრებოდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.4%-ის ოდენობით, რამაც 1 მაისიდან 11 მაისამდე შეადგინა 7562 ლარი (189045X0.4%X10), ხოლო, 11 მაისიდან 5 აგვისტომდე – 14968 ლარი (43511.56X0.4%X86), მთლიანობაში 22530 ლარი. რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს დააკისრა მხოლოდ 5507 ლარის გადახდა, ხოლო, იატაკის დაგების დაგვიანების გამო პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქვა იმ საფუძველით, რომ მოპასუხის მხრიდან ვადის გადაცილებას ადგილი არ ჰქონია. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ აღნიშნული დასკვნა არასწორია, ვინაიდან იატაკის დაგების ვადის გადაწევის თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმება არ მომხდარა.

სააპელაციო საჩივარში მითითებული ზემოხსენებული გარემოებების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხე შპს „გ-ს“, მაგრამ, ვინაიდან მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო შესაგებელი არ წარადგინა, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) სააპელაციო საჩივარში მითითებული ზემოხსენებული გარემოებები, რომლებიც, სამოქალაქო კოდექსის 317.1, 361-ე, 404-ე, 417-ე-418-ე, 629-ე მუხლების შესაბამისად, იურიდიულად ამართლებს აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნას ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა ყველა წინაპირობა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის მონინალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ იგი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არსებითად სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ამიტომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

#### დადასტურება:

1. შპს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2012 წლის 1 მაისის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების შემომდგომის ფარგლებში

გაღიხივითილია  
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1158-1178-2011

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემაღგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომსხენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალაიძე

დავის საგანი: უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „ს. რ-მ“ მოპასუხე სს „თ-ის“ მიმართ და მოითხოვა მის მიერ უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის – 230099.44 ლარისა და პროცენტის – 179017.36 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 73742.66 ლარის გადახდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა 900 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-მ“, რომელმაც მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება.

მოგვიანებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს „თ-მა“, მან მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რა ნაწილშიც შპს „ს. რ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს „თ-ის“ სააპელაციო საჩივარი, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მეორე პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 55612.5 ლარისა და პროცენტის სახით 13655.44 ლარის ანაზღაურება. გარდა ამისა, შპს „ს. რ-ს“ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 178.96 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-მ“, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა ნაწილობრივ (1999-2002 წლებში შპს „ს. რ-ის“ მიერ სს „თ-ისათვის“ გადახდილი ელექტროენერგიის ტრანზიტის ღირებულებისა და მასზე დარიცხული პროცენტის ანაზღაურების ნაწილში) და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება:

სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა:

ა. 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული თანხის 174486.9 ლარის დაბრუნება და პროცენტის 41711.08 ლარის ანაზღაურება;

ბ. 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის იანვრამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული თანხის 55612.5 ლარის დაბრუნება.

ამავე გადაწყვეტილებით სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 7000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ შპს „ს. რ-ის“ საკუთრებაში არსებული №15 სატრანსფორმატორო ქვესადგურის კვება ხორციელდებოდა „დიდუბე-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურულ გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან 6 კვ. გადამცემი ხაზის მეშვეობით;

სადავო არ გამხდარა ასევე, რომ ტრანზიტის თანხას მოსარჩელე შპს „ს. რ-ზა“ 2005 წლის 1 აგვისტომდე უხდიდა სს „თ-ს“, ვინაიდან თვლიდა, რომ „დ-220“ და იქ არსებული 6 კვ. №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი წარმოადგენდა სს „თ-ის“ საკუთრებას. სს „თ-ისათვის“ ტრანზიტის თანხის გადახდის ფაქტი დადგენილია საქმეში წარმოდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორიით, შედარების აქტით, კორექტირებული ანგარიშ-ფაქტურებით;

შპს „ს. რ.-ისათვის“ ცნობილი გახდა, რომ „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურულ გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი წარმოადგენდა შპს „ს. ს. ე-ის“ საკუთრებას. სს „თ-ს“ სადავოდ არ გაუხდია „დ.-220-ის“ და იქ არსებული 6 კვ. №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედის შპს „ს. ს. ე-ისადმი“ კუთვნილების ფაქტი. შპს „ს. რ.-მ“ აღნიშნული ფაქტის შესახებ შეიჭყო 2004 წლის 21 ივლისს, შპს „ს. ს. ე-ის“ 2004 წლის 16 ივლისის №07/03-1685 წერილიდან;

სს „თ-ის“ გენერალურმა დირექტორმა 2004 წლის 15 დეკემბრის №1-05/1788 წერილით აღიარა დარიცხვის უსწორობა და შპს „ს. რ.-ს“ თანხების კორექტირების მიზნით შესთავაზა ერთობლივი მუშაობა;

2006 წლის მარტში დაკორექტირდა 2002-2004 წლებში დარიცხული 10251280 კვტ.სთ. ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასური, თანხით 318574.07 ლარი. აღნიშნული გარემოება დადგენილია 2006 წლის 6 მარტის შედარებისა და ურთიერთვალდებულებათა გაქვითვის აქტით და კორექტირებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით;

2006 წლის 30 იანვრის წერილის თანახმად, მოპასუხე სს „თ-ის“ კომერციულმა დირექტორმა დაადასტურა თანხმობა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ. ამავე წერილით, სს „თ-ის“ კომერციულმა დირექტორმა დააფიქსირა თელასის პოზიცია, რომ 2002 წლის 1 იანვრამდე უსაფუძვლოდ გადაცემული თანხის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმულია;

მოცემულ შემთხვევაში, სადავოს წარმოადგენს, თუ რა პერიოდში ხორციელდებოდა „დ.-220-ის“ 6 კვ. №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან 6 კვ. გადამცემი ხაზის მეშვეობით შპს „ს. რ.-ის“ საკუთრებაში არსებული №15 სატრანსფორმატორო ქვესადგურის კვება და აღნიშნულის გატარებისათვის (ტრანზიტისათვის) რა ოდენობის თანხა იქნა გადახდილი სს „თ-ისათვის“;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა 1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე დასაბრუნებელი თანხების ოდენობა. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ იყო წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაასტურებდა ამ პერიოდში „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან მოხმარებული ელექტროენერჯის ტრანზიტზე რა თანხა გადაიხადა შპს „ს. რ.-მ“.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადაგენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებების შესაბამისად, გამოკვლეული უნდა ყოფილიყო საქმეში წარდგენილი კორექსონდენციები და მათ საფუძველზე დადგენილიყო: დასტურდება თუ არა შპს „ს. რ.-ის“ მიერ 1999 წლიდან სს „თ-ისათვის“ ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის გადახდა და მხარეთა შორის ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობა. ამასთან, უნდა შეფასებულიყო, წერილებში გამოთქმული მოსაზრება 2002 წლამდე გადახდილი ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, წარმოადგენდა თუ არა სადავო პერიოდში სადავო ურთიერთობის დადასტურებას.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, საქმეში წარდგენილი იყო შპს „ს. რ.-ის“ 2006 წლის 19 სექტემბრის №დფ/6870 მიხართვა სს „თ-ისადმი“, სადაც მოსარჩელე მოითხოვდა 1999 წლიდან 2002 წლამდე სადავო ტრანზიტის სახით დარიცხული თანხის დაანგარიშებასა და დაბრუნებას, ამავე საკითხს ეხებოდა შპს „ს. რ.-ის“ ელექტრომომარაგების დეპარტამენტის უფროს გ. ფ-ის სამსახურებრივი ბარათიც. საქმეში ასევე მოიპოვებოდა სს „თ-ის“ კომერციული დირექტორის, ა. ი-ის 2006 წლის 30 იანვრის №1-05/2436 წერილი, რომლითაც მოპასუხე მზადყოფნას გამოთქვამდა, შეეთანხმებინა მოსარჩელესთან 2002-2004 წლებში გადახდილი თანხის დაბრუნების პირობები, ხოლო მანამდე გადახდილ თანხასთან დაკავშირებით შპს „ს. რ.-ის“ მოთხოვნას ხანდაზმულად მიიჩნევდა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სს „თ-ის“ კომერციული დირექტორის ა. ი-ის 2006 წლის 30 იანვრის №1-05/2436 წერილში გამოთქმული მოსაზრება, 2002 წლამდე გადახდილი ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, მიჩნეული უნდა ყოფილიყო სადავო პერიოდში მხარეთა შორის სადავო ურთიერთობის არსებობის დადასტურებად.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორის განმარტება 2002 წლამდე გადახდილი ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მიჩნეული უნდა ყოფილიყო სადავო პერიოდში მხარეთა შორის სადავო ურთიერთობის არსებობის დადასტურებად, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ 2000 წლის ნოემბრიდან ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის მოპასუხისათვის გადახდის ფაქტი უდავოდ დაადასტურა, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო გარემოების – 1999 წლიდან შპს „ს. რ.-ის“ მიერ სს „თ-ისათვის“ ელექტროენერჯის ტრანზიტის ღირებულების გადახდა-არგადახდის მტკიცების ტვირთი სს „თ-ს“ უნდა დაკისრებოდა.

რაც შეეხებოდა საქმეში წარდგენილ შპს „ს. რ.-ის“ ტექნიკური დირექტორის თ. დ-ის 2004 წლის 26 აგვისტოს №ნგ-2572 წერილს სს „თ-ის“ დირექტორისადმი, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა შპს „ს. რ.-ის“ მითითება იმის შესახებ, რომ №15 ქვესადგურის კვების სანყის თარიღად მასში მითითებული 2000 წლის 26 ნოემბერი, იყო ტექნიკური შეცდომა, რადგან წერილზე თანდართული დანართები, კერძოდ, ენერგოგასაღებაში გადაცემის №360 აქტი და სტრატეგიული პროექტების განყოფილების მენეჯერ ჯ. ბ-ის 2000 წლის წერილი – ადასტურებდა ქვესადგურ დიდუბის 6 კვ. ეჩ-5-ის ახალი აღრიცხვის სისტემის ენერგოგასაღებაში აბონენტად ჩართვისა და მასზე ელ. ელ. ენერჯის აღრიცხვის მოწესრიგების სამუშაოების ჩატარების ფაქტს 1999 წლის 26 ნოემბრიდან და არა 2000 წლის 26 ნოემბრიდან.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუ-

ცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, რომლითაც მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასაბამუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რაიმე მტკიცებულება, რაც დადასტურებდა ფაქტობრივ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ 1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე შპს „ს. რ-ის“ მიერ სს „თ-ისათვის“ ელექტროენერჯის ტრანზიტის ღირებულების გადახდა არ განხორცილებულა, სს „თ-ს“ არ წარუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში მხარეთა შორის არსებობდა სადავო ურთიერთობა და შპს „ს. რ-ის“ წერილებში, აბონენტის ახალი აღრიცხვის სისტემის ენერგოგასაღებაში გადაცემის აქტში დაფიქსირებული თარიღი – 1999 წლის 26 ნოემბერი, მიჩნეული უნდა ყოფილიყო ამ ურთიერთობის დაწყების მომენტად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან, დადგინდა სადავო პერიოდში, კერძოდ, 1999 წლის 26 ნოემბრიდან მოსარჩელის მიერ თანხის უსაფუძვლოდ გადახდის ფაქტი, სხვა მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში მართლზომიერად უნდა მიჩნეულიყო შპს „ს. რ-ის“ მიერ შეთავაზებული საშუალო თვიური ხარჯის გამოყვანის მეთოდი, რაც გულისხმობდა მიწოდებული კილოვატსაათების შესაბამისად მიღებული საშუალო მაჩვენებლის თვეების რაოდენობაზე (სადავო პერიოდში) გადაანგარიშებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2001 წლის ივლისიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ტრანზიტზე შპს „ს. რ-ის“ მიერ სს „თ-ისათვის“ გადახდილი თანხის ოდენობა შეადგენდა 55612.5 ლარს, რაც დასტურდებოდა საქმეში წარდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორიით და აღნიშნული, მოცემულ ეტაპზე, არც მხარეთა მიერ არ იყო გამხდარი სადავოდ; შპს „ს. რ-ის“ დაზუსტებული საარჩილით საშუალო თვიური ხარჯის გამოყვანის მეთოდის გამოყენებით ითხოვდა სს „თ-ისათვის“ 230099.44 ლარის დაკისრებას, ვინაიდან ამ პერიოდში არ არსებობდა მომხმარებელთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ერთიანი კომპიუტერული ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც დადგინდებოდა საპრეტენზიო თანხების ოდენობა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგინილად მიიჩნია, რომ შპს „ს. რ-ის“ მოპასუხე სს „თ-ს“ ვალდებულების გარეშე გადაუხადა 55612.5 ლარი 2001 წლის 30 ივნისიდან 2001 წლის 31 დეკემბრის პერიოდში; პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა სრულად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 29 აპრილის განჩინებაში და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინების კანონიერებაზე იმსჯელა შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, სს „თ-ისათვის“ 55612.5 ლარის ოდენობით თანხის დაკისრება (რაც მოიცავს 2001 წლის 30 ივნისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს) სადავო ვერ გახდებოდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან, დადგინდა 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის 30 ივნისამდე პერიოდში მხარეთა შორის სადავო ურთიერთობის არსებობა, სს „თ-ს“ ასევე უნდა დაკისრებოდა ამ პერიოდში გადახდილი თანხის ანაზღაურებაც, რაც 174486.9 ლარს შეადგენდა (სარჩილით მოთხოვნილ თანხას – 230099.44 ლარს უნდა გამოკლებოდა 55612.5 ლარი).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ს. რ-ის“ მოპასუხე სს „თ-ს“ ვალდებულების გარეშე გადაუხადა 230099.44 ლარი, რაც მოიცავდა 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის 30 ივნისამდე პერიოდში 174486.9 ლარს და 2001 წლის 30 ნოემბრიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში 55612.5 ლარს.

საქმეზე დადგინდა, რომ სს „თ-ს“ უსაფუძვლოდ მიღებული თანხა დაბრუნებული არ ჰქონდა.

სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლოის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სს „თ-ის“ მიერ უსაფუძვლოდ მიღებულ თანხაზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობისა და შესაბამისად, მისი ათვლის თარიღად, მიჩნეულ იქნა 2004 წლის 15 დეკემბერი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაში გაიზიარა მსჯელობა უსაფუძვლოდ მიღებულ თანხაზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის თარიღთან და გადახდის პერიოდთან დაკავშირებით (2004 წლის 15 დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე) და გადაწყვეტილება გააუქმა მხოლოდ 2004 წლის პროცენტის სახით 4782,7 ლარის დაკისრების ნაწილში იმ დასაბამებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ პროცენტის დარიცხვა მთელ 2004 წელზე გაავრცელა სრულად, ნაცვლად 15 დღისა. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სს „თ-ის“

შეგებებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში, კერძოდ, პროცენტის მხოლოდ 13655.44 ლარის ოდენობით დაკისრების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში. საქმეში წარმოდგენილია ეროვნული ბანკის ბანკოთმორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების შესახებ ინფორმაცია, საიდანაც ირკვევა, რომ:

- 2004 წლისათვის საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 12.33%-ს შეადგენს, რაც დღეში 0.037%-ის ტოლია;

- 2005 წლისათვის საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 7.7%-ს-ს;

- 2006 წლისათვის საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 9.4%-ს შეადგენს;

- 2007 წლისათვის საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 6.25%-ს შეადგენს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, რამდენადაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაშია შესული 55612.5 ლარზე დარიცხული პროცენტის 13655.44 ლარის დაკისრების ნაწილში, პროცენტი გამონგარიშებული უნდა ყოფილიყო 1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდში უსაფუძვლოდ გადახდილი 174486.9 ლარიდან. ამდენად, მოპასუხეს 2004 წლის 15 დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე პერიოდში უნდა დაკისრებოდა 174486.9 ლარზე დარიცხული პროცენტის სახით 41711.08 ლარის გადახდა (2004 წელს - 968.4 ლარი, 2005 წელს - 13435.49 ლარი, 2006 წელს - 16401.76 ლარი, 2007 წელს - 10905.43 ლარი).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა 1999-2002 წლებში შპს „ს. რ-ის“ მიერ სს „თ-ისათვის“ გადახდილი ელექტროენერჯის ტრანზიტის ღირებულებისა და მასზე დარიცხული პროცენტის ანაზღაურების ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა არა მხოლოდ 1999 წლიდან 2001 წლის 30 ივნისამდე პერიოდი, არამედ, ასევე 2001 წლის 30 ივნისიდან 2002 წლის იანვრამდე პერიოდში დასაბრუნებელი თანხების ოდენობის შესახებ სარჩელის საფუძვლიანობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარის ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ უნდა ყოფილიყო ახალი გადაწყვეტილება და სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისრებოდა: ა. 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული თანხის 174486.9 ლარის დაბრუნება და პროცენტის 41711.08 ლარის ანაზღაურება; ბ. 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის იანვრამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული თანხის 55612.5 ლარის დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „თ-მა“. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდება შპს „ს. რ-ის“ მოთხოვნა 1999 წლის ნოემბრიდან 2001 წლის 30 ივნისამდე პერიოდში ტრანზიტის საფასურის დაბრუნების და პროცენტის დაკისრების თაობაზე.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად კასატორი მიუთითებს შემდეგ არგუმენტებზე:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „ს. რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ, კერძოდ, სს „თ-ს“ დაევალა, რომ აენაზღაურებინა 2001 წლის 30 ივნისიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე №8 უჯრედზე ტრანზიტის სახით მიღებული თანხა, ასევე პროცენტი. სს „თ-ს“ გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში არ გაუსაჩივრებია. ბუნებრივია, რომ გადაწყვეტილების ეს ნაწილი არც შპს „ს. რ-ს“ გაუხდია სადავოდ. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული. უფრო მეტიც, შპს „ს. რ-მ“ თავის საკასაციო საჩივარში დააკონკრეტა, რომ იგი დავობდა მხოლოდ 1999 წლის ივლისიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდზე. ასეთ ვითარებაში, კანონსაწინააღმდეგოა სააპელაციო სასამართლოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილის შეცვლა და საკუთარი გადაწყვეტილების ამ ნაწილზე გავრცელება. შესაბამისად, დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან სასამართლომ შპს „ს. რ-ს“ მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა;

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე ისე, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მის მიერ გადახდილი თანხის ოდენობა. უფრო მეტიც, ვინაიდან თავად მოსარჩელე ცალსახად აღიარებდა, რომ მას არ გააჩნდა 1999-2001 წლებში დიდებუ-220-ის 6 კვ-ის №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან ტრანზიტის სახით გატარებული ელექტროენერჯის ოდენობა, იგი სთავაზობდა სასამართლოს, რომ სემეკის 2001 წლის №15 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მსგავსად, გამოეყენებინა 2001 წლის შემდგომ მოხმარებული ელექტროენერჯის საშუალო მაჩვენებელი და გავრცელებინა 1999-2000 წლებზე. მოსარჩელეს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ აღნიშნული დადგენილება მთლიანად შეეხება ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აქტზე დარიცხვის მეთოდებს. უსაფუძვლო გამდიდრების გამო თანხის მოთხოვნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსარჩელე ზუსტად უნდა ამტკიცებდეს, თუ რა თანხა მიიღო მოწინააღმდეგე მხარემ მისგან უსაფუძვლოდ. აქვე, ნიშანდობლივია იმაზე მითითებაც, რომ დადგენილება, რომელზეც შპს „ს. რ-ა“ მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში, ანუ სემეკის 2001 წლის №15 დადგენილება თავად სემეკის მიერ 2008 წლიდან ძალადაკარგულად არის გამოცხადებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის გამოთვლის სასამართლოსეული მეთოდი მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. კონკრეტულ შემთხვევაში, უმთავრესია ის, რომ სასა-

მართლმ უგულებელყო ძირითადი პრინციპი, მან „თ-ს“ მოსთხოვა იმ თანხის „უკან დაბრუნება“, რომლის „თ-ისათვის“ გადახდის მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება;

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ უზენაესი სასამართლოს მითითებების შესაბამისად გამოეკვლია საქმეში არსებული კორესპონდენციები და მათ საფუძველზე დაედგინა, დასტურდებოდა თუ არა შპს „ს. რ-ის“ მიერ 1999 წლიდან „თ-ისათვის“ ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის გადახდა, აგრეთვე, მხარეთა შორის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობა. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია შპს „ს. რ-ის“ 2004 წლის 26 აგვისტოს №გ02572 წერილზე და აღნიშნა, რომ ამ წერილში №15 ქვესადგურის კვების საწყის თარიღად 2006 წლის 26 ნოემბრის მითითება არის ტექნიკური შეცდომა (უნდა ყოფილიყო 1999 წლის 26 ნოემბერი). ამ შემთხვევაში, საგულისხმოა ის, რომ აღნიშნული „ტექნიკური შეცდომა“ მეორდება შპს „ს. რ-ის“ სხვადასხვა დროის კორესპონდენციაში, რომელიც საქმეშიც არის წარმოდგენილი. მაგალითად, შპს „ს. რ-ის“ 2005 წლის 19 მაისის №ტდ0893 და 2005 წლის 23 თებერვლის №ტდ-307 წერილებში, რომლებიც ტექნიკური დირექტორის მიერაა ხელმოწერილი, აგრეთვე, შპს „ს. რ-ის“ 2005 წლის 22 დეკემბრის №გ-780 წერილში, რომელსაც ხელს აწერს გენერალური დირექტორი. ანუ, ფაქტობრივად, საქმეში არსებობს ოთხი სხვადასხვა დროს დაწერილი წერილი, სადაც თავად მოსარჩელე შპს „ს. რ-ა“ სატრანზიტო ურთიერთობის დაწყების თარიღად 2000 წლის ნოემბერს ასახელებს (რომ არაფერი ვთქვათ ამ წერილებზე თანდართულ ე.წ. შეთანხმების პროექტებზე, რომლებზეც სატრანზიტო ურთიერთობის დაწყების თარიღად ასევე 2000 წელია ნახსენები);

სასამართლო ცდილობს გამართლება მოუძებნოს მოსარჩელის მოთხოვნას იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა უკან მიიღოს 1999 წლიდან თითქოსდა ტრანზიტისათვის გადახდილი თანხა. ამ მიზნის მისაღწევად კი იშველიებს „აბონენტის ახალი აღრიცხვის სისტემის ენერგოგასაღებაში გადაცემის №360 აქტს“. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, ამ აქტის ასლის ორიგინალი არ არსებობს, სასამართლო უტყუარად დადგენილად მიიჩნევს, რომ აქტში დაფიქსირებული თარიღი – 1999 წლის 26 ნოემბერი, მიჩნეულ უნდა იქნეს „თ-სა“ და „რ-ს“ შორის ქვესადგურ დ.-220-ის 6 კვ-ის №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის №8 უჯრედზე სატრანზიტო ურთიერთობის დაწყების თარიღად. კასატორი ეჭვქვეშ აყენებს ხსენებული აქტის ავთენტურობას. ისიც კი გაუგებარია, თუ რომელი ორგანიზაციის მიერ არის ეს აქტი შედგენილი, რადგან მას არც „თ-ის“ და არც „რ-ის“ ლოგო ან ბეჭედი არა აქვს;

სს „თ-ის“ 2006 წლის 30 იანვრის წერილში ხანდაზმულობის მოტივით თანხის გადახდაზე უარის თქმა, კასატორის მოსაზრებით, არ ნიშნავს იმას, რომ „თ-ი“ აღიარებდა ტრანზიტის საფასურის მიღებას 2000 წლის ნოემბრიდან. ხანდაზმულობის გამო გადახდაზე უარის თქმა ნიშნავდა, რომ „თ-ი“ უარს აცხადებდა იმ თანხის ანაზღაურებაზე, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის იანვრამდე. სს „თ-ს“ პერიოდი არ დაუკონკრეტებია, ამიტომ შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ მან 2000 წლის ნოემბრიდან ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის მიღების ფაქტი აღიარა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ს. რ-ის“ საკუთრებაში არსებული №15 სატრანსფორმატორო ქვესადგური ელექტროენერგიით მარაგდებოდა „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურულ გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან 6 კვ. გადამცემი ხაზის მეშვეობით;

ელექტროენერგიის ტრანზიტის თანხას შპს „ს. რ-ა“ 2005 წლის 1 აგვისტომდე უხდიდა სს „თ-ს“, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ „დ.-220“ და იქ არსებული 6 კილოვატიანი №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი წარმოადგენდა სს „თ-ის“ საკუთრებას. სს „თ-ისათვის“ ტრანზიტის თანხის გადახდის ფაქტი დადგენილია საქმეში წარმოდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორიით, შედარების აქტით, კორექტირებული ანგარიშფაქტურებით;

შპს „ს. რ-ისათვის“ ცნობილი გახდა, რომ „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურულ გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი წარმოადგენდა არა სს „თ-ის“, არამედ შპს „ს. ს. ე-ის“ საკუთრებას. სს „თ-ს“ სადავოდ არ გაუხდია „დ.-220-ის“ და იქ არსებული 6-კილოვატიანი №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედის შპს „ს. ს. ე-ისადმი“ კუთვნილების ფაქტი. შპს „ს. რ-მ“ აღნიშნული ფაქტის შესახებ შეიტყო 2004 წლის 21 ივლისს, შპს „ს. ს. ე-ის“ 2004 წლის 16 ივლისის №07/03-1685 წერილიდან;

სს „თ-ის“ გენერალურმა დირექტორმა 2004 წლის 15 დეკემბრის №1-05/1788 წერილით აღიარა დარიცხვის უსწორობა და შპს „ს. რ-ს“ თანხის კორექტირების მიზნით შესთავაზა ერთობლივი მუშაობა;

2006 წლის მარტში შესწორდა 2002-2004 წლებში დარიცხული 10251280 კვტ.სთ. ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასური და განისაზღვრა 318574.07 ლარი. აღნიშნული გარემოება დადგენილია 2006 წლის 6 მარტის შედარებისა და ურთიერთვალდებულებათა გაქვითვის აქტით და კორექტირებული საგადასახადო ანგარიშფაქტურებით;

2006 წლის 30 იანვრის წერილის თანახმად, მოპასუხე სს „თ-ის“ კომერციულმა დირექტორმა დაადასტურა თანხმობა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ. ამავე წერილით, სს „თ-ის“ კომერციულმა დირექტორმა დააფიქსირა თელასის პოზიცია, რომ 2002 წლის 1 იანვრამდე უსაფუძვლოდ გადაცემული თანხის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმულია;



საქმეში წარდგენილი იყო შპს „ს. რ-ის“ 2006 წლის 19 სექტემბრის №დფ/6870 მიმართვა სს „თ-ისადმი“, სადაც მოსარჩელე მოითხოვდა 1999 წლიდან 2002 წლამდე სადავო ტრანზიტის სახით დარიცხული თანხის დაანგარიშებასა და დაბრუნებას, ამავე საკითხს ეხებოდა შპს „ს. რ-ის“ ელექტრომომარაგების დეპარტამენტის უფროს გ.ფ-ის სამსახურებრივი ბარათიც. საქმეში ასევე მოიპოვებოდა სს „თ-ის“ კომერციული დირექტორ ა. ი-ის 2006 წლის 30 იანვრის №1-05/2436 წერილი, რომლითაც მოპასუხე მზადყოფნას გამოთქვამდა, შეეთანხმებინა მოსარჩელესთან 2002-2004 წლებში გადახდილი თანხის დაბრუნების პირობები, ხოლო მანამდე გადახდილ თანხასთან დაკავშირებით შპს „ს. რ-ის“ მოთხოვნას ხანდაზმულად მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სს „თ-ის“ კომერციული დირექტორის ა. ი-ის 2006 წლის 30 იანვრის №1-05/2436 წერილში გამოთქმული მოსაზრება, 2002 წლამდე გადახდილი ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, უნდა მიჩნეულიყო სადავო პერიოდში მხარეთა შორის სადავო ურთიერთობის არსებობის დადასტურებად; შპს „ს. რ-ის“ წერილებში, აბონენტის ახალი აღრიცხვის სისტემის ენერგოგასაღებაში გადაცემის აქტში დაფიქსირებული თარიღი – 1999 წლის 26 ნოემბერი, უნდა მიჩნეულიყო ამ სადავო ურთიერთობის დაწყების მომენტად;

1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდში შპს „ს. რ-მ“ სს „თ-ს“ გადაუხადა ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასური 174486.9 ლარი;

სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ისათვის“ არ დაუბრუნებია ამ უკანასკნელისაგან მიღებული თანხა; 174486.9 ლარზე დარიცხული პროცენტი 2004 წლის 15 დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე პერიოდში შეადგენდა 41711.08 ლარს (2004 წელს – 968.4 ლარს, 2005 წელს – 13435.49 ლარს, 2006 წელს – 16401.76 ლარს, ხოლო 2007 წელს – 10905.43 ლარს).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონებებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სრულად ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და სადავოდ ხდის ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით სს „თ-ისათვის“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ: ა) 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე უსაფუძვლოდ მიღებული – 174486.9 ლარისა და პროცენტის – 41711.08 ლარის და ბ) 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის იანვრამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული – 55612.5 ლარის დაკისრების კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, თავდაპირველად შეამომოს მოპასუხისათვის 55612.5 ლარის დაკისრების კანონიერება, ვინაიდან კასატორის პირველი პრეტენზია, სწორედ, გადაწყვეტილების ამ ნაწილს ეხება, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან მოსარჩელეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამავე კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლო ამონებებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმები დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის (აპელანტის) მოთხოვნის ფარგლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო მხარეს ვერ მიაკუთვნებს იმას, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ს. რ-ა“ სარჩელით მოითხოვდა: 1. სს „თ-ისათვის“ უსაფუძვლოდ მიღებული – 230099.44 ლარის დაკისრებას; 2. სს „თ-ისათვის“ უსაფუძვლოდ მიღებული პროცენტის – 179017.36 ლარის დაკისრებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

1. შპს „ს. რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;  
2. სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 73742.66 ლარის გადახდა;  
3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 900 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურებლად.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით ირკვევა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დაკისრებული თანხიდან (73742.66 ლარიდან), 55612.5 ლარი სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა, როგორც 2001 წლის 30 ივნისიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული თანხა, ხოლო 18129.5 ლარი – პროცენტის სახით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორივე მხარემ:

1. შპს „ს. რ-მ“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება;

2. სს „თ-მა“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება პროცენტის დაკისრების ნაწილში, კერძოდ, პროცენტის სახით დაკისრებული 18129.5 ლარიდან აპელანტი სადავოდ ხდიდა მხოლოდ 4782.7 ლარის დაკისრების კანონიერებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით:

1. შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს „თ-ის“ სააპელაციო საჩივარი;
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების მეორე პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა:

- ა) ძირითადი თანხის – 55612.5 ლარის;
- ბ) პროცენტის – 13655.44 ლარის ანაზღაურება;

4. შპს „ს. რ-ის“ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 178.96 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს „ს. რ-მ“, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, სს „თ-ისათვის“ უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის – 174486.94 ლარისა და პროცენტის – 165361.92 ლარის, ჯამში - 339848.86 ლარის დაკისრება.

სს „თ-ს“ მითითებული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა იმ ნაწილში, რომლითაც სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა: ა) ძირითადი თანხის – 55612.5 ლარისა და ბ) პროცენტის – 13655.44 ლარის ანაზღაურება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით:

1. შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა ნაწილობრივ (1999-2002 წლებში შპს „ს. რ-ის“ მიერ სს „თ-ისათვის“ გადახდილი ელექტროენერგიის ტრანზიტის ღირებულებისა და მასზე დარიცხული პროცენტის ანაზღაურების ნაწილში) და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლომ გააუქმა და ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი. დანარჩენ ნაწილში ეს გადაწყვეტილება, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესული იყო კანონიერ ძალაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება უნდა შეემომწმებინა შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. ეს უკანასკნელი კი, როგორც აღინიშნა, სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას, კერძოდ, სს „თ-ისათვის“ უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის – 174486.94 ლარისა და პროცენტის – 165361.92 ლარის, ჯამში – 339848.86 ლარის დაკისრებას ანუ აპელანტის მიერ მოთხოვნილ თანხაში არ შედიოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სს „თ-ისათვის“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაკისრებული ძირითადი თანხა - 55612.5 ლარი და პროცენტი – 13655.44 ლარი (230099.44-55612.5=174486.94; 179017.36-13655.44=165361.92).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა:

ა. 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული 174486.9 ლარის დაბრუნება და პროცენტის 41711.08 ლარის ანაზღაურება;

ბ. 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის იანვრამდე პერიოდში უსაფუძვლოდ მიღებული 55612.5 ლარის დაბრუნება;

4. სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 7000 ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტის მოთხოვნას არ წარმოადგენდა სს „თ-ისათვის“ 55612.5 ლარის დაკისრება (სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ეს მოთხოვნა უკვე დაკმაყოფილებული იყო), სააპელაციო სასამართლომ სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ მაინც დააკისრა ზემოხსენებული თანხა. აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა, ვინაიდან გასცდა აპელანტის მოთხოვნის ფარგლებს და მას მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მითითებული

ნორმის დარღვევა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია მოპასუხისათვის 55612.5 ლარის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, კერძოდ, მოპასუხეს განმეორებით დაეკისრა იმ თანხის გადახდა, რაც მას ერთხელ უკვე დაკისრებული ჰქონდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

კასატორი სადავოდ ხდის ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე უსაფუძვლოდ მიღებული 174486.9 ლარისა და ამ თანხის პროცენტის – 41711.08 ლარის გადახდა. კასატორის მოსაზრებით, ამ ნაწილში გადაწყვეტილების უკანონობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობა დაიწყო 1999 წლის 26 ნოემბერს, მან ასევე ვერ შეძლო, დაემტკიცებინა, რომ მოპასუხეს გადაუხადა ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასური 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდში.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სარჩელით სადავო თანხა (230099.44 ლარი) მოსარჩელეს გაყოფილი ჰქონდა ორ ნაწილად და მოითხოვდა: ა) 1999 წლის 1-ლი ივლისიდან 2000 წლის 1-ლ ნოემბრამდე ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის სახით მოპასუხისათვის გადახდილი 108659.33 ლარის დაბრუნებას და ბ) 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2002 წლის 1-ლ იანვრამდე ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის სახით მოპასუხისათვის გადახდილი 121440.11 ლარის დაბრუნებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზიები თითოეულ ამ პერიოდთან მიმართებით დამოუკიდებლად უნდა შემოწმდეს.

2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2002 წლის 1-ლ იანვრამდე მოპასუხისათვის დაკისრებული 121440.11 ლარიდან კასატორი სადავოდ ხდის მხოლოდ 65827.61 (121440.11-55612.5) ლარის დაკისრების კანონიერებას, რომელიც მოიცავს 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2001 წლის 1-ლ ივნისამდე პერიოდს. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ხსენებულ პერიოდში მხარეთა შორის ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობის არსებობის და ამ პერიოდში მოპასუხისათვის ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის გადახდის ფაქტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს შპს „ს. რ-ის“ 2004 წლის 26 აგვისტოს №გ-2572, 2005 წლის 19 მაისის №ტდ-893 და ამავე წლის 22 დეკემბრის №გ-780 წერილებზე, ასევე შედარებისა და ურთიერთშეთანხმების აქტის პროექტზე, რომელიც თან ერთვის 2005 წლის 22 დეკემბრის წერილს. აღნიშნული წერილებით დასტურდება, რომ შპს „ს. რ-ა“ სს „თ-ს“ სთხოვდა, უკან დაებრუნებინა 440014.18 ლარი, რომელიც სს „თ-მა“ ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის სახით, 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2005 წლის 1-ლ იანვრამდე პერიოდში, დაარიცხა შპს „ს. რ-ს“ ამ უკანასკნელის მიერ „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე. ხსენებული წერილებით მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მითითებული თანხა შეცდომით დაარიცხა მოპასუხემ, ვინაიდან „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი, საიდანაც მოსარჩელეს მიეწოდებოდა ელექტროენერჯია, არ წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას. შედარებისა და ურთიერთშეთანხმების აქტის პროექტში აღნიშნულია, რომ შპს „ს. რ-ს“ 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2005 წლის 1-ლ იანვრამდე პერიოდში „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან მოხმარებულ 14148366 კვტ.სთ ელექტროენერჯიაზე სს „თ-ის“ მიერ დაერიცხა ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასური 440014.18 ლარი, რომელიც შპს „ს. რ-ის“ მიერ ანაზღაურებულია სრულად, ამიტომ მითითებული თანხა ექვემდებარება დაბრუნებას სს „თ-ის“ მხრიდან. აღნიშნული თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ექვემდებარება დაბრუნებას სს „თ-ის“ მომსახურების ზონაში ყოველთვიურად მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე დარიცხული ტრანზიტის საფასურის ანგარიშში.

2005 წლის 22 დეკემბრის წერილისა და მასზე დართული შედარებისა და ურთიერთშეთანხმების აქტის პროექტის პასუხად, სს „თ-ის“ კომერციული დირექტორმა 2006 წლის 30 იანვარს №1-05/2436 წერილით მიმართა შპს „ს. რ-ს“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სს „თ-ი“ თანახმაა, განხორციელდეს ურთიერთვალდებულებათა გაქვითვა, მაგრამ არა 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2005 წლის 1-ლ იანვრამდე, როგორც ეს წერილში და ურთიერთშეთანხმების აქტის პროექტშია ნახსენები, არამედ 2002 წლის 1-ლ იანვრიდან 2005 წლის 1-ლ იანვრამდე, ვინაიდან სს „თ-ის“ პოზიციით, 2002 წლის 1-ლ იანვრამდე გადახდილი ტრანზიტის საფასურის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმულია.

ამდენად, 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2002 წლის 1-ლ იანვრამდე შპს „ს. რ-ის“ მიერ გადახდილი ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის დაბრუნების მოთხოვნაზე სს „თ-ის“ კომერციული დირექტორი უარს ამბობს არა ამ მოთხოვნის არარსებობის, არამედ მისი ხანდაზმულობის გამო, ანუ სს „თ-ის“ უარი ეფუძნება არა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის უარყოფას, არამედ მოთხოვნის გაქარწყლებას (მოსპობას) ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მოპასუხე არ უარყოფს მითითებულ პერიოდში „დ.-220-ის“ 6 კვ-ის №1 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან შპს „ს. რ-ის“ მიერ მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე ტრანზიტის საფასურის დარიცხვის ფაქტს, ასევე დარიცხული თანხის ოდენობას.

კასატორის მოსაზრებით, სს „თ-ის“ მიერ თანხის დაბრუნებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის მოტივით, იმას არ ნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელი აღიარებდა ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის მოსარჩელისგან მიღების ფაქტს 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან. მითითებული მოტივით თანხის გადახდაზე უარის

თქმა ნიშნავდა, რომ სს „თ-ი“ უარს აცხადებდა იმ თანხის ანაზღაურებაზე, რომელიც მიღებული ჰქონდა 2002 წლის იანვრამდე, მაგრამ არა 2000 წლის ნოემბრიდან, რადგან მას თარიღი არ დაუზუსტებია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ კასატორი არ უარყოფს 2002 წლის იანვრამდე ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის მოსარჩელისგან მიღების ფაქტს, ხოლო, ის გარემოება, რომ სს „თ-ი“ თავის წერილში ზუსტად არ მიუთითებდა, თუ რა პერიოდიდან ახდენდა ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის დაირცხვას შპს „ს. რ-ის“ მიერ მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე, სწორედ იმას ნიშნავდა, რომ ეს ხდებოდა 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან, ვინაიდან მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამ თარიღს უკავშირებდა, მოპასუხეს კი, ეს ფაქტი საპასუხო წერილში არ გაუპროტესტებია. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის ზემოაღნიშნული წერილით მოსარჩელემ შესძლო, დაემტკიცებინა სადავო ფაქტის არსებობა, რომლის უარსაყოფად კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. ამასთან, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე კასატორი არ უთითებს, ამიტომ საკასაციო პალატა მასზე ვერ იმსჯელებს, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო შეზღუდულია კასატორის მოთხოვნის ფარგლებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 385-ე და 976-ე მუხლების საფუძველზე, მართებულად დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ ელექტროენერჯის ტრანზიტისათვის გადახდილი 65827.61 (121440.11-55612.5) ლარი, რომელიც მოიცავს 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2001 წლის 1-ლ ივნისამდე პერიოდს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 981.2 მუხლის შესაბამისად, სწორია ასევე ამავე თანხაზე პროცენტის გადახდის დაკისრებაც. პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორი სადავოდ არ ხდის პროცენტის გამოანგარიშებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, სადავო თანხაზე (65827.61 ლარზე) დარიცხული პროცენტის ოდენობა იქნება 15735.92 ლარი. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია 81563.53 (65827.61+15735.92) ლარის მოთხოვნის ნაწილში.

ზემოთ აღნიშნა, რომ კასატორი სადავოდ ხდის ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2000 წლის 1-ლ ნოემბრამდე უსაფუძვლოდ მიღებული 108659.33 ლარისა და ამ თანხის შესაბამისი პროცენტის გადახდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2000 წლის 1-ლ ნოემბრამდე მხარეთა შორის ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობის არსებობის, ასევე ამ პერიოდში მოპასუხისათვის ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის გადახდის ფაქტი.

მითითებულ პერიოდში, მხარეთა შორის ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობის არსებობის ფაქტი, სააპელაციო სასამართლომ დაადასტურებულად მიიჩნია შპს „ს. რ-ის“ 2006 წლის 19 სექტემბრის №დფ/6870 მიმართვის, შპს „ს. რ-ის“ ელექტრომომარაგების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის და სს „თ-ის“ კომერციული დირექტორ ა.ი-ის 2006 წლის 30 იანვრის №1-05/2436 წერილის საფუძველზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სს „თ-ის“ კომერციული დირექტორის 2006 წლის 30 იანვრის №1-05/2436 წერილში გამოთქმული მოსაზრება, მოსარჩელის მიერ 2002 წლამდე გადახდილი ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ, გაგებული უნდა ყოფილიყო იმგვარად, რომ მხარეთა შორის 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2000 წლის 1 ნოემბრამდეც არსებობდა ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს ზემოხსენებული მტკიცებულებებიდან, კერძოდ, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სს „თ-ის“ კომერციული დირექტორის 2006 წლის 30 იანვრის №1-05/2436 წერილი დროში წინ უსწრებს შპს „ს. რ-ის“ 2006 წლის 19 სექტემბრის №დფ/6870 მიმართვას, შესაბამისად, ეს წერილი მოსარჩელის მიმართვის პასუხს არ წარმოადგენს, ამიტომ მას ვერ მივიჩნევთ ამ მიმართვაში დასახელებული ფაქტების დადასტურებად ან უარყოფად. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ზემოხსენებული მტკიცებულებით არ დასტურდება მხარეთა შორის ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობის არსებობის ფაქტი 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2000 წლის 1-ლ ნოემბრამდე პერიოდში. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ურთიერთობის არსებობის ფაქტი სადავოც რომ არ იყოს, მარტო ამ ფაქტის არსებობა არ იქნებოდა საკმარისი სარჩელის დასაკმაყოფილებლად, ვინაიდან მოპასუხე სადავოდ ხდის ასევე სადავო პერიოდში მოსარჩელის მიერ ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის გადახდის ფაქტს. ამ გარემოების დამტკიცების ტვირთი კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს ეკისრებოდა, ვინაიდან იგი თავის მოთხოვნას, სწორედ, იმ ფაქტობრივ გარემოებაზე აფუძნებდა, რომ სადავო პერიოდში მოპასუხეს შეცდომით გადაუხადა ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასური. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების თაობაზე, ვინაიდან სადავო პერიოდში მოსარჩელის მიერ ელექტროენერჯის ტრანზიტის საფასურის გადახდის ფაქტის დამტკიცების ტვირთი სააპელაციო პალატამ მოპასუხეს დააკისრა, მაშინ, როცა, ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა. ამ უკანას-

კნელმა კი, ასეთი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა და, შესაბამისად, ვერც სადავო გარემოების დამტკიცება შეძლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; შპს „ს. რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 81563.53 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში შპს „ს. რ-ის“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავ ეთქვა მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილება. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომ ინსტანციებში საქმეთა განხილვისას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ს. რ-ს“ გადახდილი აქვს: სარჩელზე – 15000 ლარი, სააპელაციო საჩივარზე – 7000 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივარზე – 8000 ლარი. სს „თ-ს“ საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 8000 ლარი. ეს ხარჯები მხარეთა შორის უნდა განაწილდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესით, კერძოდ, ვინაიდან სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამიტომ მოსარჩელეს მის მიერ გაღებული თანხა უნდა მიეკუთვნოს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ღირებულება შეადგენდა 271810.48 ლარს. კასატორის (მოპასუხის) მოთხოვნა დამყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, სადავო თანხიდან მოსარჩელეს მიეკუთვნა 81563.53 ლარი, ანუ სადავო თანხის 30.0075%, ხოლო დარჩენილი 190246.95 (271810.48-81563.53) ლარის, ანუ 69.9925%-ის მიკუთვნებაზე ეთქვა უარი. ამდენად, მხარეთა მიერ გაღებული ხარჯები მათ შორის უნდა განაწილდეს ზემოხსენებული პროპორციით, კერძოდ, მოსარჩელეს მის მიერ გაღებული ხარჯიდან უნდა მიეკუთვნოს 30.0075%, რაც შეადგენს 9002.25 (30000x30.0075%) ლარს, ხოლო მოპასუხეს მის მიერ გაღებული ხარჯიდან უნდა მიეკუთვნოს – 69.9925%, რაც შეადგენს 5599.4 (8000x69.9925%) ლარს. საბოლოოდ, 9002.25 ლარს უნდა გამოაკლდეს 5599.4 ლარი და მიღებული თანხა – 3402.85 ლარი უნდა დაეკისროს სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### გ ა დ ა ნ ე წ ვ ი ტ ა :

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ს. რ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 81563.53 ლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში შპს „ს. რ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. სს „თ-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 3402.85 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გა-  
ლებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;  
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## გადანყვეტილების შეცვლის ფარგლები

### გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-558-526-2010 7 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბერს სარჩელით მიმართა ი. ხ-იამ მოპასუხე-  
ბის – ი. კ-ინისა და ნ. (ტ.) ბ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა. ნ. ბ-ძესა და ი. კ-ინს მის სასარგებლოდ სოლიდარულად დაკისრებოდათ 15 000 აშშ დოლარის ეკვივა-  
ლენტი ლარი, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად;

ბ. ნ. ბ-ძესა და ი. კ-ინს მის სასარგებლოდ სოლიდარულად დაკისრებოდათ მიყენებული ზიანის სახით  
2009 წლის 24 ივლისიდან 2009 წლის 15 ოქტომბრამდე 1 125 აშშ დოლარი;

გ. ნ. ბ-ძესა და ი. კ-ინს მის სასარგებლოდ დაკისრებოდათ მიყენებული ზიანის სახით ვალდებულებათა  
სრულ შესრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 15 000 აშშ დოლარის 3%, რაც შეადგენს ყოველ-  
თვიურად 450 აშშ დოლარს;

დ. ნ. ბ-ძესა და ი. კ-ინს მის სასარგებლოდ დაკისრებოდათ მოსარჩელის მიერ განეული პროცესის ხარ-  
ჯების ანაზაურება;

ე. მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუქციონის წესით სარეალიზაციოდ მიქცეულიყო ი. კ-ინის სა-  
კუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება – ბათუმში, ... ქ. №6-ში მდებარე ბინა №52  
(საკადასტრო კოდი 05/24/08/029/01/052).

მოსარჩელის მტკიცებით 2008 წლის 24 ივლისს მასსა და ნ. ბ-ძეს შორის დაიდო სესხის ზეპირი ხელშეკ-  
რულება, რომლის საფუძველზეც ნ. ბ-ძემ მიიღო 15 000 აშშ დოლარი 1 წლის ვადით. ხელშეკრულება ითვა-  
ლისწინებდა ყოველთვიურად 3%-ის დარიცხვას სარგებლის სახით. მთელი წლის პროცენტი – 5400 აშშ  
დოლარი ნ. ბ-ძემ გადაიხადა წინასწარ. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით და-  
იტვირთა ნ. ბ-ძის სიძამრის – ი. კ-ინის კუთვნილი ბინა. ნ. ბ-ძემ ვალდებულება დათქმულ ვადაში ვერ შეას-  
რულა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვე-  
ტილებით ი. ხ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხე ი. კ-ინს ი. ხ-იას სასარგებლოდ დაე-  
კისრა 15 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის  
მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად; აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დადგინდა ი. კ-ინის  
საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების – ბათუმში, ... ქ. №6-ში მდებარე №52  
ბინის რეალიზაცია; ი. ხ-იას დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ი. კ-ინმა გაასაჩივრა. აპე-  
ლანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისთვის 15 000 აშშ დოლარის დაკისრე-  
ბის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით აღნიშნული თანხის 9 600 აშშ დოლარით განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აპრილის გადა-  
წყვეტილებით ი. კ-ინის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქა-  
ლაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა, ი. ხ-იას სარჩელი ნაწილობ-  
რივ დაკმაყოფილდა, ი. კ-ინს ი. ხ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 9 600 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ:

1. 2008 წლის 24 ივლისს ი. ხ-იასა და ი. კ-ინს შორის გაფორმდა უძრავი ქონების იპოთეკის, სესხისა და  
ბინის სარგებლობის ხელშეკრულება. სესხის ხელშეკრულება დაიდო 1 წლის ვადით, უპროცენტოდ;

2. ხელშეკრულების თანახმად, სესხის თანხა 15 000 აშშ დოლარია. მოთხოვნის უზრუნველსაყოფად  
იპოთეკით დაიტვირთა ი. კ-ინის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ბათუმში, ... ქ. №6-ში  
მდებარე №52 ბინა. ხელშეკრულება სათანადო წესით დარეგისტრირდა;

3. ხელშეკრულების დადებისთანავე ი. კ-ინმა ი. ხ-იას 5400 აშშ დოლარი გადაუხადა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგანაც მხარეთა შორის შეთანხმება წერილობითი ფორ-  
მით იყო გაფორმებული, ხელშეკრულების პირობები უნდა განმარტებულიყო იმგვარად, როგორც მისი ში-

ნაარსიდან ირკვეოდა. ხელშეკრულებაში კი მითითებული იყო, რომ სესხი იყო უპროცენტო, შესაბამისად, ი. ხ-იას მითითება, რომ 5400 აშშ დოლარი 1 წლის პროცენტს წარმოადგენდა, უსაფუძვლო იყო.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ი. ხ-იამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. მან გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს, რადგანაც ი. კ-ინი სააპელაციო საჩივრით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ ნაწილობრივ (15 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში) გაუქმებას მოთხოვდა. რაც შეეხება იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციას, ამ ნაწილში ი. კ-ინი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასაჩივრებდა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ სესხი უპროცენტო იყო და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2008 წლის 24 ივნისს მასსა და ნ. ბ-ძეს შორის სესხის ხელშეკრულება ზეპირად დაიდო. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ აღიარა 5400 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი, რადგანაც ი. ხ-იამ მხოლოდ საპროცენტო სარგებლის მიღება აღიარა და არა სესხის ძირითადი თანხის ნაწილის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ი. ხ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ აპელანტს იმაზე მეტი მიაკუთვნა, ვიდრე იგი მოითხოვდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

როგორც სააპელაციო საჩივრითა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ირკვევა, მოპასუხე ი. კ-ინი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ მისთვის 15 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში გაუქმებას ითხოვდა, ხოლო იპოთეკით დატვირთული ქონების სარეალიზაციოდ მიქცევას სადავოდ არ ხდიდა. სააპელაციო სასამართლომ კი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სრულად გააუქმა. მართალია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მსჯელობა იპოთეკასთან დაკავშირებით და არც სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად გაუქმების გზით, სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, რაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის აუცილებლობა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს, კერძოდ კი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების ი. კ-ინის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების – ბათუმში, ... ქ. №6-ში მდებარე №52 ბინის აუქციონზე რეალიზაციის დადგენის გაუქმების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება ი. ხ-იას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

რაც შეეხება თანხის დაკისრების ნაწილს, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

1. 2008 წლის 24 ივლისს ი. ხ-იასა და ი. კ-ინს შორის გაფორმდა უძრავი ქონების იპოთეკის, სესხისა და ბინის სარგებლობის ხელშეკრულება. სესხის ხელშეკრულება დაიდო 1 წლის ვადით, უპროცენტოდ;

2. ხელშეკრულების თანახმად, სესხის თანხა 15 000 აშშ დოლარია. მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ი. კ-ინის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ბათუმში, ... ქ. №6-ში მდებარე №52 ბინა. ხელშეკრულება სათანადო წესით დარეგისტრირდა;

3. ხელშეკრულების დადებისთანავე ი. კ-ინმა ი. ხ-იას 5400 აშშ დოლარი გადაუხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას საპროცესო ნორმების დარღვევაზე, რის შედეგადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ სადავო სესხის ხელშეკრულება იყო უპროცენტო. იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილია წერილობით დადებული სესხი-

სა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მხარეები ყველა არსებით პირობაზე არიან შეთანხმებულნი, სადავო არ არის მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა, სხვაგვარი პირობის არსებობა ახსნა-განმარტებით შეიძლება დადგინდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად ხელშეკრულების შინაარსია ბუნდოვანი. განსახილველ შემთხვევაში კი, ხელშეკრულებიდან ნათლად ირკვევა, რომ სესხი უპროცენტო იყო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მოწმის ჩვენება, რომელიც ადასტურებდა პროცენტის თაობაზე შეთანხმების არსებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმით დადგენილი მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, შეფასების შემდეგ ნებისმიერი მტკიცებულება მიიჩნიოს არასარწმუნოდ და არ გაიზიაროს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უპირატესობა წერილობითი დოკუმენტისათვის უნდა მიენიჭებინა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ი. ხ-იას მითითებას, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია მისი ახსნა-განმარტება აღიარებად, რადგანაც მან სესხის ძირითადი თანხის ნაწილის გადახდა კი არ აღიარა, არამედ მიუთითა, რომ მოპასუხისაგან მიღებული 4500 აშშ დოლარი 1 წლის პროცენტი იყო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო მხარის მიერ 4500 აშშ დოლარის მიღების ფაქტის დადასტურება და არა ამ გარემოების მისეული ინტერპრეტაცია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ხ-იამ თანხის მიღება აღიარა, ხოლო აღნიშნული თანხის სამართლებრივი ბუნება (სესხის ძირითადი თანხის ნაწილი) თავად დაადგინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. კ-ინისათვის 9600 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში კანონიერი, დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადანყვეტილება აღნიშნულ და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და  
გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ი. ხ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
  2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების ი. კ-ინის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების – ბათუმში, ... ქ. №6-ში მდებარე №52 ბინის რეალიზაციის დადგენის ნაწილში გაუქმების შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
  3. ი. ხ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;
  4. დადგინდეს ი. კ-ინის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების – ქ. ბათუმში, ... ქ. №6-ში მდებარე №52 ბინის (სარეგისტრაციო კოდი 05/24/08/029/01/052) აუქციონზე იძულებით რეალიზაცია;
  5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
- საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება

### ბანკინება

№ას-1461-1476-2011 23 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში), ვალდებულების შესრულება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:



გ. კ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ს. ს-ას მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის, თანხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ს. ს-ამ წარმოდგენილი შესაგებლად სარჩელი არ ცნო და შეგვებულ სარჩელით მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი მოპასუხე ს. ს-ას მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ს. ს-ას დაეკისრა გ. კ-ის სასარგებლოდ 20 000 აშშ დოლარის გადახდა; განისაზღვრა ს. ს-ასთვის გ. კ-ის მიერ სადავო ავტომანქანის დაბრუნება; არ დაკმაყოფილდა გ. კ-ის სარჩელი ს. ს-ას მიმართ მიუღებელი შემოსავლის სახით 48 000 ლარის და განუღი ხარჯის – 5 000 ლარის დაკისრების თაობაზე; არ დაკმაყოფილდა ს. ს-ას შეგვებულ სარჩელი გ. კ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრეს მხარეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის განჩინებით ს. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ს-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებით დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, შეწყდა საქმის წარმოება გ. კ-ის სარჩელისა გამო ს. ს-ას მიმართ ავტო-მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, თანხის დაბრუნების და ზიანის ანაზღაურების თაობაზე; დადგინდა ს. ს-ასთვის მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1660 ლარის დაბრუნება.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ს. ს-ას წარმომადგენელმა, გ. მ-ემ და მოითხოვა საკასაციო პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. განმცხადებლის განმარტებით, განჩინებაში არასწორადაა მითითებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ნაცვლად 1660 ლარისა, უნდა იყოს 1660,40 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ს. ს-ას წარმომადგენლის გ. მაჩიტის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები: „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660 ლარი“ უნდა გასწორდეს სიტყვებით: „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი“. შესაბამისად, სარეზოლუციო ნაწილის მერვე აბზაცში, ნაცვლად „1660 ლარი“, უნდა მიეთითოს „1660,40 ლარი“.

სარეზოლუციო ნაწილის მე-8 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### და და დ ბ ი ნ ა:

ს. ს-ას წარმომადგენლის, გ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა: განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660 ლარი“ გასწორდეს სიტყვებით: „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი“. შესაბამისად, სარეზოლუციო ნაწილის მერვე აბზაცში ნაცვლად „1660 ლარი“, უნდა მიეთითოს „1660,40 ლარი“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება

### განჩინება

№ა-474-შ-8-2011

23 იანვარი, 2012 წ., თქ. ბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ბ. ალავიძე

განხილვის საგანი: უსწორობის გასწორება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინებით ნ. ვ-ს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-53-2010წ.) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა; საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ვ-ს ასული ბ-ს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ა. ა-ს ძე ბ-ს, დაბადებულს 1967 წლის 4 მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.სენაკში, ნ. ვ-ს ასული ბ-ს სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, გამომუშაების და (ან) სხვა შემოსავლის 1/4-ის ოდენობით არასრულწლოვანი შვილის – 1997 წლის 27 ნოემბერს დაბადებული დ. ა-ს ძე ბ-ს სარჩენად 2010 წლის 5 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში უნდა გასწორდეს დაშვებული უსწორობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინებაში, რიგ შემთხვევებში, ნაცვლად მხარისა: „ნ. ვ-ს ასული ბ-ა“, მითითებულია: „ნ. ვ-ს ასული ბ-ა“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე, ზემომითითებული გარემოება, როგორც განჩინებაში დაშვებული უსწორობა, ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინებაში დაშვებული უსწორობა, ნ. ვ-ს ასული ბ-ს ნაცვლად მხარედ მიეთითოს ნ. ვ-ს ასული ბ-ა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა, ნ. ვასილის ასული ბ-ს ნაცვლად მხარედ მიეთითოს ნ. ვ-ს ასული ბ-.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება

### განჩინება

№ას-936-974-2011

15 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. სილაგაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულების აღიარება; ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. და შ. შ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობების „ი-ი 2-სა“ და „ი-ი 91-ის“ მიმართ და მოითხოვეს სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება, საცხოვრებელი ფართისა და ავტოფარეხის გადაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა დ. და შ. შ-ის სასარჩელო მოთხოვნა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

2010 წლის 7 დეკემბრის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. და შ. შ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებით დ. და შ. შ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნულ განჩინებაში დავის საგნად მითითებულია: ვალდებულების შესრულებისა და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად აღიარება.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა „ი-ი 91-ის“ წარმომადგენელმა თ. წ-მა და მოითხოვა საკასაციო პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. განმცხადებლის განმარტებით, განჩინებაში არასწორადაა მითითებული დავის საგანი, ნაცვლად ვალდებულების შესრულების აღიარებისა და ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად აღიარებისა, უნდა იყოს სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი-ი 91-ის“ წარმომადგენელ თ. წ-ს განცხადება სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში მითითებული დავის საგანი არ წარმოადგენს უსწორობას.

უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით დ. და შ. შ-ის საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა საკასაციო საჩივრის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ამ ღირებულების შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა. 2011 წლის 20 ივლისის მოსარჩელებმა წარმოადგინეს განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ. აღნიშნული განცხადებით შეამცირეს საკასაციო მოთხოვნა. კასატორებმა მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და პირველი კატეგორიის მენაშენეთა სიაში შეყვანა, ბინის ღირებულების გადახდის ნაწილში ვალდებულების შესრულებისა და სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 სექტემბრის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისა და 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებებში დავის საგანი მიეთითა სწორედ დაზუსტებული განცხადების შესაბამისად – ვალდებულების შესრულების აღიარება, რაც გულისხმობს კასატორის მოთხოვნას ბინის ღირებულების გადახდის ნაწილში ვალდებულების შესრულების აღიარებას და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად აღიარება, რაც ასევე გულისხმობს კასატორის მოთხოვნას პირველი კატეგორიის მენაშენეთა სიაში შეყვანის თაობაზე. ამასთან, 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საკასაციო სასამართლოს არ უმსჯელია მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა ავტოფარეხებისა და ფართების გადაცემას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი-ი 91-ის“ წარმომადგენელ თ. წ-ის განცხადება სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა:

ი/ზ ამხანაგობა „ი-ი 91“-ის წარმომადგენელ თ. ნ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა შ ი უ ს ნ ო რ ო ბ ა ტ ა გ ა ნ წ ო რ ე ბ ა

### გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1244-1264-2011 2 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ნ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ლ-ის, ნ. ც-ის, მ. გ-ის, თ. ს-ისა და ჯ. თ-ის მიმართ და მოითხოვა: ა) ო. ნ-ასა და ი. ც-ს შორის 2006 წლის 8 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევის №1ა-ში მდებარე უძრავ ქონებაზე; ბ) ო. ნ-ასა და ი. ც-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევის №1ა-ში მდებარე უძრავ ქონებაზე; გ) მ. გ-ს, თ. ს-ს, ჯ. თ-ესა და ი. ც-ს შორის 2008 წლის 5 ივნისს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; დ) ი. ც-სა და ნ. ლ-ეს შორის 2008 წლის 10 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევის №1ა-ში მდებარე უძრავ ქონებაზე; ე) ნ. ლ-ეს, მ. გ-ს, თ. ს-ს, ჯ. თ-ესა და ი. ც-ს შორის 2008 წლის 10 ივნისს გაფორმებული ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმების ბათილად ცნობა და ვ) ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევის №1ა-ში მდებარე უძრავი ქონების ო. ნ-ასათვის მიკუთვნება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ო. ნ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ო. ნ-ასა და ი. ც-ს შორის 2006 წლის 8 თებერვლით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევ №1ა-ში, ბათილად იქნა ცნობილი ო. ნ-ასა და ი. ც-ს შორის 2008 წლის 14 მაისის თარიღით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევ №1ა-ში, ო. ნ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მ. გ-ს, თ. ს-ს, ჯ. თ-ესა და ი. ც-ს შორის 2008 წლის 5 ივნისს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევ №1ა-ში, ო. ნ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ი. ც-სა და ნ. ლ-ეს შორის 2008 წლის 10 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევ №1ა-ში, ო. ნ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევ №1ა-ში მდებარე უძრავი ქონების მიკუთვნების შესახებ მოთხოვნის ნაწილში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ნ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მითითებულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ნ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ნ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მ. გ-ს, თ. ს-ს, ჯ. თ-ესა და ი. ც-ს შორის 2008 წლის 5 ივნისს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევის №1ა-ში, ბათილად იქნა ცნობილი ი. ც-სა და ნ. ლ-ეს შორის 2008 წლის 10 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევი №1ა-ში, ო. ნ-ას მიეკუთვნა უძრავი ქონება მდებარე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევის №1ა-ში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. გ-მა, თ. ს-მა, ნ. ლ-ემ და ჯ. თ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინებით მ. გ-ის, თ. ს-ის, ჯ. თ-ისა და ნ. ლ-ის საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გა-

მო. კასატორ ნ. ლ-ეს (პირადი №60003012630) დაუბრუნდა ზ. ქ-ის მიერ გადახდილი 6000 ლარის 70% – 4200 ლარი, კასატორ მ. გ-ს (პირადი №...) – მის მიერ გადახდილი 1161 ლარის 70% – 812.7 ლარი, თ. ს-ს (პირადი №...) – ლ. დ-ის მიერ გადახდილი 1018.85 ლარის 70% – 713.195 ლარი, ხოლო ჯ. თ-ეს (პირადი №...) – მის მიერ გადახდილი 494.40 ლარის 70% – 346.08 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის №ას-1244-1264-2011 განჩინების შესავალ, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიიჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესულ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია 2012 წლის 25 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოსათვის გადმოცემული მოცემული სამოქალაქო საქმის სარეგისტრაციო ნომერია „№ას-1244-1264-2011“, ხოლო 2012 წლის 25 იანვრის განჩინებაში მითითებულია „№ას-1244-1267-2011“, ასევე, საქმეში წარმოდგენილია კასატორ მ. გ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც კასატორმა საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების შესაბამისად წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1661 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ 2012 წლის 25 იანვრის განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში ნაცვლად 1661 ლარისა, მითითებულია 1161 ლარი, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, კასატორისათვის დასაბრუნებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არასწორად იქნა გამოთვლილი 1161 ლარიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ თანხის გადახდის ნაწილში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხასიათის უსწორობანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის, საკუთარი ინიციატივით გაასწოროს 2012 წლის 25 იანვრის განჩინების შესავალ, სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებული უსწორობანი, კერძოდ, საქმის ნომრად ნაცვლად „№ას-1244-1267-2011-ისა“ უნდა მიეთითოს „№ას-1244-1264-2011“, ხოლო მ. გ-ს ნაცვლად 1161 ლარის 70%-ის – 812.7 ლარისა, უნდა დაუბრუნდეს 1661 ლარის 70% – 1162.7 ლარი, შესაბამისად, 2012 წლის 25 იანვრის განჩინების საფუძველზე გასაცემ სააღსრულებო ფურცელში საქმის ნომრად უნდა მიეთითოს „№ას-1244-1264-2011“, ხოლო მ. გ-ისათვის დასაბრუნებელ თანხად უნდა მიეთითოს 1162.7 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და

#### დ ა ა დ ბ ი ნ ა :

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინებაში დაშვებული უსწორობანი.

2. განჩინების შესავალ ნაწილში საქმის ნომერი „№ას-1244-1267-2011“ გასწორდეს ნომრით „№ას-1244-1264-2011-ით“, ხოლო სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილში მითითებული „კასატორ მ. გ-ს (პირადი №...) დაუბრუნდეს შემდეგ ანგარიშზე: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150, დანიშნულება – „სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე“ მის მიერ გადახდილი 1161 ლარის 70% – 812.7 ლარი“ გასწორდეს შემდეგი სახით: „კასატორ მ. გ-ს (პირადი №...) დაუბრუნდეს შემდეგ ანგარიშზე: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – №220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150, დანიშნულება – „სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე“ მის მიერ გადახდილი 1661 ლარის 70% – 1162.7 ლარი“.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება

## ბანკინება

№ას-1136-1162-2011

16 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ქ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს თავისი ბაბუის – ვ. ქ-ისა და მისი მეუღლე პ. ს-ის ფაქტობრივი განქორწინების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა, რაც ვ. ქ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ქ-ის განცხადებას უარი ეთქვა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ 2010 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაზე ვ. ქ-მა შეიტანა განცხადება და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების გახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებით ვ. ქ-ის განცხადება დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ვ. ქ-მა შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 სექტემბერის განჩინებით ვ. ქ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

ვ. ქ-მა კერძო საჩივრით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ საქმის განხილვის შედეგს არ ეთანხმება, ვინაიდან მხარის კანონიერი უფლებების უგულვებელყოფით არ იქნა გაზიარებული მის მიერ ხსენებული ახლად აღმოჩენილი გარემოებები და საქმის წარმოება უკანონოდ არ განახლდა. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებაზე შეტანილი მისი კერძო საჩივარი წარმოებაში მიიღო 2011 წლის 14 სექტემბერს, ხოლო არსებითად განიხილა 9 სექტემბერს. აღნიშნულით სასამართლო ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მხარე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ქ-ის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად დადგენილ შემთხვევებში.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, როგორც ზემდგომმა სასამართლომ განიხილა ვ. ქ-ის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებაზე და 2011 წლის 9 სექტემბერის განჩინებით არ დააკმაყოფილა იგი. აღნიშნულზე კი მხარემ კვლავ კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. ამდენად, ვ. ქ-მა კერძო საჩივარი შეიტანა განჩინებაზე, რომლის კერძო საჩივრით გასაჩივრება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ქ-ის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

რაც შეეხება მხარის მითითებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებაზე შეტანილი მისი კერძო საჩივარი წარმოებაში მიიღო 2011 წლის 14 სექტემბერს, ხოლო არსებითად განიხილა 9 სექტემბერს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს უსწორობას, რომელიც უნდა გასწორდეს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატას მიზანშეწონილად არ მიაჩნია არსებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-1136-1162-2011 განჩინების თარიღში – „9 სექტემბერი, 2011 წელი“ დაშვებულ იქნა უსწორობა, რომელიც უნდა გასწორდეს „19 სექტემბერი, 2011 წელით“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ქ-ის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-1136-1162-2011 განჩინების თარიღი – „9 სექტემბერი, 2011 წელი“ გასწორდეს თარიღით – „19 სექტემბერი, 2011 წელი“.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა შ ი უ ს წ ო რ ო ბ ა თ ა გ ა ს წ ო რ ე ბ ა

### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1461-1476-2011

23 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში), ვალდებულების შესრულება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ს. ს-ას მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის, თანხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ს. ს-ამ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი მოპასუხე ს. ს-ას მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ს. ს-ას დაეკისრა გ. კ-ის სასარგებლოდ 20 000 აშშ დოლარის გადახდა; განისაზღვრა ს. ს-ასთვის გ. კ-ის მიერ სადავო ავტომანქანის დაბრუნება; არ დაკმაყოფილდა გ. კ-ის სარჩელი ს. ს-ას მიმართ მიუღებელი შემოსავლის სახით 48 000 ლარის და განუული ხარჯის – 5 000 ლარის დაკისრების თაობაზე; არ დაკმაყოფილდა ს. ს-ას შეგებებული სარჩელი გ. კ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრეს მხარეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის განჩინებით ს. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ს-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებით დაამტკიცა მხარეთა შორის მორიგება, შეწყდა საქმის წარმოება გ. კ-ის სარჩელისა გამო ს. ს-ას მიმართ ავტო-მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, თანხის დაბრუნების და ზიანის ანაზღაურების თაობაზე; დადგინდა ს. ს-ასთვის მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1660 ლარის დაბრუნება.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ს. ს-ას წარმომადგენელმა, გ. მ-ემ და მოითხოვა საკასაციო პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. განმცხადებლის განმარტებით, განჩინებაში არასწორადაა მითითებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ნაცვლად 1660 ლარისა, უნდა იყოს 1660,40 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ს. ს-ას წარმომადგენლის გ. მ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები: „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660 ლარი“ უნდა გასწორდეს სიტყვებით: „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი“. შესაბამისად, სარეზოლუციო ნაწილის მერვე აბზაცში, ნაცვლად „1660 ლარი“, უნდა მიეთითოს „1660,40 ლარი“.

სარეზოლუციო ნაწილის მე-8 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### და ა დ ბ ი ნ ა :

ს. ს-ას წარმომადგენლის, გ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა: განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660 ლარი“ გასწორდეს სიტყვებით: „ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი“. შესაბამისად, სარეზოლუციო ნაწილის მერვე აბზაცში ნაცვლად „1660 ლარი“, უნდა მიეთითოს „1660,40 ლარი“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ს. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1660,40 ლარი

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.